ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 081 (12 456) 7 აპრილი ორშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი





## რთული არჩევანი მძიმე გაკვეთილის შემდეგ

ინტერვიუ გოგი ქავთარაძესთან

» 3

## ვერცხლი, ბრინჯაო და ხასაიას დასანანი ტრავმა

ანტიკური ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

» 9

# ვან გაალი მწვრთნელად, შოთა ასისტენტად?



## ისინი შეიძლება საქართველოში ჩამოვიდნენ



ბრანკო ივანკოვიჩი



ტერი ვენეიბლზი



ჰოვარდ უილკინსონი



ჰენრი კასპერჩაკი

სამწვრთნელო სპეკულაციები »»» 3-4

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XX ტური

# დილა პირველ ლიგას უფრო მიუახლოვდა

**მგლები-დილა**

**5:0**

5.04. ზუგდიდი. ცენტრალური
2000 მაყურებელი

1:0 ჟვანია (36. ნურნუმიას პასით), 2:0 ჭკადუა (კრასოვსკის პასით. 44 წთ), 3:0 ჯანაშია (60. კრასოვსკის პასით), 4:0 ზ. ექონია (87. გ. ექონიას პასით), 5:0 კაკაბაძე (90)

მგლები: ქალდანი - ზ. ექონია, მაჭავარიანი, ჟვანია, კაკაბაძე - ხოხონიშვილი (57. ჯანაშია), ქირია (75. ქომეთიანი), ვართაგავა (70. გ. ექონია), ნურნუმია - კრასოვსკი, ჭკადუა,

*სათადარიგოები: ჭითანავა, ხუხია, ქირია, კუჭუხიძე*

დილა: ცერცვაძე - სადალაშვილი, გვეტაძე, გობეჯიშვილი, რატიანი - ლომიძე, ტლაშაძე, გ. ნინამძღვრიშვილი (79, გიორგობიანი), აბრამიშვილი, სულთანიშვილი (46. ვარდოსანიძე) - მიქაძე (50. იჩქითი),

*სათადარიგოები: ილურიძე, ჯაგნიძე, ჩერქეზიშვილი*

გაფრთხილება: მიქაძე (10), ხოხონიშვილი (55)

არბიტრი: ლ. სილაგავა

**16.** მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებისას საჯარიმოში შეჭრილ დავით ქირიას შეექმნა კარგი მომენტი, მაგრამ ბურთი ხუთიოდ მეტრში მდგომ ცერცვაძეს გაარტყა.

**25.** ცერცვაძე გამოსვლაზე შეცდა და ბურთი ვართაგავასთან მივიდა, რომელმაც ცარიელ კარში ვერ გაიტანა.

**36.** 1:0 - ნურნუმიამ საჯარიმოში ჩაკიდა, გორელი მცველები წამით შეყოვნდნენ, ჟვანია თამაშგარეში ეგონათ. ამ უკანასკნელმა აულელვებლად მიიღო ბურთი და ცერცვაძეს მარჯვენა დაბალ კუთხეში გაუტანა.

**44.** 2:0 - კრასოვსკიმ მშვენივრად ითამაშა მოედნის ცენტრში და სწრაფი პასით პირისპირ გაიყვანა ჭკადუა, რომელმაც არ დაახანა და ეგრევე გადაგზავნა ბურთი კარში.

**56.** ტლაშაძე გავიდა ფლანგზე, შეიჭრა საჯარიმოში და გადააწოდა იჩქითს და მეკარის ზაქანზე მდგომმა იჩქითმა ვერ შეძლო გატანა.

**60.** 3:0 - კრასოვსკიმ ამჯერად ჯანაშიას გაუკეთა საგოლე გადაცემა.

**87.** 4:0 - ექონიების მიერ გათამაშებული კომბინაცია გოლით დასრულდა.

**90.** 5:0 - კაკაბაძე ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ და შანსი ხელიდან არ გაუშვა.

წინა დღით "ოლიმპთან" "ლოკომოტივის" მოულოდნელი დამარცხებით გულმოცემულ "დილას" თითქოს საბრძოლო სტიმული დაუბრუნდა, მაგრამ დისკვალიფიკაციით გამოწვეული დანაკლისი იმდენად თვალშისაცემი გახლდათ, რომ სტუმრებმა მასპინძლებს მხოლოდ 30 წუთი გაუწიეს ჯეროვანი წინააღმდეგობა, მერე კი მასპინძლებმა ხელთ იგდეს მატჩის სადავეები და "დილას" პირდაპირ ბდღვირი ადინეს. მასპინძლებმა პირველ ტაიმში ორჯერ, მეორეში კი სამჯერ გაიტანეს და გორელებს პირველი ლიგისკენ კიდევ უფრო მეტად უბიძგეს.

გოლების აღწერას ახლა აზრი არ აქვს, სტენოგრამაშიც წაიკითხავთ ყველაფერს. ერთი ეგაა, რომ მასპინძლები უფრო ზუსტნი რომ ყოფილიყვნენ, სხვაობა ანგარიშში გაცილებით დიდი იქნებოდა.

**მერაბ გრძელიძე**
ზუგდიდან

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ამერი–ქაისერი–ამერი

## სად გაჩერდება ტატანაშვილი?

თბილისის "ამერის" თავდამსხმელი **დიმიტრი ტატანაშვილი** ერთი კვირით თურქულ "ქაისერისფორში" იყო გასინჯვაზე და, შეასაძლოა, იქ კიდევ წავიდეს. "ქაისერი" ბოლო წლებში დაწინაურდა და ლამისაა, თურქულ გრანდებს მიუახლოვდეს. ამ დროისთვის, თურქეთის ჩემპიონატში მეექვსე ადგილზეა და იქაური თასის ნახევარფინალშიცაა გასული. როგორც "ამერში" გვითხრეს, "ქაისერი" თურმე კიდევ ერთი კვირით ითხოვდა ტატანაშვილის დატოვებას. 9 აპრილს, გლდანელებს საქართველოს თასის ნახევარფინალის პირველი მატჩი აქვს სათამაშო "ბორჯომთან", ხოლო ჩემპიონატის უახლოეს ტურში "დინამოსთან" უწევს შეხლა. სხვა რომ არაფერი, ასეთი მატჩებისთვის "ამერს" ამ სეზონში თავისი ყველაზე შედეგიანი ფორვარდი ძალიან სჭირდება.


დიმიტრი ტატანაშვილი

ტატანაშვილი 24 წლისაა. ეროვნულ ნაკრებში ორჯერ უთამაშია და ერთი გოლი გაუტანია. მას კლუბთან სეზონის ბოლოს უმთავრდება კონტრაქტი. ტატანაშვილმა "ქაისერის" პირველ გუნდთან ოთხჯერ ივარჯიშა და რადგან კიდევ ერთი კვირით სთხოვეს დარჩენა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ "ქაისერის" თავკაცი **თოლუნაი კაფკასი** მისით დაინტერესდა.

**დავით თავართქილაძე**

# ზესტაფონს სანტოსი დაუბრუნდა

## გელაშვილიც ბრუნდება

ბრაზილიელი მცველი **ედსონ სანტოსი**, რომელიც მეუღლის გაუპატიურების შემდეგ, საქართველოდან გასულ ზაფხულს წავიდა, დაბრუნდა. მას "ზესტაფონთან" მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს და რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ, კვლავ ფეროელთა შორის ვარჯიშობს.

სანტოსი ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არაა და ალბათ, უახლოეს მატჩებში მოედანზე არ გამოჩნდება, თუმცა სეზონის დასკვნით ნაწილში წესით, საქმეში უნდა ვიხილოთ. "ზესტაფონის" შემადგენლობაში ასპარეზობისას ბრაზილიელი საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა და საინტერესოა, როგორ ფორმაშია იგი დღესდღეობით. სანტოსი ზესტაფონში ამჯერად მარტო იცხოვრებს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ "ზესტაფონის" რიგებში მალე გამოჩნდება **ნიკოლოზ გელაშვილიც**. შეგახსენებთ, ახალგაზრდა ფორვარდი ფეროელებმა "ვიტ ჯორჯიასგან" შეიძინეს, მაგრამ გელაშვილმა თურქულ შეკრებაზე ლავიწის ძვალი გაიტეხა. მან ვარჯიში უკვე განაახლა, "ზესტაფონი-2"-ის შემადგენლობაში ითამაშა და გოლიც გაიტანა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# სერია თოთხმეტამდე ავიდა


ვიტ ჯორჯიამ მერანს მეორე სართულზეც აჯობა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**ვიტ ჯორჯია-მერანი**

**3:0**

5.04. მცხეთა. არმაზი
300 მაყურებელი

1:0 ბეჭვაია (26. პ. დათუნაიშვილის პასით), 2:0 პ. დათუნაიშვილი (76. რაზმაძის პასით), 3:0 ლიპარტია (90. გ. დათუნაიშვილის პასით)

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი – პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია (79. ყველაშვილი), ჯაფარიძე (59. ლიპარტია) – გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, ბეჭვაია – მელქაძე, ბერიაშვილი, სახოკია (83. ინჯგია)

*სათადარიგოები: მიქაბერიძე, პირველი, კვალინიძე, ლუჭაშვილი*

მერანი: დგებუაძე – ლოლაძე, თავბერიძე, გიგაური, აფშილავა – ბაკურაძე (46. ფირანიშვილი), ბესარაშვილი, ქემაშვილი, იაგო დეისაძე (74. კაკულია), იაკობ დეისაძე (49. ქოქიაშვილი) – ტიელიძე

*სათადარიგოები: ბლაგიძე, სარალიძე, კობერიძე, აკ. ნოზაძე*

გაფრთხილება: ქემაშვილი (78)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

8. მეკარესთან პირისპირ გასულმა ბერიაშვილმა დარტყმა დაახანა, "მერანის" მცველმა ბურთი კუთხურზე გადააგდო.

26. 1:0 - პავლე დათუნაიშვილმა კუთხურიდან ბურთი მოაწოდა, კარის ძელთან მდგომ ბეჭვაიას ხელი ვერავინ შეუშალა.

57. ჯაფარიძემ არაზუსტად დაარტყა.

67. გიორგი დათუნაიშვილმა ააცილა.

76. 2:0 - რაზმაძის პასით პავლე დათუნაიშვილმა თავისი გუნდის უპირატესობა განამტკიცა.

86. გიორგი დათუნაიშვილმა ლიპარტიას გადაცემა მიიღო, მაგრამ "მერანის" მეკარეს ვერ აჯობა.

89. ლიპარტიამ ახლო მანძილიდან ააცილა.

90. 3:0 - ლიპარტია გიორგი დათუნაიშვილის ჩაწოდებას გამოეხმაურა და ორიოდე მეტრიდან თავით გაიტანა.

მატჩი მოსალოდნელი შინაარსით განვითარდა, მაგრამ თავიდანვე ვთქვათ, რომ თამაში მეტისმეტად უსახური გამოდგა. პირველივე წუთებიდან ნათელი გახდა, რომ ვეტერინარები ზედიზედ მე-14 გამარჯვებას იოლად მოიპოვებდნენ. "მერანმა" "ვიტ ჯორჯიას" ვერაფერი დაუპირისპირა, თუმცა ვერც თავად მასპინძლები გამოიყურებოდნენ დამაჯერებლად. ამის მიუხედავად, "ჯორჯიას" პრობლემებზე საუბარი დღეს უადგილო იქნება, რადგან გუნდი ბოლო პერიოდში ძალიან შედეგიანია და თუნდაც წინა ტურში, ბორჯომში დაამტკიცა, რომ რთული მატჩების მაღალ დონეზე ჩატარება შეუძლია.

სტუმრებმა მეტოქის ნახევარზე აბსოლუტურად ვერაფერი შექმნეს. **მუმლაძის** გუნდი კი დებიუტიდანვე დაეუფლა საფუძვლიან უპირატესობას და იმის მიუხედავად, რომ პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ გაიტანა, "ვიტ ჯორჯიას" გამარჯვება ოდნავადაც არ ინვევდა ეჭვს.

მასპინძელთა შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება იყო. დისკვალიფიცირებული **კლიმიაშვილი** ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე უნივერსალმა **ბეჭვაიამ** შეცვალა, ეს უკანასკნელი კი მარჯვენა მცველის პოზიციაზე **პავლე დათუნაიშვილმა** ჩაანაცვლა. იგი შეტევებში ხშირად ერთვებოდა და ეს შედეგიანადაც გამოსდიოდა. ამჯერადაც კარგად ჩაერთო თამაშში **ჯაბა ლიპარტია**, რომლის პროგრესიც აშკარაა. ისე კი, ვეტერინარებმა ამჯერადაც ძლიერი კოლექტიური თამაშით დაგვამახსოვრეს თავი. გარკვეულ ხარვეზებს რაც შეეხება, მათზე ყურადღების გამახვილება ჯერ არ ღირს, "მერანის" დონის მეტოქესთან მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი ძალების დაზოგვითაც უნდა იმარჯვებდეს.

"მერანის" შემხედვარე კი იტყვის, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის შემცირება სწორი გადაწყვეტილებაა. თუმცა უძლიერესთა შორის დარჩენის შანსი ამ გუნდსაც აქვს, უმაღლესში ხომ კიდევ არაერთი უსახური კლუბი ასპარეზობს.

მოკლედ, "ვიტ ჯორჯიამ" დაგეგმილი სამი ქულა მშვიდად აიღო და მოახლოებული დაპირისპირებებისთვის ემზადება. მომდევნო ტურში ვეტერინარები გორში "სპარტაკს" სტუმრობენ, ორ კვირაში კი "დინამოსთან" მცხეთაში აქვთ გადამწყვეტი ბრძოლა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 20 | 18 | 0 | 2 | 51-11 | 54 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 20 | 17 | 1 | 2 | 40-10 | 52 |
| 3. ზესტაფონი | 20 | 15 | 3 | 2 | 43-11 | 48 |
| 4. ამერი | 20 | 12 | 2 | 6 | 36-21 | 38 |
| 5. ოლიმპი | 20 | 10 | 4 | 6 | 18-15 | 34 |
| 6. ბორჯომი | 20 | 8 | 4 | 8 | 24-24 | 28 |
| 7. მესხეთი | 20 | 8 | 4 | 8 | 19-23 | 28 |
| 8. მგლები | 20 | 8 | 3 | 9 | 21-20 | 27 |
| 9. სიონი | 20 | 6 | 5 | 9 | 22-27 | 23 |
| 10. მერანი | 20 | 5 | 1 | 14 | 11-35 | 16 |
| 11. სპარტაკი | 20 | 4 | 4 | 12 | 8-23 | 16 |
| 12. ლოკომოტივი | 20 | 3 | 5 | 12 | 11-27 | 14 |
| 13. ბათუმი | 20 | 3 | 3 | 14 | 10-37 | 12 |
| 14. დილა | 20 | 1 | 5 | 14 | 8-40 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 13 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 12 |
| ვიეირა (ზესტაფონი) | 10 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 9 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 9 |
| გელაშვილი (ვიტ ჯორჯია/ზესტაფონი) | 8 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი/ბათუმი) | 8 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 8 |
| ჩასემი (სიონი) | 7 |

**მომდევნო ტური**

**12 აპრილი. შაბათი.**

| | |
|---|---|
| 16:00 | მერანი-მესხეთი |
| 16:00 | ბათუმი-მგლები |
| 16:00 | სპარტაკი-ვიტ ჯორჯია |
| 16:00 | სიონი-ლოკომოტივი |

**13 აპრილი. კვირა**

| | |
|---|---|
| 16:00 | დინამო-ამერი |
| 16:00 | ოლიმპი-დილა |
| 16:00 | ბორჯომი-ზესტაფონი |

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. XX ტური

# სამშვიდობოს, ინასარიძის თავ-ფეხით

**მესხეთი-ბორჯომი 2:0**

5.04. ახალციხე. ცენტრალური
300 მაყურებელი

1:0 ინასარიძე (55. კოშკაძის პასით), 2:0 ინასარიძე (82)

მესხეთი: სომხიშვილი-ქობესაშვილი, მერაბიშვილი, რაქვიაშვილი, ლონლაძე-ლეკიშვილი, ინასარიძე (83. ხანიშვილი), კოშკაძე, მ. თაყაძე, გვირჯიშვილი (85. სუდაძე)-კიკნაძე (53. სამადაშვილი)

*სათადარიგოები: თელიაშვილი, მუშკუდიანი, ი. თაყაძე, ძამუნაშვილი*

ბორჯომი: სეფიაშვილი-კაკუბავა, თედიაშვილი, გურული, გოგიჩაიშვილი-ჩხეტიანი, ბოლქვაძე, ქავთარაძე, ლომიძე (66. ნასყიდაშვილი), კირთაძე-ჯიუსტი

*სათადარიგოები: დათუნაშვილი, ხითარიშვილი*

გაფრთხილება: მ. თაყაძე (73), ქავთარაძე (77)

გაძევება: კაკუბავა (57)

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

**3.** ინასარიძემ ფლანგური ჩაწოდებით კარიდან რამდენიმე მეტრში მყოფ ლეკიშვილს მიაწოდა ბურთი, რომლის დარტყმაც სუსტი გამოდგა. ვერც კოშკაძემ ივარგა დამატებაზე.

**15.** თაყაძემ ინასარიძესთან კედელი გაითამაშა, მოიტოვა მეურვე და დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა კოშკაძე, თუმცა მოიერიშეს მეკარე სეფიაშვილმა ოდნავ დაასწრო.

**32.** "მესხეთის" მორიგი შეტევისას ლონლაძემ ახლოდან ცუდად დაარტყა. მცველის მიერ მოგერიებული ბურთი უყურადღებოდ მიტოვებულ გვირჯიშვილს მიუვიდა, რომელმაც უხერხულად მოიქნია ფეხი და ანგარიშის გახსნა ვერ შეძლო.

**33.** "ბორჯომის" სწრაფი კონტრშეტევისას გიორგი ქავთარაძე დაუსხლტა მცველებს და შორიდან ძლიერად, ოდნავ არაზუსტად დაურტყა სომხიშვილს.

**48.** თაყაძის მიერ მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული საპირისპირო ძელთან ლეკიშვილს მისდის, ვინც ხეირიანად დარტყმას ვერ ახერხებს.

**53.** იმავე ფლანგიდან ინასარიძე აწვდის და ისევ საპირისპირო ძელთან ახლა უკვე გვირჯიშვილია უყურადღებოდ, მასპინძელთა გამოცდილმა მობურთალმა ისევ ვერ შეაგდო.

**55.** 1:0 - თაყაძის ჩაწოდებული კუთხური კოშკაძისგან ინასარიძეს მისდის, რომლის თავურიც ზუსტი აღმოჩნდა.

**63.** კუთხურისას მასპინძელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობისას ბურთი ჯიუსმა მიიღო, მაგრამ კარში ჩამდგარ მცველს გაარტყა.

**65.** გვირჯიშვილმა მონახა სახეირო პოზიციაში მყოფი სამადაშვილი, რომლის თავური ხარიხას მოხვდა.

**76.** გვირჯიშვილი კიდევ ერთ საგოლე მომენტს აფუჭებს.

**82.** 2:0 - კონტრშეტევისას მოედნის სიღრმიდან პასით ახალციხელებმა სამადაშვილი მოძებნეს, სეფიაშვილი ძალიან წინ გამოვიდა და მართალია თავდამსხმელს დაასწრო და ბურთი უკუაგდო, მაგრამ ინასარიძის დამატებულზე კარში დაბრუნება ველარ მოასწრო...

ახალციხეში, სატურნირო ცხრილის შუაში მეზობლად განთავსებულმა, ტერიტორიულადაც მეზობლებმა „მესხეთმა" და „ბორჯომმა" ერთგვარი სამხრეთქართული დერბი შემოგვთავაზეს. ეს დაპირისპირება ქართული ელიტური ლიგისათვის ჯერაც სიახლეა და ამიტომ მისთვის დამახასიათებელი კონტურების ჩვენებას ახლა უნდა იწყებდეს. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ გუნდების ურთიერთშეხვედრას ამ ეტაპზე განსხვავებული ხელწერა გამოარჩევს, მით უფრო, პირველ წრესთან შედარებით დაძაბუნებული „ბორჯომის" ფონზე.

**ვლადიმერ ხაჩიძის** შეგირდები დღესდღეობით უკვე სამშვიდობოს არიან და, იშვიათი გამონაკლისის გარდა თავგანწირულ ბრძოლებს აღარ გვთავაზობენ. ამ მატჩის შემდეგ, ალბათ, **კობა თედიაშვილის** დამოძღვრილებსაც შუძლიათ სამშვიდობოს დაიგულონ თავი. აუტსაიდერთა გულისცემა მესხებს უკვე ნამდვილად აღარ ესმით. სამაგიეროდ გარკვეულხნიანი შესვენების შემდეგ საკუთარი გულშემატკივრის ხმა გაიგონეს. ფეხბურთი ახალციხეში ხელახლა დაბრუნდა და სტადიონი ისევ ახმაურდა. ოღონდ, სიმართლე გითხრათ აქ უმნიშვნელო დეტალების გარდა, შეცვლილი ვერაფერი ვნახეთ და ლოგიკურად დაიბადა კითხვა, რატომ შეწყდა შემოდგომით ახალციხის სტადიონზე საშინაო მატჩების ჩატარება?

რაც შეეხება იმას, თუ რა ნახა მაყურებელმა მოედანზე.

ქართული საკლუბო ფეხბურთის რამდენიმე შეხვედრას ეყოფოდა საგოლე, თუ სახიფათო მომენტები, რომელიც „მესხეთმა" მეორე ტაიმში შექმნა და ვერ გამოიყენა. დიახ, სწორედ მეორე ტაიმში ათამაშდნენ გუნდები ცოცხლად, თორემ ის რაც შესვენებამდე მოედანზე ხდებოდა ფეხბურთს ძნელად უწოდებ.

მასპინძლები თავიდანვე ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას.

თამაში ძირითადად მოედნის „ბორჯომის" ნახევარზე მიმდინარეობდა. „მესხეთის" შეტევებს **ლეკიშვილი** და **ინასარიძე** უძღვებოდნენ, იერიში იშლებოდა ფლანგებზე - ძირითადად მარჯვენივ **მიშა თაყაძისკენ** - და სრულდებოდა ცენტრფორვარდის ადგილზე მოთამაშე **ირაკლი კიკნაძის** მისამართით ჩაწოდებებით. „ბორჯომი" თავს იცავდა, სწრაფ კონტრშეტევებს ახორციელებდა, თუმცა მათდა სამწუხაროდ, ქერათმიანი ზანგი **დონალდ ჯიუსტი**, ვის გოლების იმედადაც იყო ეს გუნდი, შედეგიანად ვერ გაისარჯა. უცხოელს ქართულ ბალახზე ნებისმიერი მიზეზით გორაობა უფრო ეფექტურად ეხერხებოდა ამ დღეს, ვიდრე მოწინააღმდეგის დამწუხრება. მაინც და მაინც ვერც მისმა თანაგუნდელებმა მოახერხეს მასპინძელთა გოლკიპერის **გიორგი სომხიშვილის** დასაქმება.

პირველი ტაიმში ბურთის უღიმღამო გორების მერე ორივე გუნდი ენერგიულად ამოქმედდა. ფეხბურთელები უკვე კომბინაციურ თამაშსაც აბამდნენ თავს. განსაკუთრებით „მესხეთის" შეტევებს სდევდა სიმწვავე, მაგრამ დამაგვირგვინებელი ფაზა — ეს იყო ყველაზე დიდი ხარვეზი თედიაშვილის გუნდისა. ადგილობრივი ქომაგი ტრიბუნებზე ხუმრობდა კიდეც, ვინმე ბორჯომელი თუ გაიტანს საკუთარ კარში, თორემ ჩვენები გამტანნი არ არიანო. ერთადერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი კიკნაძე მცველებს საიმედოდ ჰყავდათ "დაკეტილი"; გასაოცარი უიღბლობა სდევდა თან გუნდის კაპიტან **პაატა გვირჯიშვილს**, რომელმაც სამი შესანიშნავი საგოლე შანსი გაფლანგა; გატანა მართებდათ მის თანაგუნდელებსაც, მაგრამ ძალიან ხშირი იყო სუსტი, ან არაზუსტი დარტყმები. ხშირადაც მესხები ახლო მანძილიდან საერთოდ ვერ ახერხებდნენ კარისკენ ბურთის გადაგზავნას.

ამის შემყურე ვერავინ გამორიცხავდა ჯიუსტი ერთხელაც წაქცევის ნაცვლად მეურვეს რომ გაქცეოდა და გაეტანა, მაგრამ ახალციხელებს ისევ ადგილობრივმა ფეხბურთელმა უშველა. კარგად ათამაშებულმა დავით ინასარიძემ (ადგილობრივ გულშემატკივართათვის ტიგანად ცნობილმა) ჯერ რიგიანი კომბინაციებისა და პასების დარიგება წამოიწყო, შემდეგ ზუსტი თავურით **კონსტანტინე სეფიაშვილის** კარიც აიღო. სტუმრებმა გაშვებული გოლის მერე ნერვები ვერ მოთოკეს და მალე ამ მიზეზით კაცნაკლულნი დარჩნენ. იმ დროს ჩაერთო თამაშში შეცვლაზე შემოსული **გურამ სამადაშვილი** და საკმაოდ კარგადაც. მეურვეებს მოდუნების საშუალება არ მისცა, ერთხელ ძელსაც გაარტყა და მეორე გოლიც მის აქტიურობას და მატჩის გმირ ინასარიძის ზუსტად მოქნეულ ფეხს მოჰყვა.

საბოლოოდ „მესხეთმა" პირველ წრეში წაგებისთვის სრულფასოვანი რევანში აიღო და რაც მათთვის უმთავრესია, თავის სამშვიდობოს დაიგულა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ინტერვიუ გოგი ქავთარაძესთან

# რთული არჩევანი მძიმე გაკვეთილის შემდეგ

## მკაცრი მწვრთნელი 180 დღით

**ვინ იქნება საქართველოს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი? ან როდის დაინიშნება ის? ეს ორი კითხვა დღეს ქართული საფეხბურთო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. ამ და სხვა კითხვებით ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს მივმართეთ:**

- ამ დროისთვის, რამდენიმე მწვრთნელზე ვაგროვებთ ინფორმაციას და ვაჯერებთ. ვფიქრობთ იმ მწვრთნელებზეც, ახლა დაკავებულები რომ არიან, მაგრამ მალე უმთავრდებათ კონტრაქტი. ამ მომენტისთვის 30-კაციანი სია გვაქვს, თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ გაფართოვდება.

**- უკვე შეგიძლიათ იმის თქმა, რომ მწვრთნელი უცხოელი იქნება?**

- ალბათ, კი.

**- ფედერაციის ხელმძღვანელობა ტექნიკურ დირექტორად კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწე რალფ მინგეს დანიშვნას აპირებდა...**

- მინგესთანაც ავტომატურად შეწყდა კონტრაქტი და ის არ იქნება ჩვენი ტექნიკური დირექტორი. ამ თანამდებობისთვის უკვე სერიოზულად ვფიქრობთ ერთ სპეციალისტზე, რომლის დასახელებისგან ჯერ თავს შევიკავებთ. შესაძლოა, ტექნიკური დირექტორი ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელთან შეთანხმების შემდეგ შევარჩიოთ.

**- დავუშვათ, ტოპმიოლერივით ფეხბურთო კლუბის დაფინანსების ვალდებულება...**

- კლუბების ამ სახით დაფინანსება, შესაძლოა, შეიცვალოს, თუმც ქართულ კლუბებს ფინანსური დახმარება აუცილებლად ექნებათ, ოღონდ სხვა სახით. რაც შეეხება სტადიონებს, 2009 წლის ბოლოსთვის 3-4 ახალი არენა, ალბათ, მზად იქნება. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე კი ტენდერი გამოცხადდება.

**- თუ მაისში გასამართ საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლება ვერ გაიმარჯვებს, ეს პრობლემებს ხომ არ შეუქმნის ამ პროგრამის განხორციელებას?**

- რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს არჩევნები, არ გვგონია, ახალი პარლამენტი ფეხბურთის მიმართ გულგრილი იყოს. თანაც, ამ პროგრამის განხორციელების გარანტი საქართველოს პრეზიდენტია.

**- რომელია ის ბოლო ვადა, როცა საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი უნდა ჰყავდეს?**

- 10 მაისისთვის ყველაფერი გარკვეული იქნება.

**- მაისში ნაკრებს ორი ამხანაგური მატჩი აქვს: ესტონეთთან და პორტუგალიასთან. აგვისტოში კი უელსთან. ახალი მწვრთნელისთვის შესარჩევ ციკლამდე სამი ამხანაგური მატჩი ცოტა ხომ არ იქნება?**

- გვინდა, რომ ივნისის დასაწყისში როგორმე კიდევ ერთი ამხანაგური



**კარგად რეკლამირებული ან მასზე უფრო სახელიანი მწვრთნელი შეურჩიეთ საქართველოს ნაკრებს. გააჩნია კი ფედერაციას საამისო სახსრები?**

- გვაქვს საამისო გარანტია, რომ იმ ხელფასს, რაც ტოპმიოლერს ვუხდიდით, ნაკრების ახალ მწვრთნელსაც გადავუხდით. თუ უფრო მეტი თანხა გახდება საჭირო, ამისთვისაც მზად ვართ. შესაძლოა, სახელმწიფოს გარდა, კერძო პირიც დაგვეხმაროს. ჩვენ მწვრთნელს ხელფასის მიხედვით არ ვეძებთ. შესაძლოა, იმ სპეციალისტმა უფრო გაამართლოს, ვინც სხვაზე ნაკლებ ანაზღაურებას ითხოვს.

**- შარშან შემუშავდა საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამა, რომლის მიხედვითაც ფედერაციას სახელმწიფოსგან სამი წლის განმავლობაში 11 მილიონი დოლარი უნდა მიეღო. როგორ ხორციელდება პროგრამის ეს პუნქტი?**

- ამ თანხას ფედერაცია ეტაპობრივად, კვარტალურად იღებს.

**- პროგრამის სხვა პუნქტებზეც გკითხავთ. რვა ახალი სტადიონი უნდა აშენდეს, მაგრამ საქმე ჯერ არ დაძრულა. გაურკვევლობაა ერთ საკითხზეც - პროგრამის მიხედვით, საქართველოში რვა, ფინანსურად მდგრადი კლუბი უნდა შექმნილიყო ძალიან უცნაური პრინციპით - როცა გაიყიდებოდა რაიმე სახელმწიფო ობიექტი, მყიდველს უნდა აეღო სა-**

მატჩის გამართვა მოვახერხოთ, სასურველია, თბილისში. უკვე ვაწარმოებთ მოლაპარაკებას რამდენიმე ქვეყანასთან.

**- შეგიძლიათ, დაგვიდასტუროთ, რომ ერთ-ერთ კანდიდატად ფოლკერ ფინკე ნაკრების რამდენი ფეხბურთელმა შემოგთავაზათ?**

- გიდასტურებთ. მართლაც გამოითქვა ასეთი აზრი. ფინკე ჩვენს 30-კაციან სიაში შედის. სხვათა შორის, აქეთაც მივიღეთ წინადადებები. რამდენიმე აგენტი საკმაოდ ცნობილი მწვრთნელის ვარიანტს გვთავაზობს.

**- მაინც, რა ტიპისა და სტილის მწვრთნელი სურს ფედერაციას ეროვნული გუნდისთვის?**

- ის უნდა იყოს მკაცრი დისციპლინის მოყვარული მოედანზეც და მის გარეთაც, ამავე დროს, არ უნდა იყოს კონფლიქტური, შესაბამისად, კომუნიკაბელურობაზე გავაკეთებთ აქცენტს. ნაკრების ახალ მწვრთნელს აუცილებლად მოვთხოვთ, რომ წელიწადში მინიმუმ 180 დღე საქართველოში იყოს, ან აქედან რამდენიმე დღე მივლინებაში გაატაროს ლეგიონერებზე დასაკვირვებლად.

**- რა გაკვეთილი მიიღო ფედერაციამ ტოპმიოლერის დანიშვნით?**

- უფრო კარგად გავერკვიეთ იმაში, თუ როგორი მწვრთნელი სჭირდება საქართველოს ნაკრებს.

**დავით თავართქილაძე**

ბორჯომი

# გაუშვეს თუ არა კაკუბავა ბორჯომიდან?

მეორე წრის წინ, "ბორჯომმა" თბილისის "დინამოდან" ტრადიციულად რამდენიმე ფეხბურთელი იჯარით დაიმატა. მათ შორის იყო მცველი **გიორგი კაკუბავა**. ეს ის ფეხბურთელია, "ამერთან" გასვლით მატჩში არბიტრმა წითელი ბარათი რომ უჩვენა და გააძევა. ის თამაში "ბორჯომმა" 2:3 წააგო.

იმ მატჩიდან ორი კვირა გავიდა. "ბორჯომს" გასულ შაბათს ახალციხეში გასვლითი მატჩი ჰქონდა, რომელიც 0:2 წააგო. სტუმრები მინიმალურად აგებდნენ, როცა არბიტრის სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო კაკუბავა კიდევ გააძევეს მოედნიდან. მატჩის შემდეგ ბორჯომელთა თავკაცი **ვლადიმერ ხაჩიძე** აღშფოთებას ვერ მალავდა. 3 მატჩში უკვე მეორედ გააძევეს, გუნდი დაალალატა, ამას ვერავის ვაპატიებ და ჩვენს გუნდში აღარ იქნებაო.

ზოგჯერ მწვრთნელები ცხელ გულზე რადიკალურ განცხადებებს აკეთებს, მერე კი სალ გადაწყვეტილებამდე მიდიან ხოლმე.

კაკუბავას ბედით დავინტერესდით, ვითარებაში გარკვევას შევეცადეთ, მაგრამ გუშინ ხაჩიძეს ვერაფრით დავუკავშირდით. კლუბის ხელმძღვანელობიდან მხოლოდ **ვახტანგ მაისურაძე** მოვიხელთეთ.

*"შესაძლოა ვოვა ხაჩიძემ ასეთი რამ მართლაც თქვა, რადგან წაგებული თამაშის შემდეგ აღშფოთებული იყო. წითელი ბარათის გამო კაკუბავას ალბათ 3 თამაშის გამოტოვება მოუწევს და ამის მერე ჩემპიონატის ბოლომდე, 3 თამაშილა გვექნება დარჩენილი. გუშინ, შაბათს თამაში გვქონდა და დღეს კლუბი ისვენებს. ასე რომ კაკუბავას თაობაზე ვერაფერს გეტყვით. ჯობს ხვალ დამიკავშირდეთ და ყველაფერს დაზუსტებით გეტყვით"*, - გვითხრა ვახტანგ მაისურაძემ.



ვლადიმერ ხაჩიძე

**დავით ცაბაძე**

# ვენეიბლზი, უილკინსონი, კასპერჩაკი, ივანკოვიჩი...

## ქართველი და ოლსენი გამოირიცხა

როგორც წინა ნომერში ვწერდით, გასული კვირის მინუტულისთვის ფეხბურთის ფედერაციას ჩვენი ნაკრებისთვის სავარაუდო მწვრთნელთა ათეული ჰქონდა ჩამოწერილი. სადღეისოდ, სია გაფართოვდა. კანდიდატთა ჩამონათვალს კიდევ რამდენიმე ცნობილი გვარი მიემატა.

**ტერი ვენეიბლზი**. ის ინგლისის ნაკრებს წვრთნიდა. მისი კანდიდატურა **ჯოვანი ტრაპატონის** დანიშვნამდე ირლანდიის ნაკრების თავკაცის პოსტზეც განიხილებოდა.

**ჰოვარდ უილკინსონი**. ეს გამოცდილი კაცი ინგლისის ნაკრების შტაბში **სვენ გორან ერიქსონთან** ერთად მუშაობდა.

**ჰენრი კასპერჩაკი**. პოლონელი სპეციალისტი ბოლოს სენეგალის ნაკრებს წვრთნიდა. პოსტი იანვარში დატოვა მას შემდეგ, რაც მისი გუნდი აფრიკის ერთა თასზე ჩაფლავდა.

**ბრანკო ივანკოვიჩი**. ხორვატი მწვრთნელი ირანის ნაკრებს თავკაცობდა. 1998 წელს **მიროსლავ ბლაჟევიჩის** ასისტენტი იყო მსოფლიო ჩემპიონატზე, იანვარში კი ზაგრების "დინამოდან" გაუშვეს. ნახევარი წელი აქვს ნამუშევარი "ჰანოვერში"...

დანიელი **მორტენ ოლსენის** ვარიანტი თითქმის გამორიცხულია. ახლა ის თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს ავარჯიშებს. მართალია, მას სამუშაოს შეცვლა უნდოდა და მის შემცვლელად **მიკაელ ლაუდრუპიც** ჰყავდათ შეგულებული, მაგრამ როგორც ირკვევა, ლაუდრუპთან "რეალმა" წამოიწყო მოლაპარაკებები, ოლსენი კი, საქმეს ისეთი პირი უჩანს, დანიის ნაკრებში გააგრძელებს მუშაობას.

რაც შეეხება **ლუის ვან გაალს**, მისი კანდიდატურა ფედერაციის სამწვრთნელო სიაში ერთ-ერთი პირველია. თუმცა აქ წინააღმდეგობა შეიძლება გაჩნდეს. ვან გაალს "ალკმაართან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე დაიჭირა თადარიგი და ხელშეკრულების გაგრძელებაზე მოლაპარაკებებიც დაიწყო. ბატონი ლუისი თავიდან ყოყმანობდა. ამას "ალკმაარის" ფანების მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. მათ სახელგანთქმული სპეციალისტი არ ეთმობათ და მისი წასვლის შემთხვევაში, თურმე აქციებით იმუქრებიან...

ერთიცაა აღსანიშნავი: ჩვენი ინფორმაციით, ფედერაციის ხელმძღვანელობა აქცენტს არ გააკეთებს ასაკოვან (ვგულისხმობთ 65-ს გადაცილებულ სპეციალისტს) მწვრთნელზე. არც ძალიან ახალგაზრდა გვინდა და არც ასაკოვანი, ეროვნულ გუნდს ენერგიული ხელმძღვანელი სჭირდებაო...

ბუნებრივია, იკითხავთ, არიან თუ არა ფედერაციის სიაში ქართველი მწვრთნელები? მათგან, საფეხბურთო საზოგადოებაში ორი ვარიანტია გამოკვეთილი: **თემურ ქეცბაია** და **რევაზ ძოძუაშვილი**. როგორც გავიგეთ, ფედერაცია ძოძუაშვილზე არ ფიქრობს. ჯერ ერთი, ძოძუაშვილი ყარაღანდის (ყაზახეთი) "შახტიორის" თავკაცია, და მეორეც: ფედერაციის ხელმძღვანელთა ინტერესში არაა ე.წ. კარუსელის დატრიალება, ანუ, არ დასაქმდება ის, ვინც ნაკრებს ადრე წვრთნიდა. რაც შეეხება ქეცბაიას, მისდამი შეთავაზება, რაც ასისტენტის თანამდებობას გულისხმობს, ძალაში რჩება.

ამ კვირიდან უკვე სიის გაცხრილვას უნდა ველოდოთ და აპრილის შუა რიცხვებისთვის სადღაც 4-5 ვარიანტი დარჩება. კონკრეტული მოლაპარაკებებიც ამის მერე დაიწყება.



ტერი ვენეიბლზი



ჰოვარდ უილკინსონი



ჰენრი კასპერჩაკი

**დავით ცაბაძე**

სამწვრთნელო სპეკულაციები

# ვან გაალი მწვრთნელად, შოთა ასისტენტად?



ლუის ვან გაალი

თბილისი ჭორების ქალაქიაო, ამბობენ. ყველას, ვისაც არ ეზარება, საკუთარ ვერსიას სიმართლედ ასაღებს და ძნელია, ასეთ ვითარებაში გაარკვიო, სად არის ჭორი და სად სიმართლე. თუმცა ამბავი, რომელსაც ახლა გამცნობთ, სინამდვილესთან ახლოსაა და ამას საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს.

მოკლედ, საქმე საქართველოს ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის პოსტზე შესაძლო კანდიდატებს ეხებათ. **ფოლკერ ფინკე** და **ლუის ვან გაალი**. გერმანელი ქართულ ფეხბურთს გაცილებით უკეთ იცნობს და შვიდი ჩვენებურის დაწინაურებაში ლომის წილიც მიუძღვის. მისი ხელშეწყობით ალმოჩნდნენ "ფრაიბურგში" **ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი, გიორგი კიკნაძე, ზაზა ზამთარაძე**, 2006 წელს კი 17 წლის **დავით თარგამაძეც**.

ქართველებისადმი სიმპათიის გამო, "ფრაიბურგის" ან უკვე ექსმწვრთნელს გულშემატკივრები ფინკეშვილს უწოდებენ. მისი კანდიდატურა ფეხბურთის ფედერაციისთვის მისაღები სწორედ ამის გამო გახდა - სხვას რომ ორი-სამი წელი დასჭირდება, ის ინფორმაცია ქართულ ფეხბურთზე მას უკვე გააჩნია. გავიხსენოთ, რომ ჩვენი ნაკრების ცხელ სკამზე ფინკეს კანდიდატურა აქამდე ორჯერ განიხილებოდა. ერთხელ, **ყიფიანი-ძოძუაშვილის** ტანდემის გათავისუფლების შემდეგ, მეორედ კი 2006 წლის დასაწყისში, ვიდრე ფედერაცია, დროის სიმცირის გამო, ნაჩქარევად **კლაუს ტოპმიოლერს** მოიწვევდა.

თუმცა ფედერაციისთვის გაცილებით სასურველ და რეალურ კანდიდატად ჰოლანდიის ნაკრებში, "აიაქსში", "ბარსელონასა" და "ალკმაარში" ნამუშევარი, 56 წლის **ლუის ვან გაალს** ასახელებენ.

ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტი ქართულ ფეხბურთს არ იცნობს. სამაგიეროდ, ძალიან ახლოს იცნობს და ენდობა **შოთა არველაძეს**. საინტერესო დეტალი: "ლევანტეში" გადასვლის შემდეგ, ვან გაალმა შოთას სამი-ოთხი დღით ჰოლანდიაში ჩასვლა და "ალკმაარის" ვარჯიშში დახმარება სთხოვა.

ის ჯერ კიდევ შარშან ამბობდა, რომ შოთა, ფაქტობრივად, მას მოედანზე ცვლის და რომ გაცილებით ნიჭიერი ადამიანია, ვიდრე მის ხელში გაზრდილი ნებისმიერი ჰოლანდიელი. არადა, ამ ხელში ფრანკ **რაიკაარდს, დანი ბლინდს** და ძმებ **დე ბურებს** გამოუვლიათ.

*"მე მოედანზე მომხდარი ათი მოვლენიდან ათივეს ვხედავ, შოთა კი ცხრას. იმ ერთსაც მარტივი მიზეზი აქვს: არველაძე ამ დროს მოედანზეა, ამ მოვლენას კი ის მხოლოდ მწვრთნელის სკამიდან დაინახავდა"* - თქვა ერთხელ ბატონმა ლუისმა.

შოთას მისწრაფება, კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელი გახდეს, უცხო არ არის. თუკი ფეხბურთის ფედერაცია სახელმწიფოსგან ვან გაალის ჩამოსაყვან თანხას მიიღებს, შოთაზე უკეთეს ასისტენტს ვერც მოძებნის. არველაძე გახდება ის წყარო, რომელიც ქართულ ფეხბურთზე ინფორმაციულ ვაკუუმს შეუვსებს და დაეხმარება.

სხვადასხვა წყარო ამტკიცებს, რომ ფედერაციის არჩევანი სწორედ ამ დუეტზე შეჩერდა და ჰოლანდიელის თანხმობის შემთხვევაში, ეროვნულ ნაკრებს ვან გაალი-არველაძის ტანდემი ჩაიბარებს.

ეს უდავოდ საინტერესო და სასურველი ვარიანტია. ვფიქრობთ, არ არის სწორი, უცხოელ მთავარ მწვრთნელს ასისტენტიც თავისიანი ჰყავდეს. მას ერთი ადამიანი მაინც უნდა ედგეს გვერდით ისეთი, ვინც ქართულ ფეხბურთს, ქართველი ფეხბურთელის ხასიათს კარგად იცნობს. დიახ, უცხოელს "მარჯვენა ხელად" ქართველი სჭირდება. აკი ამის გამოც აკრიტიკებდნენ ტოპმიოლერს, **ქეცბაია** ან **ცხადაძე** რომ არ დაიყენა გვერდით...

**მერაბ მამულაშვილი**

# ვინ არის ბრანკო ივანკოვიჩი

## გამოცდილება გერმანიიდან და ირანიდან

როგორც ზემოთ ვთქვით, რამდენიმე სახელგანთქმულ მწვრთნელთან ერთად, ეროვნული ნაკრების თავკაცობის კანდიდატად 54 წლის ხორვატი **ბრანკო ივანკოვიჩის** კანდიდატურაც განიხილება. ვერ ვიტყვით, რომ მას მთელი მსოფლიო იცნობს, მაგრამ მაინც საკმაოდ საინტერესო ბიოგრაფია აქვს.

ივანკოვიჩს სანაკრებო გამოცდილება არ აკლია. წარმატება მას მთავარი მწვრთნელის რანგშიც მოუპოვებია და ასისტენტად მუშაობის დროსაც. მან ირანის ეროვნული ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა, სადაც ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა (1:3 მექსიკასთან, 0:2 პორტუგალიასთან, 1:1 ანგოლასთან). ამის შემდეგ მისი და ირანელთა გზები გაიყო და ივანკოვიჩმა ზაგრების "დინამო" ჩაიბარა, რომელთან ერთადაც ხორვატიის ჩემპიონი გახდა. თავისი ქვეყნის წამყვანი კლუბი მან მიმდინარე წლის 14 იანვარს დატოვა.

ირანის გარდა, ივანკოვიჩს გერმანიაშიც უმუშავია. 1999 წლის ივლისიდან 2000 წლის თებერვლამდე იგი "ჰანოვერის" მთავარი მწვრთნელი იყო, საიდანაც არასახარბიელო შედეგების გამო დაითხოვეს.

კარიერის მთავარი ჯილდო, მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი, ივანკოვიჩმა 1998 წელს, ხორვატიის ნაკრებთან ერთად მოიგო. მაშინ იგი **მიროსლავ ბლაჟევიჩის** ასისტენტი იყო. ხორვატთა მეორე მწვრთნელად იგი 2000-2001 წლებშიც მუშაობდა.

პირველი გუნდი, რომელსაც ივანკოვიჩი წვრთნიდა, "ვარტექსი" იყო 1991 წელს. ამის შემდეგ მან "რიეკაშიც" იმუშავა. ხორვატიის ნაკრები ერთადერთი გუნდი გახლდათ, სადაც ივანკოვიჩი ასისტენტად მოღვაწეობდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ლეგიონი

# არველაძის სერიოზული განაცხადი

შოთა არველაძე ნელ-ნელა უშინაურდება ესპანურ პრიმერას. ამჯერად მან მოედანზე გაცილებით მეტი დრო გაატარა, ვიდრე ვალენსიურ დერბიში. მართალია, მან განწირულ "ლევანტეს" ვერაფერი უშველა, მაგრამ ჩვენ ის გვახარებს, რომ ვეტერანმა ქართველმა შეძლო ურთულეს ტრავმასთან გამკლავება.

ძალიან სასიხარულო ამბები მოდის ყაზანიდან, სადაც ქართველთა "რუბინი" ყოჩაღობს, განსაკუთრებით კი საქართველოს ნაკრების მცველი დავით კვირკველია გამოირჩევა, რომელმაც "რუბინის" მაისურით პირველი გოლი გაიტანა. აზერბაიჯანში დუბლი შეასრულა გიორგი ადამიამ, ხოლო კახი ცხადაძის "სტანდარდმა" პირველად მოიგო დიდი ანგარიშით. ჩვენი ლეგიონის არეალი ბელარუსით, ლატვიით და სომხეთით გაიზარდა, სადაც ასევე დაიწყო ჩემპიონატები, თუმცა ამაზე დაწვრილებით ხვალ.

## კობის ურუგვაელი არჩიეს

ბუნდესლიგის მორიგმა ტურმა თითქმის უქართველოდ ჩაიარა. **ლევან კობიაშვილის** „შალკემ" შინ 1:0 დაამარცხა როსტოკის „ჰანზა". **მირკო სლომკამ** ამჯერად კობიაშვილს ურუგვაელი **ვისენტე სანჩესი** ამჯობინა. ხოლო „კარლსრუე" სტუმრად 0:1 დამარცხდა „არმინიასთან", **ალექსანდრე იაშვილმა** ბოლო 17 წუთი ითამაშა, მან **ბრედლი კარნელი** შეცვალა. „შპორტალმა" იაშვილი შეუფასებლად დატოვა. „შალკე" მოგებით მეორე ადგილზე გადავიდა, გელზენკირხენელებს 48 ქულა აქვთ. „კარლსრუე" 38 ქულით მეცხრეა.

ქართველთა „კარლ ცაისმა" შინ 3:0 გაანადგურა **დავით სირაძის** ყოფილი გუნდი „პადერბორნი" და ბოლო ადგილი გადაულოცა. **ილია კანდელაკმა** შეუცვლელად ითამაშა, **გიორგი ონიანი** ბოლო წუთზე გამოჩნდა პირველი გოლის ავტორ **ალაგუის** ნაცვლად, **გიორგი სეთურიძე** კი სათადარიგო იყო. **ოთარ ხიზანეიშვილი** არ ყოფილა მოედანზე, როცა „ფრაიბურგი" ჰამბურგში 5:0 გაანადგურეს. „ფრაიბურგი" 43 ქულით მეექვსე ადგილზეა, „კარლ ცაისს" 25 ქულა აქვს და ბოლოსწინაა. „შპორტალმა" კანდელაკის თამაში 4 ბალით შეაფასა.

19-წლამდელთა ბუნდესლიგაში "შალკემ" **ლევან ყენიას** დახმარებით 4:1 დაამარცხა "ბორუსია", ლევანის ანგარიშზე ერთი საგოლე პასია.

## შოთა ესპანეთს ეჩვევა

**კახა კალაძეს** საიტმა "გოლმა" "კალიარისთან" თამაშისთვის 6,5 ქულა დაუწერა, საიტზე აღნიშნეს, რომ კახას ნაკლები სამუშაო ჰქონდა. ამ მატჩის (3:1) პირველ ტაიმში ქართველმა მცველმა ყვითელი ბარათი მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ შემდეგ ტურს, "იუვენტუსთან" პრინციპულ მატჩს, საქართველოს ნაკრების კაპიტანი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს. "მილანი" 52 ქულით მეხუთე ადგილზეა.

"ბლექბერნი" შინ "ტოტენჰემს" 1:1 დაუზავდა, **ზურაბ ხიზანიშვილის** გუნდი პრემიერლიგაში 51 ქულით მერვე ადგილზეა. სამწუხაროდ, ზურა სასტარტო შემადგენლობიდან **კრისტოფერ სამბამ** ამოაგდო, რომელიც დისკვალიფიკაციის შემდეგ დაუბრუნდა გუნდს.

**შოთა არველაძის** "ლევანტე" უიმედოდ აგებს, თუმცა ჩვენ ის გვახარებს, რომ ქართველი ვეტერანი ნელ-ნელა უბრუნდება მწვანე მინდორს. "ლევანტე" 19 ქულით ბოლოა პრიმერაში. შოთამ "ვალიადოლიდთან" მატჩში (0:3) ბოლო 16 წუთი ითამაშა. 0-2-ზე მან **მეტიუ ბერსონი** შეცვალა.

## კინკილა გოლი 667 წუთში

შვეიცარიაში სეზონის განმავლობაში **სანდრო იაშვილი** 677 წუთი იყო ჯამში მოედანზე და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. ამას თუ დავურთავთ, რომ მისი "თუნი" მაჩანაჩალა კლუბია და 29 ტურში მხოლოდ 25 გოლი აქვს გატანილი, სანდროს "დინამოში" ტრიუმფის მერე ჩავარდნილი სეზონი გამოსდის.

## ქართველები სკამზე ან დუბლებში

ამ ტურში სათადარიგოთა სკამზე დარჩნენ კიევის არსენალელი **გიორგი დემეტრაძე** და ზარიელი **ვლადიმერ ბურდული**, რაც, სამწუხაროდ, უკვე ტრადიციად ექცათ ამ ფეხბურთელებს. ინტერესს იწვევდა ლიდერთა შორის მყოფი "მეტალისტისა" და "დნიპროს" შეხვედრა. მატჩი ხარკოველებმა მინიმალური ანგარიშით - 1:0 მოიგეს. **ჯაბა კანკავა** 85-ე წუთზე შეცვალეს, მისი თანაგუნდელი **სანდრო კობახიძე** კი სათადარიგო იყო. "ხარკოვმა" სტუმრად 4:1 გაანადგურა "ნეფტიანიკი", **კახა ალადაშვილი** 82-ე წუთამდე მოედანზე იყო და აქტიურად ერთვებოდა შეტევებში.

## წიტაიშვილის საგოლე

კვიპროსში რეგულარული სეზონის დასრულების მერე პირველი ოთხეული ჩემპიონობისთვის აგრძელებს ბრძოლას, მეორე კი - ინტერტოტოს თასის საგზურისთვის. **თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისი" სტუმრად აპოელ-ს დაუზავდა - 1:1 და ამავე კლუბს 9 ქულით უსწრებს. **კობა წიტაიშვილი** 63-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე და **ნიკოლაუს** საგოლე პასი მისცა.

ინტერტოტოს თასისთვის იბრძვის **ლევან მაღრაძის** "აპოლონი", ამ ტურში მაღრაძის გუნდმა სტუმრად 2:1 დაამარცხა აპოპ-ი. **ლევან ქებაძემ** 90 წუთი ითამაშა "ენოსისთან" 1:1 დასრულებულ მატჩში. "აპოლონი" 43 ქულით პირველია "ინტერტოტოს ჯგუფში", "ეთნიკოსი" კი - ბოლო, მეოთხე (36 ქულა).

## კვირკველია პირველია, კვირკველიას პირველი

შესაშური სტარტი აიღო რუსეთში ყაზანის "რუბინმა", თათრეთის კლუბი 4 თამაშიდან უდანაკარგოდ ლიდერობს გათამაშებას. სასიხარულოა, რომ ამაში თავიანთი წვლილი შეაქვთ ქართველ მცველებს, **დავით კვირკველიასა** და **ლაშა სალუქვაძეს**. "რუბინმა" შინ 2:1 დაამარცხა "ტომი". 65-ე წუთზე ამ გუნდის მაისურით პირველი გოლი გაიტანა დავით კვირკველიამ, რომელმაც ბურთი ჩაწოდებისას კარის კუთხესთან მიიღო და გოლი მკერდით გაიტანა. გოლამდე წუთით ადრე მოედნიდან ლაშა სალუქვაძე გაიყვანეს. მატჩის შემდეგ **ყურბან ბერდიევმა** აღნიშნა, რომ სალუქვაძე სასტარტო შემადგენლობაში იმიტომ დააყენა, რომ "ტომს" ბევრი მაღალი ფეხბურთელი ჰყავს, ლაშა კი მეორე სართულზე კარგად თამაშობს.

მოსკოვის "ლოკომოტივი" "სატურნს" ეწვია და ქართველთა დახმარების გარეშე დაამარცხა - 2:1. შორეული აღმოსავლეთის "ლუჩი" "შინიკთან" სტუმრად დამარცხდა - 1:2, **ლევან გვაზავამ** 90 წუთი ითამაშა. ქართული ტრიოს "სპარტაკი" ნალჩიკში 0:2 დამარცხდა მოსკოვის "დინამოსთან". **ალექსანდრე ამისულაშვილმა** შეუცვლელად ითამაშა და ერთხელ საჯარიმო სახიფათოდ დაარტყა, თუმცა 22 მეტრიდან ოდნავ ააცილა ბურთი კარს. ვერაფრით გამოიჩინა თავი **დავით სირაძემ**, რომელიც მე-80 წუთზე შეცვალეს. **გოგიტა გოგუა** მოედანზე 69-ე წუთზე გამოჩნდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე



კვირკველიას (27) პირველი გოლი რუსეთში

| ფეხბურთელი | მატჩი | ანგ. | შენიშვნა | სტატ. |
|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XXVII ტური | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე-ჰანზა | 1:0 | სათადარიგო | 11 თ. 1 გ. |
| ალექსანდრე იაშვილი | არმინია-კარლსრუე | 1:0 | 17 წთ. (შეცვლაზე) | 23 თ. 0 გ. |
| მეორე ბუნდესლიგა. XXIV ტური | | | | |
| ილია კანდელაკი | კარლ ცაისი-პადერბორნი | 3:0 | 90 წუთი | 13 თ. 0 გ. |
| გიორგი ონიანი | კარლ ცაისი-პადერბორნი | 3:0 | 1 წთ. (შეცვლაზე) | 11 თ. 0 გ. |
| გიორგი სეთურიძე | კარლ ცაისი-პადერბორნი | 3:0 | სათადარიგო | 0 თ. 0 გ. |
| ოთარ ხიზანეიშვილი | ჰამბურგი-ფრაიბურგი | 5:0 | არ უთამაშია | 2 თ. 0 გ. |
| მათე ღვინიანიძე | ფიურტი-მიუნხენი | 3:1 | ტრავმა | 13 თ. 0 გ. |
| **ინგლისი** | | | | |
| პრემიერლიგა. XXXIII ტური | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 1:1 | არ უთამაშია | 12 თ. 0 გ. |
| **ესპანეთი** | | | | |
| პრიმერა დივიზიონი. XXXI ტური | | | | |
| შოთა არველაძე | ლევანტე-ვალიადოლიდი | 0:3 | 16 წთ. (შეცვლაზე) | 2 თ. 0 გ. |
| **იტალია** | | | | |
| სერია A. XXXII ტური | | | | |
| კახა კალაძე | მილანი-კალიარი | 3:1 | 90 წუთი, გააფრთხილეს | 22 თ. 0 გ. |
| **შვეიცარია** | | | | |
| სუპერლიგა. XXIX ტური | | | | |
| სანდრო იაშვილი | არაუ-თუნი | 3:0 | 31 წთ. (შეცვლაზე) | 22 თ. 1 გ. |
| **დანია** | | | | |
| სუპერლიგა. XXII ტური | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ორხუსი-ვიბორგი | - | დღეს | 5 თ. 0 გ. |
| **ავსტრია** | | | | |
| ბუნდესლიგა. XXXIII ტური | | | | |
| გიორგი შაშიაშვილი | ზალცბურგი-შტურმი | 3:0 | 90 წუთი | 29 თ. 0 გ. |
| ერსტე ლიგა. XXXII ტური | | | | |
| მირზა ბუალავა | ავსტრია ლ.-გრატკორნი | 2:2 | 24 წთ. (შეცვლაზე) | 6 თ. 0 გ. |
| **ჩეხეთი** | | | | |
| გამბრინუს ლიგა. XXIV ტური | | | | |
| გიორგი განუგრავა | ლიბერეცი-მლადა | 1:2 | არ უთამაშია | 2 თ. 0 გ. |
| **რუსეთი** | | | | |
| პრემიერ ლიგა. IV ტური | | | | |
| გოგიტა გოგუა | სპარტაკი ნ.-დინამო | 0:2 | 21 წთ. (შეცვლაზე) | 4 თ. 0 გ. |
| დავით სირაძე | სპარტაკი ნ.-დინამო | 0:2 | 80 წთ. (შეცვალეს) | 4 თ. 0 გ. |
| ალ. ამისულაშვილი | სპარტაკი ნ.-დინამო | 0:2 | 90 წუთი | 4 თ. 0 გ. |
| ლევან გვაზავა | კრილია-ლუჩი | 2:1 | 90 წუთი | 4 თ. 1 გ. |
| მალხაზ ასათიანი | სატურნი-ლოკომოტივი | 1:2 | არ უთამაშია | 0 თ. 0 გ. |
| დავით მუჯირი | სატურნი-ლოკომოტივი | 1:2 | არ უთამაშია | 1 თ. 0 გ. |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი-ტომი | 2:1 | 64 წთ. (შეცვალეს) | 3 თ. 0 გ. |
| დავით კვირკველია | რუბინი-ტომი | 2:1 | 90 წუთი, 1 გოლი | 4 თ. 1 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი-ტომი | 2:1 | ტრავმა | 0 თ. 0 გ. |
| **უკრაინა** | | | | |
| ვიშა ლიგა. XXIV ტური | | | | |
| ჯაბა კანკავა | მეტალისტი-დნიპრო | 1:0 | 85 წთ. (შეცვალ.), გააფრთ. | 18 თ. 3 გ. |
| ალექსანდრ კობახიძე | მეტალისტი-დნიპრო | 1:0 | სათადარიგო | 1 თ. 0 გ. |
| გიორგი დემეტრაძე | ტავრია-არსენალი | 1:1 | სათადარიგო | 18 თ. 3 გ. |
| ლადო ბურდული | ზარია-კრივბასი | 1:2 | სათადარიგო | 16 თ. 0 გ. |
| კახა ალადაშვილი | ნეფტიანიკი-ხარკივი | 1:4 | 82 წთ. (შეცვალ), გააფრთ. | 15 თ. 0 გ. |
| ლაშა ჯაკობია | ვორსკლა-მეტალურგი ზ. | 2:1 | არ უთამაშია | 3 თ. 0 გ. |
| **კვიპროსი** | | | | |
| A დივიზიონი. II რაუნდი | | | | |
| ლევან ქებაძე | ენოსისი-ეთნიკოსი | 1:1 | 90 წუთი | 10 გ. |
| ლევან მაღრაძე | აპოპ-აპოლონი | 1:2 | არ უთამაშია | 0 გ. |
| კობა წიტაიშვილი | აპოელ-ანორთოსისი | 1:1 | 27 წთ. (შეცვლაზე), პასი | 2 გ. |



შოთა არველაძემ ამჯერად 16 წუთი ითამაშა

გიორგი შაშიაშვილის "შტურმი" "ზალცბურგთან" 0:3 დამარცხდა. "შტურმი" 47 ქულით მეხუთეზეა ავსტრიულ ბუნდესლიგაში. გიორგიმ მეორეადგილოსანთან 90 წუთი ითამაშა.

**გიორგი განუგრავას** "მლადა ბოლესლავი" 30 ქულით მეექვსეა ჩეხურ გამბრინუს ლიგაში. გუნდმა ამ ტურში სტუმრად 2:1 დაამარცხა "ლიბერეცი". ქართველს ამჯერად არ უთამაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი

XXXII ტური

### რენი-ბორდო 0:2

**რენი:** ლუზი, მბია, ჰანსონი, მენსა, ჯ. ტრაორე (25. ბ. დემბელე), ბრ. შეირუ (55. ვილტორი), ლემუანი, ს. მარვო (78. კემბო-ეკოკო), ჟ. ლერუა, პაჟისი, ბრიანი.

**ბორდო:** რამე, შალმე, ენრიკე, სო. დიავარა, ჟურიეტი, ა. დიარა, ფერნანდო, ალონსო (79. ობერტანი), ვენდელი, შამახი, ბელიონი (69. დუკასი).

**გოლები:** 0:1 ა. დიარა (18), 0:2 ფერნანდო (83)

**გაფრთხილება:** 1-2

**მაყურებელი:** 28 124

### სტ. ეტიენი-ლე მანი 4:1

**სტ. ეტიენი:** ვივიანი, ლ. პერენი, სალი, ტავლარიდისი, მ. დაბო, მატუიდი, ლანდრენი, დერნისი (75. გარენი), პეიე (60. ილანი), ფეინდუნო (90+1. მა. ფეიე), ბ. გომისი.

**ლე მანი:** ი. პელე, კალვე, სედრანი, გედერი, ბაალი, კუტადორი, რომარიკი (63. ჟერვინიო), სესენონი (70. იებდა), მაცუი, ლე ტალეკი, დე მელო (33. სამასა).

**გოლები:** 0:1 ლე ტალეკი (32), 1:1 დერნისი (43), 2:1 ბ. გომისი (59), 3:1 დერნისი (64), 4:1 ფეინდუნო (87)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 30 006

### ნიცა-ლილი 0:0

**ნიცა:** ლორისი, ჟონეშამი (24. ეშუაფნი), აპამი, კ. კანტე, როოლი, დ. დიაკიტე, ბალმონი, ელებუიკი, ედერსონი, მოდესტე (78. ბამოგო), ბ. კონე.

**ლილი:** სილვა, ბერია, რამი, ფრანკარი, ტაფორო, მავუბა, მაკუნი, კაბეიე, ობრანიაკი (62. ლიხტშტაინერი), ბასტოსი (90+2. დებუში), ფოვერგი (53. ფრო).

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 9 861

### ტულუზა-ლორიანი 0:0

**ტულუზა:** დუშე, ებონდო, არიბაჟე, ფოფანა, ილუნგა (78. მატიო), დიოზი, სირიეი, ემანა, სისოკო (46. მანსარე), გინიაკი, არაში (90. ბატლი).

**ლორიანი:** ოდარი, ჟალე, მარშალი, სიანი, მორელი, ოტკოერი (89. ჟუფრე), ევოლო, აბრიელი, მანსური, საიფი, მარენი (90+1. ბურპანი).

**გაძევება:** არიბაჟე (85. ტულუზა)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 19 620

### ლანსი-მეცი 1:1

**ლანსი:** რუნიე, ჰილტონი, კულიბალი, ბელავჯი, ლორენტი, დემონი, მონტერუბიო, კეიტა (70. მანგანი), კოვაჩევიჩი, მაულიდა, დინდანე (85. კარიერი).

**მეცი:** მარიშე, ვივიანი, ბასონგი, შტრასერი, კუბილიე, ფრანსუა (77. ნ'დიაიე), აგუაზი, ჟიგაქსი (25. ბესა), პიანიჩი, ბარბოზა, გუიე (68. გესტედი).

**გოლები:** 1:0 მონტერუბიო (34-პენ), 1:1 მომ. ნ'დიაიე (90+1)

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 35 952

### სტრასბური-მონაკო 0:2

**სტრასბური:** კასარი, პესლეი, დუკროკი, ბელედი, დოს სანტოსი, იოჰანსენი, ფანშონი, ლაკური, გამეირო, რენტერია, მულუნგი.

**მონაკო:** რომა, კუფრე, სამბუ, მონსორო, ადრიანო (46. მოდესტო), ალმირონი, მარტინი, პოკრივაცი, ნენე, ბაკარი (68. გაკპე), პიკიონი (78. ფაბიო სანტოსი).

**გოლები:** 0:1 ნენე (66), 0:2 ფაბიო სანტოსი (83)

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 19 110

### ოსერი-სოშო 0:1

**ოსერი:** რე. რიუ, ლეჟონი, მინო, სა. ტრაორე, ფ. ტომასი (46. კერსია), პოპოვი (72. კალენბერგი), პედრეტი, შაფნი, მუნტეანუ, ოლიეში (61. იელენი), ნიკულაე.

**სოშო:** რიშერი, პიშო, აფოლაბი, პერკისი, იოკიჩი, ნ'დავი, პიტრო (27. მატისი), მორის-ბელეი (90+1. ისაბეი), ს. დალმა, პანკრატი, ერდინგი (61. კ. ტრაორე).

**გოლი:** 0:1 პერკისი (44)

**გაფრთხილება:** 0-2

**მაყურებელი:** 9 800

### კაენი-ვალანსი 1:0

**კაენი:** პლანტე, სეობი, სორბონი, ენგბარტი, დერუანი, პრომანი, ნივე (74. გომისი), ლეკა, ელუჩანსი (74. ფლორენტენი), გუფრანი, ჟემაა (86. ტუდიჩი).

**ვალანსი:** პენეტო, დუკურტუა, უადუ, შელი, ტრაორე (76. ბეზაზი), დუმენგი, ჟეოვანიო, სანჩეს მორენო (67. დელმადი), ოდელი, პუჟოლი (67. სავიდანი), სებო.

**გოლი:** 1:0 ჟემაა (20)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 19 477

### ნანსი-პსჟ 1:0

**ნანსი:** ბრასილიანო, შრეტიენი, ანდრე ლუისი, პუიგრენიე, სოგე, ნ'გემო, ბერენგერი, მალონგა, ი. ჰაჯი, ის. დია (60. ფორტუნე), ზერკა (67. კურბელო).

**პსჟ:** ლანდრო, სეარა, ზ. კამარა, მ. სახო, არმანი, ბურილიონი (72. სოუზა), ჟ. კლემანი (71. ლუინდულა), ბ. მენდი (82. არნო), როტენი, დიანე, პაულეტა.

**გოლი:** 1:0 ფორტუნე (68)

**გაფრთხილება:** 2-2

**მაყურებელი:** 19 474

### მარსელი-ლიონი 3:1

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, ჟ. როდრიგესი (69. ზუბარი), ტაივო, კანა, ბენ. შეირუ, მ'ბამი, ნასრი, აკალე (82. გრანდენი), ჯ. სისე (76. ზენდენი), ნიანგი.

**ლიონი:** კუპე, ბუმსონგი, კლერკი, გროსო, სკილაჩი, ტულალანი (10. კალსტრიომი), ბოდმერი, ჟუნინიო, ფრედი (28. ბენ არფა), გოვუ, ა. კეიტა.

**გოლები:** 1:0 ჯ. სისე (25), 2:0 ნიანგი (27), 2:1 კანა (46-საკ. კარში), 3:1 ნიანგი (53)

**გაფრთხილება:** 4-2

**მაყურებელი:** 60 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 32 | 21 | 4 | 7 | 65-32 | 67 |
| 2. ბორდო | 32 | 18 | 7 | 7 | 56-34 | 61 |
| 3. ნანსი | 32 | 14 | 13 | 5 | 36-22 | 55 |
| 4. მარსელი | 32 | 14 | 10 | 8 | 47-34 | 52 |
| 5. ნიცა | 32 | 10 | 14 | 8 | 27-24 | 44 |
| 6. რენი | 32 | 12 | 8 | 12 | 35-38 | 44 |
| 7. ლე მანი | 32 | 12 | 8 | 12 | 36-42 | 44 |
| 8. ლილი | 32 | 9 | 16 | 7 | 34-26 | 43 |
| 9. სტ. ეტიენი | 31 | 12 | 7 | 12 | 37-32 | 43 |
| 10. ლორიანი | 32 | 10 | 13 | 9 | 27-31 | 43 |
| 11. კაენი | 32 | 11 | 10 | 11 | 35-43 | 43 |
| 12. ვალანსი | 32 | 11 | 8 | 13 | 37-32 | 41 |
| 13. სოშო | 32 | 10 | 11 | 11 | 29-34 | 41 |
| 14. მონაკო | 32 | 11 | 7 | 14 | 33-39 | 40 |
| 15. ოსერი | 32 | 11 | 7 | 14 | 29-40 | 40 |
| 16. ლანსი | 31 | 8 | 11 | 12 | 35-40 | 35 |
| 17. პსჟ | 32 | 8 | 11 | 13 | 28-35 | 35 |
| 18. ტულუზა | 32 | 7 | 14 | 11 | 28-34 | 35 |
| 19. სტრასბური | 32 | 9 | 8 | 15 | 29-37 | 35 |
| 20. მეცი | 32 | 4 | 7 | 21 | 22-56 | 18 |

**ბომბარდირები:** 17 - ბენზემა (ლიონი); 15 - ნიანგი (მარსელი); 12 - ჯ. სისე (მარსელი), დე მელო (ლე მანი), კავენაგი (ბორდო); 11 - ბ. გომისი (სტ. ეტიენი), საიფი (ლორიანი), ნიკულაე (ოსერი), ვენდელი (ბორდო), ბელიონი (ბორდო); 10 - ელმანდერი (ტულუზა), ბ. კონე (ნიცა), სავიდანი (ვალანსი).

### II დივიზიონი

XXXI ტური

| | |
|---|---|
| შატორუ-ამიენი | 1:1 |
| პავრი-ანჟერსი | 3:2 |
| გენიონი-ბულონი | 0:1 |
| ლიბურნი-დიჟონი | 2:0 |
| ბრესტი-გინგამი | 1:1 |
| კლერმონი-მონპელიე | 3:2 |
| ნანტი-ნიორი | 1:1 |
| რეიმსი-სედანი | 3:1 |
| ბასტია-აიაჩო | 0:1 |
| გრენობლი-ტრუა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პავრი | 31 | 20 | 8 | 3 | 48-28 | 68 |
| 2. ნანტი | 31 | 18 | 9 | 4 | 48-25 | 63 |
| 3. ტრუა | 30 | 15 | 8 | 7 | 40-29 | 53 |
| 4. კლერმონი | 31 | 12 | 12 | 7 | 44-35 | 48 |
| 5. გრენობლი | 30 | 13 | 9 | 8 | 36-27 | 48 |
| 6. ბასტია | 31 | 13 | 7 | 11 | 39-32 | 46 |
| 7. სედანი | 31 | 11 | 11 | 9 | 39-36 | 44 |
| 8. მონპელიე | 31 | 11 | 10 | 10 | 33-27 | 43 |
| 9. ანჟერსი | 31 | 11 | 10 | 10 | 30-30 | 43 |
| 10. ბრესტი | 31 | 11 | 10 | 10 | 31-35 | 43 |
| 11. გინგამი | 31 | 10 | 11 | 10 | 30-29 | 41 |
| 12. აიაჩო | 31 | 10 | 10 | 11 | 29-36 | 40 |
| 13. შატორუ | 31 | 9 | 10 | 12 | 29-33 | 37 |
| 14. რეიმსი | 31 | 10 | 7 | 14 | 37-45 | 37 |
| 15. ბულონი | 31 | 10 | 6 | 15 | 33-44 | 36 |
| 16. ამიენი | 31 | 8 | 10 | 13 | 37-42 | 34 |
| 17. ნიორი | 31 | 8 | 7 | 16 | 31-43 | 34 |
| 18. დიჟონი | 31 | 7 | 12 | 12 | 26-42 | 33 |
| 19. ლიბურნი | 31 | 7 | 9 | 15 | 36-46 | 30 |
| 20. გენიონი | 31 | 2 | 10 | 19 | 28-48 | 16 |

## ირლანდია

V ტური

| | |
|---|---|
| შემროკი-ბოჰემიანსი | 0:1 |
| სტ. პატსი-დერი | 0:1 |
| დროგედა-გალვეი | 1:0 |
| კორკი-უნივერსიტი | 1:0 |
| ბრეი-ფინ ჰარპსი | 1:0 |
| სლიგო-კობ რამბლერსი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დერი | 5 | 4 | 1 | 0 | 9-4 | 13 |
| 2. სტ. პატსი | 5 | 4 | 0 | 1 | 8-2 | 12 |
| 3. ბოჰემიანსი | 5 | 4 | 0 | 1 | 7-2 | 12 |
| 4. შემროკი | 5 | 3 | 1 | 1 | 6-2 | 10 |
| 5. დროგედა | 5 | 2 | 1 | 2 | 4-3 | 7 |
| 6. კორკი | 5 | 1 | 4 | 0 | 4-3 | 7 |
| 7. ფინ ჰარპსი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-7 | 6 |
| 8. სლიგო | 5 | 1 | 2 | 2 | 5-6 | 5 |
| 9. უნივერსიტი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-5 | 4 |
| 10. ბრეი | 5 | 1 | 1 | 3 | 1-7 | 4 |
| 11. კ. რამბლერსი | 5 | 0 | 2 | 4 | 3-9 | 2 |
| 12. გალვეი | 5 | 0 | 1 | 4 | 1-6 | 1 |

## ხორვატია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| სიბალია-შიბენიკი | გადაიდო |
| ჰაიდუკი-ოსიეკი | გადაიდო |
| ჰაიდუკი-ოსიეკი | გადაიდო |
| რიეკა-მედიმურიე | გადაიდო |
| სლავენი-ზადარი | გადაიდო |
| დინამო-ინკერი | გადაიდო |
| ზაგრები-ვარტექსი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 26 | 20 | 3 | 3 | 72-27 | 63 |
| 2. ჰაიდუკი | 26 | 12 | 8 | 6 | 48-32 | 44 |
| 3. სლავენი | 26 | 13 | 4 | 9 | 39-25 | 43 |
| 4. რიეკა | 26 | 11 | 9 | 6 | 38-27 | 42 |
| 5. ოსიეკი | 26 | 11 | 6 | 9 | 32-28 | 39 |
| 6. ზადარი | 26 | 11 | 6 | 9 | 41-39 | 39 |
| 7. ზაგრები | 26 | 8 | 9 | 9 | 39-34 | 33 |
| 8. ვარტექსი | 26 | 8 | 6 | 12 | 35-42 | 30 |
| 9. სიბალია | 26 | 8 | 6 | 12 | 32-41 | 30 |
| 10. შიბენიკი | 26 | 6 | 9 | 11 | 29-49 | 27 |
| 11. ინკერი | 26 | 7 | 6 | 13 | 24-51 | 27 |
| 12. მედიმურიე | 26 | 2 | 6 | 18 | 27-61 | 12 |

## სლოვენია

XXVI ტური

| | |
|---|---|
| ინტერბლოკი-მარიბორი | 1:0 |
| ნაფტა-პრიმორიე | 2:1 |
| პუბლიკუმი-დომჟალე | 0:1 |
| გორიცა-კოპერი | 2:4 |
| დრავა-ლივარი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დომჟალე | 26 | 15 | 7 | 4 | 44-19 | 52 |
| 2. კოპერი | 26 | 12 | 8 | 6 | 47-35 | 44 |
| 3. ინტერბლოკი | 26 | 13 | 5 | 8 | 36-25 | 44 |
| 4. გორიცა | 26 | 12 | 6 | 8 | 39-32 | 42 |
| 5. მარიბორი | 26 | 9 | 8 | 9 | 36-35 | 35 |
| 6. ნაფტა | 26 | 8 | 10 | 8 | 35-44 | 34 |
| 7. პუბლიკუმი | 26 | 9 | 5 | 12 | 30-29 | 32 |
| 8. დრავა | 26 | 9 | 5 | 12 | 35-49 | 32 |
| 9. პრიმორიე | 26 | 8 | 6 | 12 | 35-31 | 30 |
| 10. ლივარი | 26 | 4 | 2 | 20 | 31-70 | 14 |

## ისრაელი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| მაკაბი (ჰერ)-აშდოდი | 2:0 |
| ჰაპოელი (ქ)-ჰაპოელი (ქ-ს) | 1:3 |
| მაკაბი (ჰაიფ)-ბნეი იეჰუდა | 0:1 |
| მაკაბი (თ-ა)-მაკაბი (ნ) | 0:0 |
| მაკაბი (ფ-თ)-ბნეი შახნინი | 0:4 |
| ჰაპოელი (თ-ა)-ბეითარი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეითარი | 27 | 18 | 7 | 2 | 52-15 | 61 |
| 2. მაკაბი (ნ) | 27 | 12 | 10 | 5 | 30-17 | 46 |
| 3. ჰაპოელი (ქ) | 27 | 12 | 10 | 5 | 33-24 | 46 |
| 4. ბნეი შახნინი | 27 | 12 | 10 | 5 | 27-22 | 46 |
| 5. მაკაბი (ჰაიფ) | 27 | 12 | 5 | 10 | 31-20 | 41 |
| 6. მაკაბი (თ-ა) | 27 | 8 | 7 | 12 | 31-32 | 31 |
| 7. ჰაპოელ (თ-ა) | 27 | 9 | 4 | 14 | 29-34 | 31 |
| 8. ჰაპოელი (ქ-ს) | 27 | 7 | 10 | 10 | 33-45 | 31 |
| 9. მაკაბი (ფ-თ) | 27 | 8 | 6 | 13 | 24-34 | 30 |
| 10. მაკაბი (ჰერ) | 27 | 7 | 8 | 12 | 29-38 | 29 |
| 11. აშდოდი | 27 | 7 | 6 | 14 | 29-48 | 27 |
| 12. ბნეი იეჰუდა | 27 | 6 | 5 | 16 | 21-40 | 23 |

## შვედეთი

II ტური

| | |
|---|---|
| იურგორდენი-მალმიო | 1:1 |
| გეფლე-ნორჩოპინგი | 2:0 |
| გიოტებორგი-ერებრუ | 4:1 |
| ტრელებორგი-გაის | 3:1 |
| ჰელსინგბორგი-ჰალმსტადი | 1:1 |
| ელფსბორგი-აიკ | დღეს |
| ჰამარბიუ-სუნდსვალი | დღეს |
| კალმარი-ლიუნგსკილე | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გიოტებორგი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| 2. ჰელსინგბორგ | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 3. იურგორდენი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. ჰალმსტადი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 5. ტრელებორგ | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 6. გეფლე | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 7. ჰამარბიუ | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8. ერებრუ | 2 | 1 | 0 | 1 | 2-4 | 3 |
| 9. მალმიო | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 10. ელფსბორგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 11. აიკ | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 12. კალმარი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| 13. გაის | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 14. ლიუნგსკილე | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 15. ნორჩოპინგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 16. სუნდსვალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

## ჩრ. ირლანდია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| კლიფტონვილი-გლენავონი | 3:3 |
| დუნგანონი-ლარნი | 1:0 |
| ბალიმენა-დონეგალი | 0:0 |
| არმაგი-ინსტიტუტი | 1:1 |
| ლინფილდი-ნიური | 5:0 |
| პორტდაუნი-კოლერეინი | 1:5 |
| კრუზეიდერსი-გლენტორანი | 0:2 |
| ლიმავადი-ლისბურნი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლინფილდი | 27 | 21 | 4 | 2 | 66-18 | 67 |
| 2. გლენტორანი | 27 | 20 | 4 | 3 | 64-22 | 64 |
| 3. კლიფტონვილი | 27 | 18 | 6 | 3 | 53-26 | 60 |
| 4. ლისბურნი | 27 | 15 | 7 | 5 | 46-26 | 52 |
| 5. პორტდაუნი | 27 | 15 | 2 | 10 | 42-33 | 47 |
| 6. ბალიმენა | 27 | 11 | 6 | 10 | 37-38 | 39 |
| 7. კრუზეიდერსი | 27 | 10 | 7 | 10 | 42-43 | 37 |
| 8. ნიური | 27 | 11 | 3 | 13 | 39-48 | 36 |
| 9. კოლრეინი | 27 | 10 | 6 | 11 | 37-46 | 36 |
| 10. დუნგანონი | 27 | 9 | 8 | 10 | 35-38 | 35 |
| 11. დონეგალი | 27 | 6 | 8 | 13 | 31-43 | 26 |
| 12. გლენავონი | 27 | 7 | 3 | 17 | 31-49 | 24 |
| 13. ლარნი | 27 | 6 | 4 | 17 | 37-63 | 22 |
| 14. არმაგი | 27 | 5 | 6 | 16 | 28-47 | 21 |
| 15. ლიმავადი | 27 | 5 | 5 | 17 | 20-51 | 20 |
| 16. ინსტიტუტი | 27 | 4 | 7 | 16 | 21-38 | 19 |

## კოლუმბია

### აპერტურა

XII ტური

| | |
|---|---|
| ატლეტიკო (ჰ)-ლა ეკვიდადი | 1:0 |
| სანტა ფე-დეპორტივო კალი | 2:0 |
| ჩიკო-ტოლიმა | 7:2 |
| ამერიკა-დეპორ. (პერ) | გვ. დასრულდა |
| ატ. ხუნიორ-დეპორტეს | გვ. დასრულდა |
| ნასიონალი-კუკუტა | გვ. დასრულდა |
| ბუკარამანგა-ენვიგადო | გვ. დასრულდა |
| დეპორტ. (პას)-მილიონ | გვ. დასრულდა |
| კალდასი-ინდეპენდიენ | გვ. დასრულდა |

## ეკვადორი

### კლაუსურა

IX ტური

| | |
|---|---|
| ლ. დე კიტო-ტექ. უნივერსიტარიო | 3:1 |
| ოლმედო-ელ ნასიონალი | 0:2 |
| დეპ. კიტო-დეპ. კუენსა | 1:1 |
| დეპ. ასოგესი-ბარსელონა | 1:1 |
| დეპ. მაკარა-უნ. კატოლიკა | 1:2 |
| ემელეკი-ესპოლი | გვ. დასრულდა |

## აშშ

II ტური

| | |
|---|---|
| კანზასი-კოლორადო | 3:2 |
| დი სი იუნაიტედი-ტორონტო | 4:1 |
| ნიუ იორკი-კოლამბუსი | 2:0 |
| ჩივასი-სოლტ ლეიკი | 3:1 |
| ჰიუსტონი-დალასი | 3:1 |

## ბულგარეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ბოტევი-ლოკომოტივი (პ) | 1:2 |
| ბელასიცა-ვიდიმა | 1:0 |
| მარეკი-ჩერნო მორე | 1:4 |
| ვიხრენი-ლოკომოტივი (ს) | 1:0 |
| ცსკა-სლავია | 2:0 |
| ჩერნომორეცი-ბეროე | 2:0 |
| ლევსკი-სპარტაკი | 3:0 |
| ლიტექსი-პირინი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 22 | 17 | 5 | 0 | 35-8 | 56 |
| 2. ლევსკი | 22 | 14 | 4 | 4 | 38-14 | 46 |
| 3. ლოკომოტ (ს) | 22 | 12 | 7 | 3 | 40-23 | 43 |
| 4. ლიტექსი | 22 | 11 | 6 | 5 | 34-17 | 39 |
| 5. სლავია | 22 | 11 | 5 | 6 | 30-21 | 38 |
| 6. ჩერნომორეც | 22 | 9 | 7 | 6 | 27-22 | 34 |
| 7. ჩერნო მორე | 22 | 9 | 6 | 7 | 29-23 | 33 |
| 8. ლოკომოტ (პ) | 22 | 9 | 5 | 8 | 24-17 | 32 |
| 9. პირინი | 22 | 9 | 5 | 8 | 20-18 | 32 |
| 10. ბოტევი | 22 | 7 | 6 | 9 | 28-36 | 27 |
| 11. ბეროე | 22 | 6 | 5 | 11 | 17-23 | 23 |
| 12. ვიხრენი | 22 | 6 | 4 | 12 | 16-23 | 22 |
| 13. მარეკი | 22 | 5 | 3 | 14 | 15-38 | 18 |
| 14. სპარტაკი | 22 | 4 | 4 | 14 | 12-30 | 16 |
| 15. ბელასიცა | 22 | 4 | 4 | 14 | 11-33 | 16 |
| 16. ვიდიმა | 22 | 3 | 4 | 15 | 11-42 | 13 |

## პოლონეთი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| გურნიკი-გროცლინი | 0:0 |
| კორონა-ლკს | 2:0 |
| ლეხი-ოდრა | 2:0 |
| სოსნოვეცი-კრაკოვია | 1:2 |
| ვიძევი-იაგელონია | 2:0 |
| ზაგლები-პოლონია | 0:0 |
| ვისლა-რუხი | 2:0 |
| ბელხატოვი-ლეგია | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვისლა | 24 | 20 | 4 | 0 | 54-12 | 64 |
| 2. ლეგია | 24 | 16 | 2 | 6 | 39-13 | 50 |
| 3. გროცლინი | 24 | 15 | 4 | 5 | 42-19 | 49 |
| 4. ლეხი | 24 | 14 | 5 | 5 | 41-23 | 47 |
| 5. კორონა | 24 | 13 | 3 | 8 | 30-28 | 42 |
| 6. ზაგლები | 24 | 10 | 7 | 7 | 30-25 | 37 |
| 7. გურნიკი | 24 | 10 | 4 | 10 | 30-32 | 34 |
| 8. კრაკოვია | 24 | 9 | 4 | 11 | 20-23 | 31 |
| 9. ბელხატოვი | 24 | 8 | 7 | 9 | 23-29 | 31 |
| 10. იაგელონია | 24 | 7 | 6 | 11 | 20-35 | 27 |
| 11. ოდრა | 24 | 7 | 5 | 12 | 21-32 | 26 |
| 12. რუხი | 24 | 6 | 7 | 11 | 26-35 | 25 |
| 13. ვიძევი | 24 | 4 | 10 | 10 | 22-30 | 22 |
| 14. ლკს | 24 | 4 | 7 | 13 | 15-23 | 19 |
| 15. პოლონია | 24 | 5 | 4 | 15 | 12-37 | 19 |
| 16. სოსნოვეცი | 24 | 3 | 3 | 18 | 18-47 | 12 |

## უელსი

XXXII ტური

| | |
|---|---|
| ნიუ-კერნარფონი | 5:1 |
| უელშპული-ნიუთაუნი | 2:1 |
| პორტ ტელბოტი-კარმარტენი | 2:0 |
| ებერისტვიტი-ნითი | 1:2 |
| კერსოუსი-ლანგეფნი | 1:1 |
| ლანელი-ეირბასი | 1:0 |
| პორტმედოგი-კონელსი | 3:3 |
| ტნს-ჰავერფორდვესტი | 6:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლანელი | 31 | 25 | 4 | 2 | 93-32 | 79 |
| 2. ტნს | 30 | 22 | 3 | 5 | 78-27 | 69 |
| 3. რილი | 30 | 19 | 6 | 5 | 53-21 | 63 |
| 4. კარმარტენი | 32 | 15 | 8 | 9 | 56-43 | 53 |
| 5. პ. ტელბოტი | 31 | 15 | 8 | 8 | 51-41 | 53 |
| 6. ნითი | 32 | 15 | 7 | 10 | 54-49 | 52 |
| 7. ბანგორი | 31 | 14 | 9 | 8 | 59-28 | 51 |
| 8. უელშპული | 31 | 12 | 10 | 9 | 48-47 | 46 |
| 9. ებერისტვიტი | 32 | 13 | 6 | 13 | 55-42 | 45 |
| 10. ჰავერფორდვ. | 32 | 13 | 5 | 14 | 60-58 | 44 |
| 11. ეირბასი | 32 | 9 | 9 | 14 | 33-44 | 36 |
| 12. ნიუ | 32 | 11 | 2 | 19 | 44-65 | 35 |
| 13. ნიუთაუნი | 31 | 8 | 9 | 14 | 44-59 | 33 |
| 14. კონელსი | 31 | 8 | 7 | 16 | 37-78 | 31 |
| 15. კერნარფონი | 31 | 7 | 6 | 18 | 39-74 | 27 |
| 16. კერსოუსი | 32 | 6 | 7 | 19 | 35-69 | 25 |
| 17. ლანგეფნი | 31 | 7 | 3 | 21 | 38-77 | 24 |
| 18. პორტმედოგი | 32 | 6 | 5 | 21 | 47-70 | 23 |

## ნორვეგია

II ტური

| | |
|---|---|
| ალესუნდი-ბრანი | 4:2 |
| ფრედრიკსტადი-მოლდე | 2:1 |
| ჰამარი-ვიკინგი | 3:2 |
| ლინი-ბოდო გლიმტი | 3:1 |
| ტრომსიო-ვოლერენგა | 2:0 |
| სტაბეკი-ლილესტრიომი | 4:2 |
| სტრომსგოდსეტი-რუსენბორგი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტაბეკი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 2. ტრომსიო | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. ალესუნდი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 4. ლინი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 5. რუსენბორგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 6. ბრანი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-6 | 3 |
| 7. ბოდო გლიმტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 8. ვიკინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 9. ფრედრიკსტ | 2 | 1 | 0 | 1 | 4-5 | 3 |
| 10. ჰამარი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 11. ვოლერენგა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 12. მოლდე | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 13. ლილესტრიომ | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |
| 14. სტრომსგოდს | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |

### II დივიზიონი

I ტური

სტარტი-ნიბერგსუნდი 5:2; ბრინი-სიოგნდალი 0:1; ჰაუგესუნდი-ნოტოდენი 3:1; ჰიოდი-სპარტა 2:0; კონგსვინგერი-ალტა 1:3; ლოვ ჰამი-ჰიონეფოსი 1:0; ოდ გრენლანდი-სანდეფიორდი 2:1; სანდნესი-მოსი 1:1.

## პერუ

### აპერტურა

X ტური

| | |
|---|---|
| სენსიანო-სპორტი | 3:1 |
| ხოსე გალვესი-სპორტ ბოისი | 3:2 |
| სპ. კრისტალი-ატლეტიკო | 4:1 |
| მელგარი-სესარ ვალეხო | 1:1 |
| ს. მარტინი-ა. ატლეტიკ | გვ. დასრულდა |
| ხუან აურიჩი-ბოლონეს | გვ. დასრულდა |
| უნივერსიტ.-ალ. ლიმა | გვ. დასრულდა |

## იაპონია

V ტური

| | |
|---|---|
| ნაგოია-იოკოჰამა | 2:0 |
| ტოკიო-საპორო | 1:0 |
| კაშიმა-ჯეფ იუნაიტედი | 4:1 |
| ივატა-ურავა | 1:2 |
| კავასაკი-კიოტო | 0:1 |
| ომიია-ოიტა | 2:0 |
| გამბა-შიმიცუ | 2:0 |
| კაშივა-ნიიგატა | 0:0 |
| კობე-ვერდი | 0:1 |

## ჩეხეთი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-ბოლესლავი | 1:2 |
| სპარტა-ბუდეიოვიცე | 1:0 |
| ბანიკი-იაბლონეცი | 3:0 |
| ზლინი-ვიქტორია | 0:0 |
| ბრნო-მოსტი | 2:1 |
| ტეპლიცე-სიგმა | 1:1 |
| ბოჰემიანსი-კლადნო | 1:1 |
| პლზენი-სლავია | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტა | 24 | 15 | 5 | 4 | 45-18 | 50 |
| 2. სლავია | 23 | 14 | 7 | 2 | 36-15 | 49 |
| 3. ბანიკი | 24 | 11 | 9 | 4 | 40-23 | 42 |
| 4. ბრნო | 24 | 12 | 6 | 6 | 35-29 | 42 |
| 5. ტეპლიცე | 24 | 12 | 5 | 7 | 31-22 | 41 |
| 6. ლიბერეცი | 24 | 9 | 7 | 8 | 28-24 | 34 |
| 7. ბოლესლავი | 24 | 7 | 9 | 8 | 28-31 | 30 |
| 8. ზლინი | 24 | 8 | 6 | 10 | 22-27 | 30 |
| 9. პლზენი | 23 | 8 | 6 | 9 | 22-28 | 30 |
| 10. ვიქტორია | 24 | 7 | 7 | 10 | 29-41 | 28 |
| 11. ბუდეიოვიცე | 24 | 7 | 6 | 11 | 25-29 | 27 |
| 12. სიგმა | 24 | 5 | 12 | 7 | 15-20 | 27 |
| 13. იაბლონეცი | 24 | 6 | 8 | 10 | 16-23 | 26 |
| 14. კლადნო | 24 | 4 | 8 | 12 | 25-36 | 20 |
| 15. მოსტი | 24 | 4 | 8 | 12 | 27-42 | 20 |
| 16. ბოჰემიანსი | 24 | 3 | 9 | 12 | 17-33 | 18 |

## კვიპროსი

### საპრიზო ზონა

II ტური

| | |
|---|---|
| ომონია-აეკ | 0:0 |
| აპოელ-ანორთოსისი | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანორთოსისი | 2 | 0 | 2 | 0 | 52-16 | 66 |
| 2. აპოელ | 2 | 1 | 1 | 0 | 54-21 | 57 |
| 3. ომონია | 2 | 0 | 1 | 1 | 37-24 | 49 |
| 4. აეკ | 2 | 0 | 2 | 0 | 36-34 | 43 |

### ინტერტოტოს ზონა

II ტური

| | |
|---|---|
| ენოსისი-ეთნიკოსი | 1:1 |
| აპოპ-აპოლონი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აპოლონი | 2 | 1 | 1 | 0 | 43-35 | 43 |
| 2. ენოსისი | 2 | 1 | 1 | 0 | 33-34 | 40 |
| 3. აპოპ | 2 | 0 | 0 | 2 | 40-40 | 37 |
| 4. ეთნიკოსი | 2 | 0 | 2 | 0 | 36-37 | 36 |

### გასავარდნი ზონა

II ტური

| | |
|---|---|
| ალკი-დოქსა | 1:0 |
| არისი-აელ | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დოქსა | 2 | 0 | 1 | 1 | 40-43 | 35 |
| 2. ალკი | 2 | 2 | 0 | 0 | 35-41 | 33 |
| 3. აელ | 2 | 1 | 1 | 0 | 32-40 | 31 |
| 4. არისი | 2 | 0 | 0 | 2 | 25-39 | 27 |

## არგენტინა

### კლაუსურა

IX ტური

| | |
|---|---|
| ველესი-რასინგი | 1:1 |
| სან მარტინი-ურაკანი | 2:0 |
| არსენალი-ესტუდიანტესი | 0:0 |
| როსარიო-ნიუელსი | 0:1 |
| ბოკა-ბანფილდი | 1:1 |
| ინდეპენდიენტე-კოლონი | 1:3 |
| არგ. ხუნიორსი-ხიმნასია (ხ) | 1:1 |
| ხიმნასია (ლ-პ)-ოლიმპო | 4:2 |
| ლანუსი-რივერი | 0:1 |
| ტიგრე-სან ლორენსო | გვ. დასრულდა |

## ჩილე

### აპერტურა

XV ტური

| | |
|---|---|
| უაჩიპატო-დ. კონსეპსიონი | 3:2 |
| უნ. კონსეპსიონი-უნ. ესპანიოლა | 1:0 |
| კოლო კოლო-ევერტონი | 3:1 |
| ანტოფაგასტა-უნ. ჩილე | 2:1 |
| ატ. ნუბლენსე-ლა სერენა | 1:0 |
| ოსორნო-კობრელოა | 1:2 |
| რეინჯერსი-მელიპილა | 0:1 |
| ს. მორნინგი-კობრესალ | გვ. დასრულდა |
| ო'ჰიგინსი-აუდაქსი | გვ. დასრულდა |
| პალესტინ-უნ. კატოლ | გვ. დასრულდა |

## ურუგვაი

### კლაუსურა

VIII ტური

| | |
|---|---|
| სენტრალი-ხუვენტუდი | 2:0 |
| უონდერერსი-ბელა ვისტა | 0:2 |
| პენიაროლი-დანუბიო | 2:1 |
| პროგრესო-ლივერპული | 1:4 |
| ფენიქსი-დეფენსორი | 1:3 |
| მირამარი-რივერ პლეიტი | 1:3 |
| ნასიონალი-რამპლა | 1:0 |
| ტაკუარემბო-სერო | 0:1 |

## მექსიკა

### კლაუსურა

XIII ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-ტიგრესი | 2:1 |
| ატლასი-ნეკაქსა | 0:1 |
| ხაგუარესი-კრუს ასული | 1:2 |
| მონტერეი-ვერაკრუსი | 7:2 |
| მორელია-ს. ლაგუნა | 0:0 |
| ატლანტე-გვადალახარა | 1:1 |
| პუებლა-ტოლუკა | 1:2 |
| პუმასი-სან ლუისი | 2:3 |
| ამერიკა-პაჩუკა | გვ. დასრულდა |

## რუსეთი

IV ტური

| | |
|---|---|
| მოსკოვი-ხიმკი | 2:2 |
| ტერეკი-ცსკა | 1:0 |
| სატურნი-ლოკომოტივი | 1:2 |
| რუბინი-ტომი | 2:1 |
| კრილია-ლ. ენერგია | 2:1 |
| შინიკი-ზენიტი | 2:2 |
| სპარტაკი-ამკარი | 1:1 |
| ნალჩიკი-დინამო | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუბინი | 4 | 4 | 0 | 0 | 7-2 | 12 |
| 2. დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 6-1 | 10 |
| 3. ლოკომოტივი | 4 | 3 | 0 | 1 | 6-3 | 9 |
| 4. ამკარი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 7 |
| 5. ცსკა | 4 | 2 | 1 | 1 | 4-2 | 7 |
| 6. სპარტაკი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| 7. კრილია | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 6 |
| 8. ტერეკი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-7 | 6 |
| 9. ზენიტი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| 10. ლ-ენერგია | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 11. ტომი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 |
| 12. სატურნი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-6 | 3 |
| 13. ნალჩიკი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-6 | 3 |
| 14. შინიკი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-6 | 2 |
| 15. მოსკოვი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-7 | 2 |
| 16. ხიმკი | 4 | 0 | 2 | 2 | 5-10 | 2 |

## უკრაინა

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ტავრია-არსენალი | 1:1 |
| ზარია-კრივბასი | 1:2 |
| დინამო-მეტალურგი (დ) | 3:3 |
| ზაკარპატია-კარპატი | 1:2 |
| მეტალისტი-დნიპრო | 1:0 |
| ვორსკლა-მეტალურგი (ზ) | 2:1 |
| შახტარი-ჩერნომორეცი | 0:1 |
| ნაფტოვიკი-ხარკოვი | 1:4 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 24 | 17 | 4 | 3 | 48-22 | 55 |
| 2. შახტარი | 23 | 17 | 2 | 4 | 52-19 | 53 |
| 3. დნიპრო | 24 | 16 | 3 | 5 | 36-22 | 51 |
| 4. მეტალისტი | 24 | 14 | 4 | 6 | 36-25 | 46 |
| 5. ტავრია | 24 | 10 | 7 | 7 | 29-32 | 37 |
| 6. ჩერნომორეცი | 24 | 11 | 3 | 10 | 25-24 | 36 |
| 7. მეტალურ (ზ) | 24 | 9 | 6 | 9 | 21-22 | 33 |
| 8. კარპატი | 24 | 8 | 5 | 11 | 24-29 | 29 |
| 9. არსენალი | 24 | 7 | 7 | 10 | 36-35 | 28 |
| 10. კრივბასი | 24 | 7 | 6 | 11 | 26-31 | 27 |
| 11. მეტალურ (დ) | 24 | 4 | 11 | 9 | 24-30 | 23 |
| 12. ხარკოვი | 24 | 5 | 8 | 11 | 17-23 | 23 |
| 13. ვორსკლა | 24 | 5 | 8 | 11 | 17-25 | 23 |
| 14. ნაფტოვიკი | 24 | 5 | 7 | 12 | 13-28 | 22 |
| 15. ზარია | 23 | 6 | 3 | 14 | 16-32 | 21 |
| 16. ზაკარპატია | 24 | 3 | 8 | 13 | 13-36 | 17 |

## უნგრეთი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ზალაეგერსეგი-მტკ | 0:1 |
| სოპრონი-დიორი | 0:3 |
| დებრეცენი-ჰონვედი | 1:0 |
| შიოფოკი-კაპოშვარი | 0:2 |
| დიოშდიორი-ვაშაში | 4:5 |
| ფეჰერვარი-რეაკ | 2:1 |
| პაკში-ტატაბანია | 6:0 |
| უიპეშტი-ნირეძჰაზა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მტკ | 22 | 14 | 6 | 2 | 49-17 | 48 |
| 2. დიორი | 22 | 12 | 8 | 2 | 51-25 | 44 |
| 3. დებრეცენი | 22 | 12 | 6 | 4 | 42-24 | 42 |
| 4. უიპეშტი | 21 | 12 | 5 | 4 | 42-24 | 41 |
| 5. ჰონვედი | 22 | 11 | 5 | 6 | 37-23 | 38 |
| 6. კაპოშვარი | 22 | 10 | 7 | 5 | 32-28 | 37 |
| 7. ფეჰერვარი | 22 | 11 | 3 | 8 | 34-26 | 36 |
| 8. ზალაეგერსეგ | 22 | 9 | 5 | 8 | 42-31 | 32 |
| 9. ნირეძჰაზა | 21 | 9 | 5 | 7 | 24-23 | 32 |
| 10. ვაშაში | 22 | 7 | 5 | 10 | 29-36 | 26 |
| 11. პაკში | 22 | 5 | 7 | 10 | 35-39 | 22 |
| 12. რეაკ | 22 | 5 | 6 | 11 | 24-35 | 21 |
| 13. დიოშდიორი | 22 | 4 | 9 | 9 | 25-43 | 21 |
| 14. შიოფოკი | 22 | 4 | 7 | 11 | 22-34 | 19 |
| 15. სოპრონი | 22 | 2 | 5 | 15 | 10-49 | 11 |
| 16. ტატაბანია | 22 | 2 | 3 | 17 | 25-66 | 9 |

ჭადრაკი

# ფედერაცია სრული შემადგენლობით გადადგა



თამარ ხმიადაშვილი, მიხეილ კეკელიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, რომან სიჭინავა, კახა შალამბერიძე, გიორგი ყაჭეიშვილი

**გასული კვირის შაბათ დღეს ქართულ ჭადრაკში უმნიშვნელოვანესი ფაქტი მოხდა, შეიძლება ითქვას, სენსაციაც - საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობა სრული შემადგენლობით გადადგა.**

ვინც კი ქართულ საჭადრაკო ცხოვრებას ადევნებს თვალ-ყურს, კარგად მოეხსენება, რომ წელიწადზე მეტია გასული იმ დროიდან, როცა ფედერაციის ხელმძღვანელობა შეიცვალა და პრეზიდენტად არცთუ მდიდარი საჭადრაკო ბიოგრაფიის მქონე საერთაშორისო ოსტატი **რომან სიჭინავა** მოგვევლინა. ბატონი რომანი ბავშვობაში რიგიან მოჭადრაკედ ითვლებოდა, მაგრამ შემდეგ მიზეზთა გამო ჭადრაკს ჩამოშორდა, საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა და სულ სხვა სფეროში დაიწყო მოღვაწეობა.

სიჭინავა რვაწლიანი შესვენების შემდეგ საჭადრაკო სამყაროს დაუბრუნდა და აქაურთა კეთილგანწყობაც მოიპოვა - საჭადრაკო თემს ნათელი მომავლის იმედი მისცა და დააიმედა: - ყველას დამსახურებისამებრ მოგეზღვევათო, ამის გარანტიას კი ჩემი გუნდი იძლევაო. დაპირებებმა კარგად იმუშავა - ახალმა ძალამ ნდობა მოიპოვა და ხელისუფლებაშიც მოვიდა, მაგრამ სულ სამიოდ თვის შემდეგ მათ მიმართ სერიოზული პრეტენზიები გაჩნდა.

შაბათს გადადგა ფედერაციის ოთხივე ვიცე-პრეზიდენტი: **ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ყაჭეიშვილი, კახა შალამბერიძე** და **თამარ ხმიადაშვილი**, ასევე გენერალური მდივანი **მიხეილ კეკელიძე**.

დოკუმენტურად ერთნი ამ გადაწყვეტილებას ოჯახური მიზეზით ხსნიან, მეორენი საერთო პასუხისმგებლობის გაზიარების მოტივს ეყრდნობიან, სხვები კი გაურკვეველ ფორმულირებას მიმართავენ. ფაქტი ერთია, ამ ჯგუფმა ძალიან ცუდად იმუშავა და კანონის უხეში დარღვევით პირადი სარგებლობისთვის გამოიყენა თანამდებობა.

გამგეობამ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა. გასარკვევი დარჩა პრეზიდენტის პოზიცია. **რომან სიჭინავა** ორიოდ თვეა, მოსკოვში იმყოფება და თუკი მის სიტყვებს ვენდობით, მკურნალობს. თუმცა, აქაურ ოპოზიციის წარმომადგენლებს მისი არ სჯერათ და რუსეთში გადახვეწას პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას უკავშირებენ.

რახან მისი გუნდის ყველა წევრი გადადგა, საჭადრაკო სამყარო ბატონი რომანის გადადგომის ცნობის მიღებასაც ელის. იმის გამო, რომ ის საქართველოში არ იმყოფება, გამგეობამ მიზანშეწონილად მიიჩნია სიტყვიერი თანხმობაც. წინასწარი ინფორმაციით, რომან სიჭინავა დღეს ოფიციალურად გააკეთებს განაცხადებას გადადგომის თაობაზე. თუ ასეთი განცხადება არ გაკეთდა, ამ შემთხვევაში ჭადრაკის ფედერაციის მმართველი ორგანო (გამგეობა) პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხს დააყენებს.

ვინ რაში და რამდენად არის დამნაშავე, ამას მალე გავიგებთ, - ამ საკითხს ნათელს სპეციალური საგამოძიებო კომისია მოჰფენს, რომელიც შაბათსვე, გამგეობის სხდომაზე შეიქმნა. კომისიაში ხუთი ავტორიტეტული პიროვნება შევიდა: **თამაზ გიორგაძე, კახი ჩიგოგიძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ვაჟა შუბლაძე** და **თამარ ხმიადაშვილი**. კომისიას დაევალა, ერთი კვირის განმავლობაში შეისწავლოს ფედერაციის მიერ გაწეული სამუშაო და მომავალ შაბათს გამგეობას წარუდგინოს გარკვეული ტიპის დასკვნა, რის საფუძველზეც მიიღება შემდგომი მოქმედების გეგმა...

საჭადრაკო სამყაროში ეჭვი აქვთ, რომ სიჭინავას ხელმძღვანელობის დროს ფედერაციაში ხშირად და უხეშად ირღვეოდა კანონი, იყო ფინანსური დარღვევებიც. კომისიაც, ძირითადად, ამ მიმართულებით იმუშავებს.

**ზვიად შათირიშვილი**

ფრენბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ქალები

# თუ სასწაული არ მოხდა

## ფინალი ჯიკო-სპორტსკოლა იქნება

| VIII ტური | |
|---|---|
| დუშეთი-ბათუმი | 3:0 (25:18, 25:18, 25:7) |
| ქუთაისი-თბილისი | 0:3 (16:25), 20:25, 21:25) |
| ჯიკო-ბოლნისი | 3:0 (25:16, 25:20, 25:15) |
| **მე-9 ტური** | |
| ჯიკო-ბათუმი | 3:0 (25:6, 25:15, 25:16) |
| თბილისი-ბოლნისი | 3:0 (25:20, 25:22, 25:22) |
| დუშეთი-ქუთ. | 3:1 (26:24, 25:22, 18:25, 25:23) |
| **მე-10 ტური** | |
| დუშეთი-ბოლნ. | 3:1 (25:23, 25:18, 18:25, 29:27) |
| ქუთაისი-ბათ. | 1:3 (17:25, 26:28, 25:23, 28:30) |
| **მთავარი მატჩი** | |
| ჯიკო -სპორტსკოლა | 3:2 |
| 25:14 16:25 24:26 25:22 15:10 | |

ჯიკო: აირაპეტიანი, კახაძე, შენგელია, მძელური, ღვინჯილია, დანელია, დავითულიანი, ყიფშიძე, მეტრეველი, შანიძე

თბილისი: ჭუჭიძე, ალობეგაშვილი, გვილავა, ბანძელაძე, კაზარიანი, ზადიმენჩენკო, გვენცაძე, ლომიძე, მუყარაშვილი, სტურუა, თვაური

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ჯიკო | 10 | 10 | 0 | 20 |
| 2. სპორტსკოლა | 10 | 8 | 2 | 18 |
| 3. დუშეთი | 10 | 6 | 4 | 16 |
| 4. ბოლნისი | 10 | 4 | 6 | 14 |
| 5. ქუთაისი | 10 | 1 | 9 | 10 |
| 6. ბათუმი | 10 | 1 | 9 | 10 |

დიდი ჯიხაიშის აგრარული კოლეჯის დარბაზში დასრულდა მე-17 ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის შეხვედრები. გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები, რომლებიც ერთმანეთს პლეიოფში, მიმოსვლით შეხვდებიან.

ყველაზე საინტერესო შეხვედრა ბოლო ტურში „ჯიკოსა" და „სპორტსკოლას" შორის გაიმართა. სავსე ტრიბუნების თვალწინ „ჯოკომ" პირველ სეტში საკმაოდ იოლად დაამარცხა მეტოქე, თუმცა შემდეგ ჯიხაიშელებმა თამაში ვერ დაალაგეს და თბილისელებთან ზედიზედ ორი სეტი დათმეს. დაძაბულობამ პიკს მეოთხე სეტში მიაღწია. თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა, ხან ერთი გუნდი გაიჭრებოდა წინ და ხან მეორე. ბოლოს მაინც ჯიხაიშელებმა იძალეს და 25:22 გაიმარჯვეს. საჭირო გახდა გადამწვეტი მეხუთე სეტი. აქ უპირატესობა თავიდანვე მასპინძლებმა მოიპოვეს და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს. სხვათა შორის, თბილისელების დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანეს ყოფილმა სპორტსკოლელებმა **თეა მძელურმა** და **ნინო მეტრეველმა**.

ნახევარფინალში ერთმანეთს „ჯიკო"-„ბოლნისი", და „სპორტსკოლა"-„დუშეთი" დაუპირისპირდებიან. სასწაული არ მოხდა ფინალში ალბათ, ისევ „ჯიკო"-„სპორტსკოლას" ვიხილავთ....

**დავით კოხრეიძე**
დიდი ჯიხაიშიდან

# იცხოვრე ჯანსაღად!



შაბათს, კუს ტბაზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტის ფედერაციასთან ერთად, სპორტული აქცია გამართა ნარკომანიის წინააღმდეგ, დევიზით - იცხოვრე ჯანსაღად და დავეხმაროთ ერთმანეთს.

აქცია მკლავჭიდით გაიხსნა, ერთმანეთს ინვალიდები ეჯიბრებოდნენ, რომლებიც ამ შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოვიდნენ. მკლავჭიდში გადამწყვეტი ორთაბრძოლების გამართვამდე კი კუს ტბის ხელოვნურსაფარიან მოედანზე გვარიანი საფეხბურთო მატჩი გაიმართა სპორტულ ჟურნალისტებსა და სპორსტმენ-შოუბიზნესის წარმოამდგენელთა შორის.

სპორტულ ჟურნალისტთა გუნდში სპორტის დეპარტამენტის, „სარბიელის", „ლელოს", „ჯორჯია თუდეის", „მსოფლიო სპორტისა" და „ოლიმპის" წარმომადგენლებმა ითამაშეს, მათ წინააღმდეგ კი გუნდი საქართველოს ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა **გიორგი ნემსაძემ**, სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტმა **რეზო არველაძემ**, მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **დავით ილურიძემ** და რეპერმა **ლექსსენმა** შეკრეს.

მატჩი დამატებით დროში გადავიდა და საბოლოოდ, სპორტსმენ-შოუბიზნესის წარმომადგენელთა გამარჯვებით დასრულდა - 6:5. სათქმელია, რომ ჟურნალისტების წინააღმდეგ მეორე ტაიმში კალათბურთელებმა - **რევაზ დიდიამ** და **ბესიკ ლეჟავამაც** ითამაშეს. დიდია კარში ჩადგა და რამდენიმე რთული ბურთიც მოიგერია, ლეჟავამ კი ჟურნალისტებს 2 ბურთი გაუტანა.

მართალია, დიდიამ რთული ბურთები მოიგერია, თუმცა საუკეთესო მეკარის პრიზამდე მაინც დააკლდა, რაკი საუკეთესოდ ამ ნომინაციაში ლელოელი **კობა ხატისაშვილი** დასახელდა, რომელიც სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა** დააჯილდოვა.

ბომბარდირი სარბიელელი **ზურაბ მიგრიაული** გახდა, გამარჯვებულთა მხრიდან კი ლექსენი დაჯილდოვდა.

აქციას სხვადასხვა ფედერაციების ჩინოვნიკებიც ესწრებოდნენ - **ნოდარ ახალკაცი, სოსო ჯაჭვლიანი, კახა ბასილია, ლეილა მესხი, მაია აზარაშვილი, მერაბ რატიშვილი**. აქვე ჩემპიონატიდან ტრიუმფით დაბრუნებული მოჭიდავეებიც, მათ შორის ევროპის ჩემპიონი **დავით მოძმანაშვილიც**.

ბოლოს მკლავჭიდში ფინალური ორთაბრძოლები გაიმართა. გამარჯვებულები - **ვახო ახობაძე** (-70 კგ) და **იაგო გორგოძე** (+70) დავით ნამგალაურმა დააჯილდოვა.

*სპორტის დეპარტამენტის პრეს-ცენტრი*

რაგბი. ლეგიონერები

# ჩვენთვის ევროთასები მორჩა

**საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში შესვენებაა, რადგან აქ მოასპარეზე გუნდები ამ უქმეებზე ევროთასების გათამაშებაში იყვნენ ჩართულნი. ჰაინეკენის თასისთვის ბრძოლაში ჯგუფური ეტაპიდან მეოთხედფინალში ქართველ მორაგბეთა ვერცერთი გუნდი ვერ გავიდა. სამაგიეროდ ერთბაშად სამი ქართული კლუბი იბრძოდა ჩელენჯ კაპზე, თუმცა, სამწუხაროდ, სამივე გამოეთიშა გათამაშებას.**

დავით ხინჩაგიშვილის "ბრივი" სტუმრად ეთამაშა ინგლისში "სეილ შარქსს" და 24:49 დამარცხდა. შეგახსენებთ, რომ პლეი ოფი აქ ერთმატჩიანია. ხინჩაგიშვილს არ უთამაშია.

არ უთამაშიათ "კასტრისა" და "მონპელიეს" შემადგენლობაში იქაურ ქართველებსაც. **აქსენტი გიორგაძის** "კასტრი" ასევე სტუმრად, ოღონდ ნიუკასლში დამარცხდა ადგილობრივ გუნდთან 13:40. **მამუკა გორგოძისა** და **დავით ქუბრიაშვილის** "მონპელიემ" კი "ვურსტერთან" წააგო ასევე სტუმრად - 26:36.

ჩელენჯ კაპი ინგლისელების საკუთრება გახდება, რადგან მეოთხე ნახევარფინალისტიც ინგლისურია, "ბასმა" შინ სძლია "ლიდსს" 57:5.

26 აპრილი. ნახევარფინალი. ბასისეილ შარკსი, ვორსტერი-ნიუკასლი

ჰაინეკენის თასი. **ლონდონ აირიში** (ინგ) - პერპინიანი (საფ) 20:9, **სარასენსი** (ინგ) - ოსფრიზი (უელ) 19:10, გლოსტერი (ინგ) - **მანსტერი** (ირ) 3:16, **ტულუზი** (საფ) - კარდიფი (უელ) 41:17, ნახევარფინალი. 26 აპრილი, სარასენსი-მანსტერი; 27 აპრილი, ლონდონ აირიში-ტულუზი

მეორე დივიზიონში 22-ე ტურის რვა შეხვედრიდან რვავე მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. ერთპიროვნულმა ლიდერმა, **გია ლაბაძის** "ტულონმა" **ლევან ღვაბერიძის** "გრენობლი" მიიღო და 46:24 მოუგო. ლაბაძემ ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა. მოედანზე თავიდან ბოლომდე დაჰყო და 78-ე წუთზე ლელოც გაიტანა. ღვაბერიძე განაცხადში არ იყო.

გაიმარჯვა "ტულონის" მდევარმა, **ირაკლი მაჩხანელის** "მონ დე მარსანმაც. ჩვენებურის გუნდმა აუტსაიდერ "ბლანიაკს" სძლია 26:20. მაჩხანელმა თავიდან ბოლომდე ითამაშა.

პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლ "ლა როშელს" სძლია საკუთარ მოედანზე **მალხაზ ურჯუკაშვილის** "ორიაკმა" 42:14. ურჯუკაშვილი ტრავმირებულია. " **დავით აშვეთიას** "ოიონაქსმა" შინ დაამარცხა **ანტონ ფეიქრიშვილის** "აჟენი 29:13. აშვეთია თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო, ფეიქრიშვილი განაცხადში არ იყო.

სტუმრად წააგეს **გიორგი კუთარაშვილის** "ნარბონმა" და **მერაბ კვირიკაშვილის** "პომ". პირველი ვერას გახდა "ბეზიესთან" 12:19. კუთარაშვილი 61-ე წუთზე შეცვალეს. მეორემ კი ერთ-ერთ ლიდერ "მეტრო რასინგთან" დაყარა ფარ-ხმალი 18:30. კვირიკაშვილი განაცხადში არ იყო.

**საფრანგეთი. II დივიზიონი. XXII ტური. ბეზიე-ნარბონი 19:22, ლიონი-ბორდო 40:18, ოიონაქსი-აჟენი 29:13, მონ დე მარსანი-ბლანიაკი 26:20, მეტრო რასინგი-პო 30:18, ტარბი-ლიმოჟი 26:13, ორიაკი-ლა როშელი 42:14, ტულონი-გრენობლი 46:24.**

1. ტულონი - 77 ქულა, 2. მეტრო რასინგი - 70, 3. მონ დე მარსანი - 70, 4. ბეზიე - 64, 5. ლა როშელი - 63, 6. აჟენი - 54, 7. ლიონი - 53, 8. გრენობლი - 51, 9. ორიაკი - 51, 10. ნარბონი - 49, 11. ოიონაქსი - 49, 12. პო - 49, 13. ბორდო - 35, 14. ტარბი - 30, 15. ლიმოჟი - 26, 16. ბლანიაკი - 25.

**ბესიკ ჯანგავაძე**




ირაკლი მაჩხანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ქართველი NBA-ში

# ატლანტა გუნდურად ათამაშდა



ფაჩულია ფილადელფია სიქსერსსთან

"ატლანტა ჰოქსმა" "ფილადელფია სიქსერზთან" ერთმანეთის მიყოლებით ორი მატჩი გამართა, ჯერ სტუმრად, შემდეგ - შინ. ჯორჯიელებმა საშინაო შეხვედრა 104:109 დათმეს, ხოლო გასვლითი - 92:85 მოიგეს.

"ატლანტამ" ფილადელფიელები ფარქვეშ ორივე შემთხვევაში დაჩაგრა, შინ მოხსნებში 39:29 აჯობა, ხოლო სტუმრად - 42:33. თუმცა, პირველ მატჩში წაგების მიზეზი "სიქსერზის" ფორვარდის **ანდრეს იგუოდალას** დამაჯერებელი თამაში იყო. მან 30 ქულა და 10 შედეგიანი პასი მიითვალა.

"ატლანტას" მხრიდან **ჯო ჯონსონი** გამოირჩა, რომლის ანგარიშზე 32 ქულაა. ზაზა ფაჩულიამ წაგებულ შეხვედრაში 17 წუთი ითამაშა, 5-დან 3 ორქულიანი გამოიყენა და მატჩი 6 ქულით, 5 მოხსნით, 2 შეცდომითა და 1 ფოლით დაასრულა.

მოგებულ გასვლით შეხვედრაში ზაზამ ერთით ნაკლები, 16 წუთი ითამაშა და შეტევითი მონაგარი იგივე ჰქონდა: 6 ქულა (აქაც 5-დან 3 ორქულიანი), 4 მოხსნა, 2-2 პასი-ჩაჭრა და 1 შეცდომა.

საშინაო მატჩში 30 ქულას არც ერთი ატლანტელი არ ასცდენია, სასტარტო ხუთეულის კალათბურთელებიდან ბიბიმ და ჰორფორდმა 10-10 ქულა, სმიტმა და უილიამსმა - 18-18, ხოლო ჯო ჯონსონმა 22 ქულა მოაგროვეს. სათადარიგოებიდან 10 ქულას ვერავინ უწია. სწორედ ქულათა ასეთმა გადანაწილებამ ათქმევინა "ჰოქსის" თავკაც **მაიკ ვუდსონს**, როგორც იქნა გუნდურად ავთამაშდითო: *"დღევანდელმა მატჩმა გვიჩვენა, რომ "ატლანტაში" ფუნქციები თანაბრადაა გადანაწილებული და გუნდურ თამაშს ვუჩვენებთ. სწორედ ამიტომ ვუახლოვდებით პლეიოფს. 1999 წლის შემდეგ რეგულარული ეტაპი არ დაგვიძლევია. შეიძლება წელს პლეი ოფში მოხვედრა შემადგენლობის ახალგაზრდულობის გამო ვინმეს წარმოუდგენლად ეჩვენებოდა, მაგრამ გამოუცდელმა კალათბურთელებმა დაამტკიცეს, რომ თამაში შეუძლიათ. ისინი დღითი-დღე უმჯობესდებიან. მათით ვამაყობ."*

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ჯონსონისა და ბიბის გარდა, პლეი ოფში თამაშის გამოცდილება არც ერთ არა ატლანტელს აქვს.

ბოლოს აღმოსავლეთის კონფერენციის ცხრილსაც შევავლოთ თვალი. "ჰოქსის" ანგარიშზე 36 მოგება და 41 წაგებაა. ამ შედეგით იგი საპლეიოფო ზონაში მერვე ადგილზეა. მეცხრეა "ინდიანა", რომელსაც 32 მოგება და 44 წაგება უწერია. რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ზაზას გუნდს 5 მატჩი აქვს დარჩენილი. მათ შორის უახლოესი სწორედ "ინდიანა პეისერსთან", სტუმრად, 8 აპრილს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ძიუდო

# მწვრთნელის მემორიალი

ქუთაისში დასრულდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **ზაურ მჭედლიძის** ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი 1995-97 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ძიუდოისტთა შორის. შეჯიბრებაში საქართველოს თითქმის ყველა ქალაქის გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ქართველების გარდა ტურნირში ბაქოს გუნდმაც იასპარეზა. გამარჯვებულები გახდნენ: 24 კგ- **გიორგი თუთაშვილი** (ქუთაისი), 27- **ლევან შონია** (ქუთაისი), 30-**ჯაბა ქურდიანი** (ქუთაისი), 34-**გიორგი ხმელიძე** (ქუთაისი), 38-**ილია გეთია** (ზუგდიდი), 42-**გოგა ლომთაძე** (ქუთაისი), 46-**იაგო გვენეტაძე** (ქუთაისი), 50-**ბექა ღვინიაშვილი** (გორი), 55-**გიორგი ანკარუნაშვილი** (გორი), 60-**ამირან ზირაქაძე** (ქუთაისი), 66-**გიორგი სვანიძე** (ქუთაისი), +66-**ჯაბა კაპანაძე** (ქუთაისი)

**დავით კოხრეიძე**

კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. XXIV ტური

# პირსახოცს აღარ ისვრიან

**6 აპრილი. სპორტის სასახლე**

**თსუ-მაკაბი 93:90**

15:18, 25:18, 17:35, 36:19

თსუ: არნივიძე (3 ქ), ფანჩულიძე (6 ქ), დ. ბერიშვილი (8 ქ), კოხრეიძე (11 ქ. 5 მ. 4 ჩ), ყველაშვილი (13 ქ. 8 მ. 5 ფ), ხიზანიშვილი, კეიდია (9 ქ), ხეცურიანი (31 ქ. 5 მ. 7 პ. 3 ჩ. 2 დ. 5 ფ), ტყეშელაშვილი (10 ქ. 10 მ. 5 ფ), ბ. ნოზაძე (2 ქ. 6 მ)

მაკაბი: ი. ბერიშვილი (14 ქ. 3 პ. 5 ფ), ახმედიანი, სორდია (4 ქ. 5 პ), ს. შერმადინი (19 ქ. 13 მ. 4 დ. 5 ფ), იოსელიანი (6 ქ), პირველაშვილი (11 ქ. 5 ფ), კორკოტაძე (14 ქ), კოლუაშვილი (22 ქ. 13 მ. 3 პ. 2 დ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

**ავიამშენი-ვითა 80:78**

14:23, 27:20, 21:20, 18:15

ავიამშენი: ბერაია (2 ქ), ხოშტარია (19 ქ. 8 მ. 4 პ. 4 ჩ), ნიკოლაძე (9 ქ), კვიმსაძე (13 ქ. 3 პ), ტულუში (11 ქ. 10 პ. 6 მ. 6 ჩ), ნინიაშვილი (9 ქ. 10 მ), მათიაშვილი (7 ქ. 8 მ. 5 ფ), როდუმტა (2 ქ), მინაშვილი (8 ქ. 6 მ)

ვითა: ძიძიგური, ნოზაძე, ბეჟანიშვილი (14 ქ. 7 მ), მ. ბერიშვილი (6 ქ. 10 მ. 3 პ. 3 ჩ), მარხვაშვილი (15 ქ. 3 პ), მარკოიშვილი (20 ქ. 7 მ. 4 პ), ბერძენიშვილი (10 ქ. 5 ფ), გვიმრაძე (13 ქ. 2 დ), ლ. ნოზაძე (5 მ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 24 | 20 | 4 | 44 |
| 2. ავია | 24 | 14 | 10 | 38 |
| 3. თსუ | 24 | 13 | 11 | 37 |
| 4. ვითა | 24 | 12 | 12 | 36 |
| 5. დინამო | 24 | 9 | 14 | 33 |
| 6. მაკაბი | 24 | 4 | 20 | 28 |

ვეტერანმა კალათბურთელმა და მსაჯმა **ლიზა აზიზოვამ** სპორტის სასახლეში ძველი დროის გახსენებისას ხუმრობით აღნიშნა, რომ როცა ერთი გუნდი 20 ქულის სხვაობით დაწინაურდებოდა, ჩამორჩენილი კლუბის მწვრთნელი დანებების ნიშნად მოედანზე პირსახოცს აგდებდა.

გუშინ თსუ-ს მწვრთნელს **ნუგზარ ჭეიშვილს** თეთრი პირსახოცის აფრიალებამდე ცოტა დააკლდა - თსუ "მაკაბის" ბოლო მეოთხედის წინ 57:71 ჩამორჩა. ძველ დროსთან შედარებით, ახლა სამქულიანი ტყორცნებიც არსებობს და 14-ქულიანი სხვაობის გაბათილება რთული არ არის, მაგრამ 10 წუთში თამაშის შემოტრიალება მეტისმეტად რთული ამოცანაა.

ვიდრე ვიტყოდეთ, როგორ გაართვა ამოცანას თავი თსუ-მ, მოგახსენებთ, რომ "მაკაბიმ" მესამე პრიოდი მაღალ დონეზე ჩაატარა, მეოთხედის ბოლოს **ირაკლი ბერიშვილმა** (ორი) და **ზურაბ კორკოტაძემ** სამი სამქულიანი ჩააგდეს და "მაკაბის" მესამე ათწუთეული 35:17 მოაგებინეს.

მივადექით ბოლო პერიოდს, რომელშიც თსუ-ს 14-ქულიანი სხვაობა ჰქონდა აღმოსაფხვრელი. ნუგზარ ჭეიშვილი მოედნის მთელს სიგრძეზე პრესინგს მაშინ ანესებს, როცა ვა-ბანკზე წასვლა სურს, ან მეტოქე დაღლილია. "მაკაბისთან" ორივე შემთხვევასთან გვქონდა საქმე და თსუ-ს პრესინგმა შედეგი უმალ გამოიღო - **კოხრეიძემ, ხეცურიანმა** და **ფანჩულიძემ** ჩაჭრას ჩაჭრა მიაყოლეს. ექვს წუთში ყველაშვილმა ანგარიში გაათანაბრა (78:78).

**ირაკლი ბერიშვილისა** და **სოსო შერმადინის** გარეშე (მათ 5-5 ფოლი მიიღეს) "მაკაბიმ" ძალები მოიკრიბა და ერთი გაიბრძოლა 86:81 დაწინაურდა, მაგრამ თსუ შეჩერებას არ აპირებდა. ბოლო წუთზე სტუდენტებმა 8 საჯარიმო ისროლეს, ხოლო მაკაბელებმა - 2. აქედან თსუ-მ 5 გამოიყენა, მისმა მეტოქემ - ვერც ერთი და საფინალო სირენამ ნუგზარ ჭეიშვილის გუნდის გამარჯვება დააფიქსირა.

მატჩის სნაიპერი თსუ-ს კაპიტანი **შიო ხეცურიანი** გახდა, რომელმაც 31 ქულას 7 პასი, 5 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 2 დაფარება მიამატა. ორმაგი დუბლით სამი კალათბურთელი გამოირჩა: უნივერსიტეტელი **ლევან ტყეშელაშვილი** (10-10 ქულა-მოხსნა) და მაკაბელები **სოსო შერმადინი** (19 ქულა, 13 მოხსნა), **ვიქტორ კოლუაშვილი** (22 ქულა, 13 მოხსნა).

"მაკაბი"-თსუ-ს მატჩის დასრულების შემდეგ სტუდენტები ტრიბუნაზე მოექცნენ და "ვითას" ერთგულად ქომაგობდნენ, ალბათ ძალიან სურთ, რომ "ავია" რეგულარულში მეოთხეზე გავიდეს და ნახევარფინალში რუსთავის "ენერჯის" დაუპირისპირდეს.

სტუდენტებს იმედები არ გაუცრუეს ვითელებმა, რომლებმაც ზონური დაცვა ტრადიციულად მჭიდროდ დააყენეს, შეტევებს კი მაღალ ტემპში აგვირგვინებდნენ. პირველ მეოთხედში "ავიას" თამაშის დალაგება გაუჭირდა და 14:23 დამარცხდა.

მეორე-მესამე პერიოდებში თანაბარი თამაში გაჩაღდა, "ვითას" მთავარ მეტოქეს, **მიხეილ ბერიშვილს კოტე ტულუში** კარგად რომ მეურვეობდა, ამაზე მიშას მიერ ჩაგდებული 6 ქულა მიგვითითებს. ეს საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი სნაიპერისთვის მეტისმეტად ცუდი მაჩვენებელია. სამაგიეროდ, გაილაღა **გიორგი მარკოიშვილმა**, რომელმაც მიჯრით სამი სამქულიანი ჩააგდო.

მოვლენები საინტერესოდ განვითარდა ბოლო პერიოდში. ახალგაზრდა ფოთელები, დაღლილობის მიუხედავად, ბოლომდე ებრძოდნენ გამოცდილ ავიატორებს. "ვითას" გამთამაშებლის **გიორგი მარხვაშვილის** სამქულიანის წყალობით სირენამდე 15 წამით ადრე ტაბლოზე ანგარიში გათანაბრდა - 78:78.

დარჩენილ დროში "ავიამ" ერთი სრულყოფილი შეტევა განავითარა, რომელიც პლასიდე როდუმტამ აცილებული ორქულიანით დააგვირგვინა. ბურთი მეტოქის ფარზე **ირაკლი ხოშტარიამ** მოხსნა და რთული მდგომარეობიდან კალათისკენ ისროლა - 80:78.

ამჯერადაც იმ გუნდმა გაიმარჯვა, რომელიც მთელი შეხვედრის განმავლობაში მდევრის როლში იყო. თუმცა, "ავია"-"ვითას" დაპირისპირებაში ერთი ორმაგი დუბლი შესრულა: "ავიატორმა" **კოტე ტულუშმა** 11 ქულას 10 შედეგიანი გადაცემა მიაყოლა, მაგრამ ტურის საუკეთესო მოთამაშე მისი თანაგუნდელი **ირაკლი ხოშტარია** გახდა. მის აქტივში გამარჯვების მომტანი მოხსნაქულის გარდა 19 ქულა (12-დან 7 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი, 5-დან 2 საჯარიმო), 8 მოხსნა, 4 პასი, 4 ჩაჭრაა.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ავიამშენი-ვითა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიკური ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

# ვერცხლი, ბრინჯაო და ხასაიას დასანანი ტრავმა

ფინურ ტამპერეში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე ჩვენმა ანტიკოსებმა მოსალოდნელზე ცუდად იასპარეზეს. მართალია, თითო ვერცხლი და ბრინჯაო კი მოიპოვეს, მაგრამ მათგან უჩემპიონოდ დარჩენას არავინ ელოდა. კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი ბადრი ხასაია (84) გახდა, ბრინჯაო კი რამაზ ნოზაძემ (96) მოიპოვა. სამწუხაროდ, სალიცენზიო მონაგარს ტამპერეში ვერაფერი შევმატეთ და გუნდი კვლავაც სამი საგზურის ამარა დარჩა. შეგახსენებთ მათ მფლობელებს: ხასაია, ნოზაძე და დავით ბედინაძე (60).

რომ არა უიღბლობა, იქნებ შედეგი უკეთესიც ყოფილიყო. ვგულისხმობთ ხასაიას ტრავმას, რომელმაც ხელი იტკინა და ფინალში თურქ **ნაზმი ავლუჯასთან** განწირული გავიდა. თურქი ძალიან ძლიერი ფალავანია და ვერ დავიჩემებთ, რომ ხასაია მას აუცილებლად მოუგებდა, თუმცა მთელ ამ ისტორიაში ფინალის წაგებაზე მეტად შემაშფოთებელი სულ სხვა რამეა - ეს ტრავმა ხასაიას ოლიმპიადისთვის მზადებაში შეუშლის ხელს. ადრეც დაგვიწერია და ახლაც გავიმეორებთ, რომ ეგზომ უიღბლო სპორტსმენი ამ ნაკრებში კი არა, ქართულ სპორტშიც იშვიათად გვეგულება. წინა ოლიმპიურ ციკლში ხასაიამ ათენის საგზურის მოპოვება სწორედ ტრავმის გამო ვერ მოახერხა. ახლა ლიცენზია შარშანვე გაინაღდა და ოლიმპიადაზე ნამდვილად იჭიდავებს, მაგრამ ისევ ტრავმის გამო მისი წარმატებული გამოსვლა საეჭვოა.


ბადრი ხასაია (ქვემოთ)

თავიდან ხასაიას თითქოს ბედმა გაუღიმა და შედარებით იოლი ქვეჯგუფი არგუნა. ბუნებრივია, ამ რანგის ტურნირზე იოლი მეტოქე არ არსებობს და ყველასთან საბრძოლველია, მაგრამ წონის გამოკვეთილი ლიდერები ბადის მეორე მხარეს დაჯგუფდნენ. ხასაიას ძალიან უნდა მოენდომებინა, ფინალში რომ ვერ გასულიყო, მაგრამ ჩვენებური ფინეთში საჩემპიონოდ წავიდა და ასე იოლად არაფრის დათმობას აპირებდა. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ფინალში შეხვეული ხელით გავიდა. არადა, დიდხანს ბჭობდნენ, საერთოდ ეჭიდავებინათ თუ არა და თავისუფლად შეეძლო, უარი ეთქვა. ასეთი შემართების მქონე კაცისგან რა გასაკვირია, ნორვეგიელი **მატს როლფსენი**, ფინელი **ტიმო კალიო** და იტალიელი **ანდრეა მინგუცი** იოლად, ძირითად დროში თუ დაამარცხა. შედარებით გაუჭირდა ნახევარფინალში, გერმანელ **იან ფიშერთან**, სადაც მესამე პერიოდი დასჭირდა და ის ავბედითი ტრავმაც მაშინ მიიღო... ნეტავ, საერთოდ არ წასულიყო ფინეთში. მას ხომ ლიცენზია ჰქონდა და იქ გამოსვლას არვინ აძალებდა. შეეძლო, ოლიმპიადისთვის მშვიდად, საგანგებო გრაფიკით მომზადებულიყო, მაგრამ იქ ჭიდაობა ბადრისაც სურდა და პირადი მწვრთნელიც ემხრობოდა. მათი პოზიციაც გასაგებია - პირველხარისხოვან ტურნირზე უნდოდათ თავის გამოცდა, რათა ოლიმპიადაზე ღირსეული ფავორიტის რანგში ჩასულიყვნენ.

**ხასაიას** გამოსვლა თუ ყოველმხრივ წარმატებულია, **რამაზ ნოზაძისთვის** ბრინჯაო აშკარად წარუმატებლობაა. მაგრამ უფრო ცუდი ისაა, რომ რამაზი რუს **ასლანბეკ ხუშტოვთან** ძალზე უსუსური ჩანდა. დაახლოებით ისევე უმწეო, როგორც - ავადსახსენებელ ეგვიპტელ **ქარამ იბრაჰიმთან** შეხვედრებში. თუმცა მედალს ორი მხარე აქვს და იქნებ, ეს კარგიც იყოს ნოზაძისთვის - ოლიმპიადისთვის მობილიზებულად მოემზადოს. ყოველ შემთხვევაში, საკამათო არაა, რომ ჯობდა, ასეთი ჩავარდნა ახლა მოსვლოდა, მზადების ადრეულ ეტაპზე...

სხვათა შორის, ფინეთში ნოზაძის ჭიდაობაც საკამათო გახდა. ნაკრების თავკაცი **ბეგი დარჩია** მის დასვენებას ემხრობოდა, მაგრამ პირადმა მწვრთნელმა **ოთარ ტატიშვილმა** დაიჟინა - მისი თქმით, რადგან ნოზაძეს ავადმყოფობის გამო ტურნირებში არ უჭიდავია, ამიტომ იყო საჭირო ევროპაზე წასვლა. სამწუხაროდ, იქ გამგზავრებამდე ტატიშვილმა ინტერვიუ სასტიკად იუარა, მაგრამ პირად საუბარში ძალზე საინტერესო არგუმენტი მოიყვანა: ყველას ჰგონია, რომ ნოზაძე ხალიჩაზე გავა და მოიგებს, მაგრამ ეგრე არაა და ევროპაზეც სწორედ ამის დასამტკიცებლად უნდა იჭიდაოს, მეტოქეების ძალა უნდა იგრძნოსო. ვფიქრობთ, წინასწარმეტყველური სიტყვებია, თუმცა მთავარი წინაა - აგვისტო, პეკინში! იქამდე კი შეცდომების გამოსასწორებლად, იგივე ხუშტოვის შესასწავლად დრო საკმარისია. საკმარისია თავად სპორტსმენის გამოსაფხიზლებლადაც, რომელიც, იმედია, ამ წაგებით შიშს არ მიეცემა. თავად ხუშტოვთან შეხვედრაზე კი რა ვთქვათ, ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს: 0:5, 0:7 მეტოქის სასარგებლოდ. სამწუხაროდ, 28 წლის ნალჩიკელი ხუშტოვი ფიზიკურად ბევრად ჯობდა ნოზაძეს და ამის დამსახურებად მიგვაჩნია ჩოქბჯენიდან გაკეთებული გდებები. ხუშტოვის სიძლიერეს არ უარვყოფთ, მაგრამ ამ შეხვედრის ასეთი სცენარით წარმართვა არა მისი დამსახურება, არამედ ნოზაძის სუსტი ჭიდაობის ბრალი გვგონია, თანაც რამაზს მუხლის, ხელისა თუ სხვა პატარ-პატარა ტრავმა აწუხებდა, ვფიქრობთ, საუკეთესო ფორმაში მყოფ ნოზაძეს ხუშტოვის დამარცხება ნამდვილად შეუძლია.


რამაზ ნოზაძე

ამ წონაზე საუბარს იმით დავასრულებთ, რომ ნოზაძემ ლატვიელი **იგორს კონსტინსი** და სომეხი **არმენ გეგამიანი** დაამარცხა. ამას ნახევარფინალში ხუშტოვთან მარცხი მოჰყვა, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი ბულგარელი მსოფლიოს პრიზიორი **კალოიან დინჩევი** დაჯაბნა.

ტამპერეში ბრინჯაოსთვის კიდევ ორმა ქართველმა იჭიდავა - **ირაკლი ჭოჭუამ** (55) და **მუხრან მაჭუტაძემ** (66), მაგრამ ორივემ წააგო. ჭოჭუამ წინასწარი შეხვედრები კარგად ჩაატარა, ვიდრე ნახევარფინალში მისთვის ძალზე უხერხულ მეტოქეს, სომეხ ევროპის ჩემპიონ **რომან ამოიანს** არ შეხვდა... ჭოჭუამ წააგო და მერე ვერც ბრინჯაოსთვის ბრძოლაში იმარჯვა რუმინელ **ვირგილ მუნტიანუსთან**. მაჭუტაძე პირველ შეხვედრაში მოგებას მომავალ ჩემპიონთან, უკრაინელ **არმენ ვარდანიანთან** მარცხი მიაყოლა და სანუგეშოში გადაერთო, სადაც ორჯერ კი იმარჯვა, მაგრამ ბრინჯაოს მედლისთვის რუს **რუსლან ბელხოროევთან** დამატებით დროში დამარცხდა. მუხრანმა დაამტკიცა, რომ ამ წონაში ლიდერობა შეუძლია, მაგრამ ბოლო შეხვედრაში ჩოქბჯენში მისი ჭიდაობა კრიტიკას ვერ უძლებს. ეს კომპონენტი მართლაც სერიოზულად უნდა დახვეწოს.

**რევაზ ლაშხი** (60), **შმაგი გულიაშვილი** (74) და **გურამ ფერსელიძე** (120) სანუგეშოში ტურნირში ვერ გადაერთნენ. ერთადერთი, ლაშხის ორი გამარჯვება უნდა გამოვარჩიოთ, მათ შორის ჩეხ ევროპის ჩემპიონ **პეტრ შვეჰლასთან**.

**ირაკლი თავაძე**

55 კგ. 1. როვშან ბაირამოვი (აზერბაიჯანი), 2. რომან ამოიანი (სომხეთი), 3. პეტერ მოდოში (უნგრეთი) და ვირგილ მუნტეანუ (რუმინეთი).. 5. ირაკლი ჭოჭუა (საქართველო).

60 კგ. 1. იარკო ალა-ჰუიკუ (ფინეთი), 2. არმენ ნაზარიანი (ბულგარეთი), 3. დავორ სტეფანეკი (სერბეთი) და ჰაკან ნიბლომი (დანია).. 8. რევაზ ლაშხი (საქართველო)

66 კგ. 1. არმენ ვარდანიანი (უკრაინა), 2. იონ პანაიტი (რუმინეთი), 3. რუსლან ბელჩოროევი (რუსეთი) და პლამენ პეტროვი (ბულგარეთი).. 5. მუხრან მაჭუტაძე (საქართველო).

74 კგ. 1. პეტერ ბაჩი (უნგრეთი), სერეფ ტუფენკი (თურქეთი), 3. ქრისტოფ გუნო (საფრანგეთი) და ევგენი პოპოვი (რუსეთი).. 18. შმაგი გულიაშვილი (საქართველო).

84 კგ. 1. ნაზმი ავლუჯა (თურქეთი), 2. ბადრი ხასაია (საქართველო), 3. არა აბრამიანი (შვედეთი), ანდრეა მინგუცი (იტალია).

96 კგ. 1. ასლანბეკ ხუშტოვი (რუსეთი), 2. მირკო ენგლიხი (გერმანია), 3. რამაზ ნოზაძე (საქართველო) და ელიას გური (ალბანეთი).

120 კგ. 1. იური პატრიკეევი (სომხეთი), 2. ხასან ბაროევი (რუსეთი), 3. იოსებ ჩუგოშვილი (ბელარუსი) და ატილა გიუზელი (თურქეთი).. 8. გურამ ფერსელიძე (საქართველო).

**გუნდური ჩათვლა.** 1. რუსეთი - 45 ქულა, 2. საქართველო - 35, 3. თურქეთი - 31.

კრივი. სალიცენზიო ტურნირი

# ბოლო შანსი

საქართველოს მოკრივეთა ნაკრები გაემგზავრა საბერძნეთის დედაქალაქში, სადაც დღეიდან პეკინის ოლიმპიური თამაშების ბოლო სალიცენზიო ტურნირზე იასპარეზებს. შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატსა და იტალიის სალიცენზიო ტურნირზე ჩვენს მოკრივეებს ხელი მოეცარათ. ამდენად, მათ ათენში ბოლო შანსი ექნებათ საიმისოდ, რომ პეკინის ოლიმპიადამ უქართველებოდ არ ჩაიაროს.

**თენგიზ მესხაძემ** პესკარას ტურნირის შემდეგ, მცირე ცვლილებები შეიტანა შემადგენლობაში. მძიმეწონოსანმა **ბექა ლობჟანიძემ** სამოყვარულო კრივიდან წასვლა გადაწყვიტა და რაკილა მისი ღირსეული შემცვლელი არ გვყავს, ისედაც კაცნაკლული გუნდი 7 მოკრივემდე შეგვიმცირდა. 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში, **კონსტანტინე კუპატაძის** გუნდიდან მოკვეთის შემდეგ იჩხუბებს **კობა ფხაკაძე**, რომელიც აქამდე 57 კილოგრამში გამოდიოდა. ფხაკაძის ადგილს კადეტებში შარშანწინდელი მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი **ზაალ კვაჭატაძე** დაიკავებს, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში დებიუტი პირდაპირ სალიცენზიო ტურნირზე ექნება. ათენში წავა **დავით ნიკლაურიც**, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებდა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

**ნიკოლოზ იზორია** (54 კგ), **ზაალ კვაჭატაძე** (57), **კობა ფხაკაძე** (60), **ლევან ღვამიჩავა** (64), **კახა ჟვანია** (69), **გიორგი ნაკანი** (75), **დავით ნიკლაური** (81).

პეკინის საგზურს ტურნირის ფინალისტები მოიპოვებენ. რაც შეეხება 54, 57, 69 და 75 კილოგრამ წონით კატეგორიებს, აქ ნახევარფინალში დამარცხებულებსაც ექნებათ შანსი - ისინი ლიცენზიისთვის ერთმანეთში იჩხუბებენ.

**კობა ხატისაშვილი**

ჩოგბურთი

# მაკა და პეკინი

**საქართველოს პირველი ჩოგანი, 25 წლის მაკა ჩახნაშვილი იმედოვნებს, რომ პეკინის ოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. 3 აპრილს ამოიწურა ვადა, როდესაც ფედერაციებს განაცხადის შეტანა შეეძლოთ. დღევანდელი მონაცემით ქართველა ლიცენზიის მოპოვება გაუჭირდება, თუმცა ვადა 9 ივნისამდე აქვს.**

ოლიმპიურ თამაშებზე, ერთეულთა თანრიგში 9 ივნისის მსოფლიო კლასიფიკაციის მიხედვით პირველი 56 ჩოგბურთელი ითამაშებს. ბადეში 64 ჩოგბურთელი იქნება (ოლიმპიადაზე საკვალიფიკაციო ტურნირი არ გაიმართება), 56 იქ რეიტინგის მიხედვით პირდაპირ მოხვდება, 6 ჩოგბურთელს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ITF) შეარჩევს, ორს კი სპეციალურ მიწვევას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი უგზავნის.

რომ არა ერთი წესი, მაკა ჩახნაშვილს ოლიმპიადაზე თამაშის შანსი არ ექნებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ოლიმპიადაზე ერთეულთა თანრიგში ერთი ქვეყნის მხოლოდ 4 ჩოგბურთელს შეუძლია თამაში. მაგალითისთვის, რუსებს WTA-ს რეიტინგში 17 ქალი ჰყავთ მოწინავე ასეულში, ფრანგებს – 10, ამერიკელებს – 9, უკრაინელებს და იტალიელებს – 6-6, ოლიმპიადაზე ამათგან მხოლოდ ოთხ-ოთხი ითამაშებს.

დარჩენილი რვა საგზურიდან ექვსს ITF ორი პრინციპის გათვალისწინებით შეარჩევს, იხელმძღვანელებს რეიტინგით, მაგრამ პირველ რიგში დააკმაყოფილებს ქვეყნების განაცხადებს გეოგრაფიული პრინციპით. მოკლედ რომ ვთქვათ, საგზურს უფრო ის ქვეყნები მიიღებენ, რომელთა რეგიონები ნაკლებად წარმომადგენლობითი იქნება ოლიმპიადაზე. ამ მხრივ, ჩვენ ნამდვილად გვაქვს შანსი, რადგან არა გვგონია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი მაინცდამაინც მრავალრიცხოვან წარმომადგენლობით წარდგეს პეკინში. სოკმა კი უკვე გაანაწილა ის ორი საგზური, ოლიმპიადის „უაილდ ქარდი" ლიხტენშტაინელმა **შტეფანი ფოიტმა** და ზიმბაბველმა **კარა ბლექმა** მიიღეს. ფოიტი 17 წლისაა, ის ახალგაზრდულ ასპარეზზე მსოფლიოს მე-6 ჩოგანია, ბლექი 29 წლისაა, ერთ დროს ის საჩოგბურთო ელიტაშიც იყო (მსოფლიოს 31-ე ჩოგანი 1999 წელს), ახლა კი წყვილთა თანრიგში ყოჩაღობს, სადაც მსოფლიოს პირველი ჩოგანია.

დღეისათვის მაკა ჩახნაშვილი მსოფლიოში 201-ეა, რა თქმა უნდა, ამ შედეგით მას ოლიმპიადაზე არაფერი ესაქმება. ორ თვეში მან მნიშვნელოვნად უნდა წაიწიოს წინ რეიტინგში. შარშან ივლისში ჩვენებური 134-ე ადგილზე იყო. ამ ორი თვის განმავლობაში მას ჯამში 29 ქულა დააკლდება შარშანდელი მონაგარიდან, აქედან 15 შარშან საფრანგეთის ღია პირველობის ერთი საკვალიფიკაციო ეტაპის გადალახვისთვის მიიღო, ხოლო 10 – ბერლინის ღია პირველობის ასევე ერთი საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევისთვის. ორშაბათს მაკას გასულ კვირას ჰემონდში (25 ათასი დოლარი) ფინალში გასვლისთვის კუთვნილი 17 ქულა დაერიცხება, რაც მის 144-ქულიან მონაგარს 160-მდე (შარშანდელი ქულა დააკლდება) გაზრდის. ორშაბათიდან მაკა დაახლოებით 185-ე ჩოგანი იქნება, თუმცა ოლიმპიური ლიცენზიისთვის გაცილებით მეტია საჭირო, ასეულში შესვლა მაინც. ჩახნაშვილი ესპანურ მონსონში (75 ათასი დოლარი) აპირებდა თამაშს, ოღონდ იმ პირობით თუ ძირითად ბადეში მოხვდებოდა, რეიტინგმა ამის საშუალება მას არ მისცა, ქართველმაც განაცხადი გამოიტანა – ის ფრანგულ ბიარიცში (25 ათასი დოლარი) ითამაშებს, სადაც ძირითად ბადეში ადგილი გარანტირებული აქვს.


მაკა ჩახნაშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ქართულ დუელს ავცდით

ამერიკის ქალაქ პელჰემის საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი დოლარი) წყვილთა თანრიგის ნახევარფინალში ქართულ დაპირისპირებას ვერ ვიხილავთ – მართალია, **ანა ტატიშვილმა** ამერიკელ მეწყვილესთან ერთად შეძლო მეოთხედფინალის მოგება, მაგრამ **სალომე დევიძემ** ეს ვერ მოახერხა.

ანა ტატიშვილმა და **ქიმბერლი კაუტსმა** დაამარცხეს არგენტინელები (**ლაპორე, შპიგელი**) – 7:5, 6:2. სალომე დევიძემ და ბელარუსმა **ანა ორლიკმა** დათმეს ჩეხ **პაშტიკოვასთან** და ამერიკელ **როლთან** – 4:6, 6:7. ასე რომ, ტატიშვილი ახლა დევიძის დამარცხებისთვის შურისძიებას შეეცდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## რომა-ჯენოა 3:2

**რომა:** ა. დონი-5.5, სისინიო-6, მექსე-5.5, პანუჩი-5.5, კასეტი-6, პეროტა-5.5, დე როსი-7, ტადეი-6.5 (82. ჟუანი-შ.გ), ჟიული-5 (62. მანსინი-5.5), ტონეტო-6 (65. ბრიგი-6), ვუჩინიჩი-6.5.

**ჯენოა:** რუბინიო-6, ა. ლუკარელი-6, ბოვო-5, კრიშიტო-6.5, მ. როსი-6.5, კონკო-6 (65. ვანდენ ბორე-შ.გ), იურიჩი-6.5, ფაბიანო-6, სკული-6 (84. ფიგეროა-შ.გ), ბორიელო-5.5, დანილო-5 (32. ლეონი-7).

**გოლები:** 1:0 ტადეი (14), 2:0 ვუჩინიჩი (17), 2:1 მ. როსი (59), 2:2 ლეონი (60), 3:2 დე როსი (80-პენ)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 12-26; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 12-14 (4-6); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

მაყურებელი: 36 366

## მილანი-კალიარი 3:1

**მილანი:** კალაჩი-5, ბონერა-6.5, მალდინი-6, კალაძე-6, ფავალი-6 (62. კაფუ-6), გატუზო-6 (67. ბროკი-6), პირლო-6.5 (75. გურკუფი-შ.გ), ამბროზინი-6.5, ზეედორფი-6.5, კაკა-7, ფ. ინძაგი-7.

**კალიარი:** სტორარი-6.5, ფერი-5.5, ლოპესი-5.5, კანინი-5, აგოსტინი-6, ბიონდინი-5.5, კონტი-5.5 (74. აკვაფრესკა-შ.გ), ფინი-5 (46. პაროლა-5.5), კოსუ-5.5 (46. ჟედა-6), მატრი-5.5, ფოჯა-5.5.

**გოლები:** 1:0 კაკა (8), 2:0 ფ. ინძაგი (31), 2:1 კონტი (50), 3:1 ფ. ინძაგი (70)

**გაფრთხილება:** 1-4; **კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 26-19; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 14-9 (6-3); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

მაყურებელი: 57 000

## ატალანტა-ინტერი 0:2

**ატალანტა:** ფ. კოპოლა-6, ბელერი-6, პელეგრინო-6, თ. მანფრედინი-6, ბელინი-5.5, პინტუ-5.5, ტისონე-6 (67. დე აშენტისი-5.5), გუარენტე-6, ლანჯელა-5.5 (73. ს. ინძაგი-შ.გ), კ. დონი-5, ფლოკარი-6 (80. პაოლუჩი-შ.გ).

**ინტერი:** ჟულიო სეზარი-6, მაიკონი-6, რივასი-6.5 (63. მატერაცი-6), ბურდისო-6, მაქსველი-6, სტანკოვიჩი-6.5, ხ. ძანეტი-6.5, ვიეირა-6.5, კამბიასო-6.5, ბალოტელი-6.5 (83. ფიგუ-შ.გ), კრესპო-6 (57. კრუსი-6).

**გოლები:** 0:1 ვიეირა (21), 0:2 ბალოტელი (74)

**გაძევება:** კ. დონი (90. ატალანტა)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 16-11; **თამაშგარე:** 2-7; **კარში დარტყმა:** 18-7 (2-2); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

მაყურებელი: 22 000

## ფიორენტინა-რეჯინა 2:0

**ფიორენტინა:** ფრეი-6.5, პოტენცა-6, დაინელი-5.5, კროლდრუპი-6, პასკუალი-6.5, დონადელი-6, ლივერანი-6.5 (79. გობი-შ.გ), მონტოლივო-7, პაპა ვაიგო-6 (46. იორგენსენი-6.5), პაცინი-7 (70. ვიერი-6), მუტუ-6.

**რეჯინა:** კამპანიოლო-7, ლანძარო-5.5 (69. პ. ალვარესი-შ.გ), ჩიროლო-5, ხ. ვალდესი-5.5, არონიკა-5, ვიჯანი-5.5, ბარეტო-5, ტონიოცი-5, მოდესტო-5 (54. ჰალფრედსონი-5.5), ბრიენცა-6.5, მაკინვა-5 (74. ამორუზო-შ.გ).

**გოლები:** 1:0 პაცინი (23), 2:0 მუტუ (90)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 10-7; **ჯარიმა:** 17-14; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 23-11 (10-2); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

მაყურებელი: 27 321

## სიენა-უდინეზე 1:1

**სიენა:** მანინგერი-7, როსეტინი-5, პორტანოვა-6.5, ა. როსი-5.5, მ. კოპოლა-6, ვერგასოლა-6, გალოპა-5.5, ლოკატელი-5 (66. ხარჯა-7), მაკარონე-7, რიგანო-6 (66. ფორესტიერი-6).

**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი-6.5, ფერონეტი-6 (74. ფლორო ფლორესი-7), ზაპოტოჩნი-6, ლუკოვიჩი-6.5, მესტო-5.5, ინლერი-6, გ. დ'აგოსტინო-5.5 (88. ისლა-შ.გ), დოსენა-6, პეპე-6.5, კვალიარელა-5.5, დი ნატალე-6.

**გოლები:** 1:0 ხარჯა (69), 1:1 ფლორო ფლორესი (77)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 18-17; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 13-21 (6-10); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

მაყურებელი: 9 500

## სამპდორია-ლივორნო 2:0

**სამპდორია:** კასტელაცი-6.5, ლუკინი-7, გასტალდელო-6.5, აკარდი-7, მაჯო-7, პალომბო-6.5, სამარკო-6, დ. ფრანჩესკინი-6 (66. ბონაცოლი-6.5), პიერი-6.5, დელვეკიო-5.5 (53. ბელუჩი-6.5), კასანო-7 (86. ვოლპი-შ.გ).

**ლივორნო:** ამელია-6, გრანდონი-5.5, კნეჟევიჩი-6, გალანტე-6, ბალერი-6 (69. როსინი-შ.გ), პულცეტი-5.5, დე ვეცე-6 (88. ვაილატი-შ.გ), ა. ფილიპინი-5 (73. ბერგვოლდი-შ.გ), პასკუალე-5.5, დიამანტი-5, ტავანო-6.

**გოლები:** 1:0 მაჯო (67), 2:0 ბონაცოლი (85)

**გაფრთხილება:** 5-3; **კუთხური:** 13-1; **ჯარიმა:** 24-17; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 14-8 (9-2); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

მაყურებელი: 28 000

## კატანია-ნაპოლი 3:0

**კატანია:** პოლიტო-6, სარდო-6.5, სტოვინი-6.5, ტერლიცი-6.5 (70. სილვესტრე-6), საბატო-6, ედუსეი-6.5, იცკო-6, კოლუჩი-6.5 (36. ბაიოკო-6.5), ჯაკ. ტედესკო-6, ვარგასი-7 (75. მარტინესი-6), სპინეზი-6.5.

**ნაპოლი:** ჯანელო-5.5, სანტაკროჩე-5.5 (69. გრავა-6), კანავარო-6, დომიცი-5, მანინი-5 (56. კალაიო-5), პაციენცა-5.5, ჰამსიკი-5.5 (81. ბოლიაჩინო-შ.გ), გარგანო-5, სავინი-4, ლავეცი-6, სოსა-4.

**გოლები:** 1:0 კოლუჩი (4), 2:0 სპინეზი (16), 3:0 ვარგასი (48)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 13-17 (5-3); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

მაყურებელი: 17 000

## პარმა-ლაციო 2:2

**პარმა:** ბუჩი-5.5, დ. ძენონი-6, პაჩი-6.5, ფალკონე-5, კასტელინი-6, მორონე-6, ჩიგარინი-6.5 (71. მარიგა-შ.გ), გასბარონი-6, რეჟინალდო-5 (46. დესენა-5.5), ბუდანი-7 (80. ანტონელი-შ.გ), კორადი-5.

**ლაციო:** მუსლერა-6.5, ბეჰრამი-5 (51. ძაური-5.5), რადუ-5.5 (62. როზენალი-შ.გ), კრიბარი-5.5, კოლაროვი-5.5, ლედესმა-5.5, მუტარელი-6.5 (80. მეგნი-შ.გ), მუდინგაი-6.5, პანდევი-6.5, როკი-5, ბიანკი-6.5.

**გოლები:** 1:0 ბუდანი (15), 1:1 პანდევი (35), 1:2 ბიანკი (38), 2:2 პაჩი (43)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 14-15; **თამაშგარე:** 7-2; **კარში დარტყმა:** 16-10 (6-4); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

მაყურებელი: 14 059

## ტორინო-ემპოლი 0:1

**ტორინო:** სერენი-6.5, მოტა-7, დი ლორეტო-6, დელაფიორე-6, მ. პიზანო-6, დიანა-6.5, პ. ძანეტი-6.5, ბარონე-6.5 (53. კორინი-6), როზინა-6 (74. მალონგა-6), რეკობა-7 (53. დი მიკელე-6), სტელონე-6.5.

**ემპოლი:** ბალი-6.5, რაჯი-6.5, მარძორატი-6, პიკოლო-6, ტოსტო-5, ბუშე-6, მარკიზიო-6 (55. მარიანინი-6), ბუდელი-6.5, ანტონინი-5.5 (75. ჯოვინკო-6), ვანუკი-7, საუდატი-6 (65. ვოლპატო-6).

**გოლები:** 0:1 ვანუკი (88)

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 25-25; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 14-15 (5-3); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

მაყურებელი: 16 000

## პალერმო-იუვენტუსი 3:2

**პალერმო:** ა. ფონტანა-6.5, კასანი-7, რინაუდო-5, ბარძალი-6, ბალცარეტი-6, გუანა-შ.გ (23. ჯოვ. ტედესკო-5.5), იანკოვიჩი-5.5 (80. ძაკარდო-შ.გ), მილიაჩო-6, სიმპლისიუ-5.5 (61. ბრეშანო-შ.გ), კაზერტა-6.5, ამაური-8.

**იუვენტუსი:** ბუფონი-5.5, გრიგერა-5, ლეგროტალიე-6, კიელინი-6, მოლინარო-6 (46. ტიაგო-5), ნოჩერინო-5 (46. სალიჰამიჯიჩი-5.5), კამორანეზი-6, სისოკო-7, ნედვედი-შ.გ (23. იაკვინტა-6), დელ პიერო-8, ტრეზეგე-6.

**გოლები:** 1:0 ამაური (11), 2:0 ამაური (45), 2:1 დელ პიერო (52), 2:2 დელ პიერო (71), 3:2 კასანი (88)

**გაფრთხილება:** 3-2; **კუთხური:** 3-10; **ჯარიმა:** 12-19; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 7-24 (4-7); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

მაყურებელი: 23 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 32 | 21 | 9 | 2 | 59-21 | 72 |
| 2. რომა | 32 | 20 | 8 | 4 | 58-32 | 68 |
| 3. იუვენტუსი | 31 | 16 | 10 | 5 | 53-28 | 58 |
| 4. ფიორენტინა | 32 | 16 | 8 | 8 | 47-32 | 56 |
| 5. მილანი | 32 | 14 | 10 | 8 | 48-28 | 52 |
| 6. სამპდორია | 32 | 15 | 7 | 10 | 46-37 | 52 |
| 7. უდინეზე | 32 | 14 | 9 | 9 | 43-40 | 51 |
| 8. ჯენოა | 32 | 11 | 9 | 12 | 40-46 | 42 |
| 9. ატალანტა | 32 | 10 | 11 | 11 | 46-46 | 41 |
| 10. ლაციო | 32 | 9 | 12 | 11 | 39-40 | 40 |
| 11. ნაპოლი | 32 | 11 | 7 | 14 | 41-46 | 40 |
| 12. პალერმო | 32 | 10 | 9 | 13 | 42-51 | 39 |
| 13. სიენა | 32 | 8 | 13 | 11 | 34-39 | 37 |
| 14. ტორინო | 32 | 6 | 16 | 10 | 32-39 | 34 |
| 15. კატანია | 32 | 7 | 11 | 14 | 28-38 | 32 |
| 16. პარმა | 31 | 6 | 12 | 13 | 37-47 | 30 |
| 17. ლივორნო | 32 | 6 | 11 | 15 | 29-47 | 29 |
| 18. ემპოლი | 32 | 7 | 8 | 17 | 25-45 | 29 |
| 19. კალიარი | 32 | 7 | 8 | 17 | 29-50 | 29 |
| 20. რეჯინა | 32 | 5 | 12 | 15 | 27-47 | 27 |

**ბომბარდირები:** 18 - ბორიელო (ჯენოა); 17 - ტრეზეგე (იუვენტუსი); 16 - მუტუ (ფიორენტინა); 15 - დი ნატალე (უდინეზე), იბრაჰიმოვიჩი (ინტერი); 14 - ტოტი (რომა); 13 - ამაური (პალერმო), დელ პიერო (იუვენტუსი); 12 - პანდევი (ლაციო), როკი (ლაციო); 11 - კ. დონი (ატალანტა), კაკა (მილანი); 10 - ბელუჩი (სამპდორია), კრუსი (ინტერი), მაკარონე (სიენა), კვალიარელა (უდინეზე), ტავანო (ლივორნო).

## სერია B

### XXXIV ტური

**აველინო-გროსეტო 0:3**

გოლები: 0:1 დანილევიჩუსი (18), 0:2 გაროფალო (47), 0:3 გრაფიედი (68)

**ბოლონია-მოდენა 4:1**

გოლები: 1:0 მარაცინა (14), 1:1 ოკაკა-ჩუკა (23), 2:1 ვალიანი (44), 3:1 ბუკი (54), 4:1 ბომბარდინი (80)

გაძევება: გატი (62. მოდენა)

**ლეჩე-ჩეზენა 3:0**

გოლები: 1:0 კორვია (8), 2:0 კორვია (43), 3:0 ვალდესი (80-პენ)

**მესინა-კიევო 2:3**

გოლები: 0:1 პელისიერი (22), 1:1 ფოტი (30), 2:1 შეტერი (52), 2:2 ლუნკო (57), 2:3 ჩარამიტარო (74)

**პიაჩენცა-ფროზინონე 1:2**

გოლები: 1:0 რანტიე (18), 1:1 ედერი (65), 1:2 ედერი (71)

**პიზა-ვიჩენცა 1:1**

გოლები: 0:1 კუდინი (9), 1:1 დ'ანა (47)

**რიმინი-მანტოვა 1:1**

გოლები: 1:0 გრეკო (62-პენ), 1:1 გოდეასი (87)

გაძევება: ძუნიო (79. მანტოვა)

**სპეცია-რავენა 2:0**

გოლები: 1:0 ელიაკვუ (34), 2:0 გუიდეტი (86)

**ტრიესტინა-ალბინოლეფე 2:4**

გოლები: 0:1 კარობიო (5), 1:1 გრანოკე (28-პენ), 1:2 რუოპოლო (40), 1:3 კოლაკონე (67-პენ), 2:3 გრანოკე (89), 2:4 ბონაცი (90)

**ტრევიზო-ასკოლი 2:1**

გოლები: 1:0 ვენიტუჩი (7), 1:1 იოკი (37), 2:1 ბარეტო (59-პენ)

გაძევება: ტაიბი (55. ასკოლი)

**ბრეშა-ბარი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კიევო | 34 | 21 | 9 | 4 | 62-36 | 72 |
| 2. ბოლონია | 34 | 20 | 10 | 4 | 50-23 | 70 |
| 3. ალბინოლეფე | 34 | 20 | 8 | 6 | 56-30 | 68 |
| 4. ლეჩე | 34 | 18 | 12 | 4 | 54-22 | 66 |
| 5. ბრეშა | 34 | 18 | 9 | 7 | 49-26 | 63 |
| 6. პიზა | 34 | 17 | 11 | 6 | 53-35 | 62 |
| 7. რიმინი | 34 | 14 | 9 | 11 | 46-34 | 51 |
| 8. მანტოვა | 34 | 13 | 10 | 11 | 47-40 | 49 |
| 9. ასკოლი | 34 | 11 | 13 | 10 | 44-36 | 46 |
| 10. ფროზინონე | 34 | 13 | 7 | 14 | 45-50 | 46 |
| 11. ბარი | 34 | 10 | 13 | 11 | 43-46 | 43 |
| 12. პიაჩენცა | 34 | 13 | 3 | 18 | 34-45 | 42 |
| 13. ტრიესტინა | 34 | 11 | 9 | 14 | 41-53 | 42 |
| 14. მესინა | 34 | 11 | 8 | 15 | 33-51 | 41 |
| 15. გროსეტო | 34 | 8 | 15 | 11 | 32-42 | 39 |
| 16. მოდენა | 34 | 8 | 14 | 12 | 46-50 | 38 |
| 17. ვიჩენცა | 34 | 6 | 14 | 14 | 33-51 | 32 |
| 18. ტრევიზო | 34 | 7 | 10 | 17 | 31-44 | 30 |
| 19. აველინო | 34 | 7 | 9 | 18 | 32-52 | 30 |
| 20. სპეცია | 34 | 5 | 13 | 16 | 37-53 | 28 |
| 21. ჩეზენა | 34 | 4 | 14 | 16 | 28-52 | 26 |
| 22. რავენა | 34 | 4 | 10 | 20 | 37-62 | 22 |

**ბომბარდირები:** 21 - გოდეასი (მანტოვა); 20 - ჩელინი (ალბინოლეფე), გრანოკე (ტრიესტინა), მარაცინა (ბოლონია); 19 - კასტილიო (პიზა); 17 - პელისიერი (კიევო); 16 - ლოდი (ფროზინონე); 14 - პოსანცინი (ბრეშა), სონჩინი (ასკოლი), სუჩი (რავენა).

## სერია C1/A

### XXX ტური

**ფოლინიო-ჩიტადელა 0:2; ლეკო-სასუოლო 0:1; ლენიანო-პრო სესტო 0:0; მანფრედონია-ფოჯა 3:3; მონცა-ვერონა 2:3; ნოვარა-კრემონეზე 1:0; პადოვა-პროპატრია 2:1; პაგანეზე-ვენეცია 3:1; ტერნანა-კავეზე 1:0.**

## სერია C1/B

### XXX ტური

**ანკონა-სალერნიტანა 2:2; კროტონე-არეცო 1:1; იუვე სტაბია-სამბენედეტეზე 0:1; ლუკეზე-პერუჯა 1:1; მარტინა-სორენტო 1:2; მასეზე-ტარანტო 0:4; პესკარა-პისტოიეზე 1:0; პოტენცა-გალიპოლი 3:2; სანჯოვანეზე-ლანჩანო 2:1.**

## იტალია. სერია A. XXXII ტური

# ჩემი მილანი და მისი სკუდეტო

## კატანიაში ახალი ვალტერი სამჯერ გავარდა



მილანი ინძაგით და კაკათი სხვა მილანი იყო

"სპეტაკოლო მილან" - ასეთი შეფასება მისცა "გაძეტა დელო სპორტმა" "მილანისა" და "კალიარის" პირველ ტაიმს, რომელშიც "როსონერიმ" სარდინიელებს ორი უპასუხო გოლი გაუტანა. მაგრამ მარტო გოლებში რომ ყოფილიყო საქმე, პოპულარული გამოცემა ლამაზი ეპითეტებისგან თავს შეიკავებდა. ბოლო ხანებში "მილანის" თამაშის ხარისხი რამდენადმე უსწრებს შედეგს, მაგრამ შაბათს ყველაფერი ჰარმონიაში იყო: შთამბეჭდავი თამაშიც და შედეგიც. გამოჩნდა, თუ რამხელა ძალაა **კაკა**, რომელმაც ტრავმის გამო ბოლო სამი მატჩი გამოტოვა და ეს გუნდს უმალ დაეტყო. გამოჩნდა "ზებერი პიპოს" რეალური ფასიც. ასევე ტრავმის შემდეგ დაბრუნებულმა **ინძაგიმ** დუბლი გაიფორმა და "მილანის" გამარჯვებაში ლომის წილიც დაიდო...

საკუთარ თავზე გაბრაზებულმა "როსონერიმ" მატჩი თავბრუდამხვევი იერიშებით დაიწყო და უკვე მე-8 წუთზე კაკას მიერ 20 მეტრიდან დარტყმული **სტორარისგან** (სხვათა შორის, "მილანის" ყოფილი მეკარეა) ახლო კუთხეში აფართხალდა. "მილანის" გაჩერება შეუძლებელი იყო და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ **კარლო ანჩელოტის** შეგირდები 10-15 წუთში მეტოქეს საბოლოოდ მოახრჩობდნენ. ამდენად, მეორე გოლი, რომელიც 31-ე წუთზე ინძაგის თავურით გავიდა, დაგვიანებულად შეიძლება ჩაითვალოს.

მეორე ტაიმის დასაწყისში "კალიარიმ" ორი ფეხბურთელი გამოცვალა და გუნდი ეგრევე გააქტიურდა. **კალაჩის** ბრიყვული შეცდომის (დაჭერილი ბურთი ლაჯებში გაუძვრა) შედეგად სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა. მერე კიდევ ორი-სამი სახიფათო შეტევა იყო და "მილანმა" ნაწვალები კინაღამ ქარს გაატანა. აქ ისევ ინძაგიმ თქვა თავისი სიტყვა. მან თამაშგარის მახე გაარღვია, სტორარი დააწვინა და ლიგის შარშანდელი ფინალის სტილში წერტილიც დასვა.

სამწუხაროა, რომ **კახა კალაძემ**, რომელმაც მთლიანობაში ნორმალურად ითამაშა, პირველ ტაიმში გაფრთხილება მიიღო და "იუვენტუსთან" მომდევნო ტურის მატჩს გამოტოვებს. ანჩელოტიმ კი, მიუხედავად ცუდი მეორე ნახევრისა, სიხარულით შესძახა - ეს უკვე ჩემი "მილანიაო". მადა მოუვიდა **ადრიანო გალიანისაც** და მომავალი სეზონისთვის გუნდს სკუდეტო შეუკვეთა.

დაახლოებით ანალოგიური სცენარით წარიმართა "რომა"-"ჯენოას" მატჩიც. უკვე მე-17 წუთისთვის "ჯალოროსი" ორი ბურთით დაწინაურდა. საოცრად ეფექტური იყო **ვუჩინიჩის** მეორე გოლი, როცა კარისკენ ზურგით მდგომი შემოტრიალდა და სადღაც 18-20 მეტრიდან ბურთს მიწაზე დაუშვებლად დასცხო!

მეორე ნახევარში მასპინძელმა აქაც წაუძინა. მეტიც: "კალიარისგან" განსხვავებით, გენუელებმა ორივე გოლი გაქვითეს, თანაც ერთ წუთში. ალბათ, **ლუჩანო სპალეტის** გულმა რეჩხი უყო, "მანჩესტერთან" ნაგებით გულგატეხილმა ბიჭებმა ემანდ, კიდევ არ წაიფორხილონო... სხვათა შორის, რაღაც პერიოდის განმავლობაში "რომას" ძალიან გაუჭირდა და სულზე მიუსწრო პენალტმა, რომელიც **დე როსიმ** უძლავრესი დარტყმით გამარჯვების გოლად აქცია. ცნობისთვის, დე როსიმ ჩემპიონატში მე-13 ყვითელი ბარათი მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ ანი ყოველი გაფრთხილება თამაშის გამოტოვებად დაუჯდება. "ჯენოა" კი, დიდწილად, მისმა ბომბარდირმა **ბორიელომ** დაღუპა, თუ ხმამაღალი ნათქვამი არ არის. ერთი, რომ "თავისი" გოლი ვერ გაიტანა (თუმცა ორივე საგოლე შეტევაში უშუალო მონაწილეობა მიიღო), და მეორე: საკუთარ საჯარიმოში მცველთა დასახმარებლად ჩასულმა პენალტი აიკიდა და გუნდს საფრეო შანსი დააკარგვინა.

მატჩის შემდეგ ფანებს შორის შეტაკება მოხდა. "ჯენოას" ორი ქომაგი საავადმყოფოში გააქანეს: ერთი დანითაა დაჭრილი, მეორეს თავი გაუტეხეს. ეტყობა, ტიფოზებმა ხუმრობად მიიღეს გასულ კვირას უეფადან წამოსული გაფრთხილება - თუ იტალიის სტადიონებზე უწესრიგობებს ბოლო არ მოეღო, 2009 წელს რომი ჩემპიონთა ლიგის ფინალს ვერ უმასპინძლებსო...

კვირას, "ინტერმა" ბერგამოში მოიგო და მდევართან ოთხქულიანი ჰანდიკაპი ძალაში დატოვა. წესით, ლიდერს რთული თამაში უნდა ჰქონოდა, მაგრამ **ლუიჯი დელ ნერის** კერკეტმა "ატალანტამ" ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გასწია. **ჟულიო სეზარის** კართან ხეირიანი საგოლე მომენტიც არ შექმნილა, მეორე მხარეს კი ბარე ორი ამდენის გატანაც შეიძლებოდა...

**რობერტო მანჩინიმ** ტრავმირებული **იბრაჰიმოვიჩის** ნაცვლად ძირითადში დააყენა ყმაწვილი **მარიო ბალოტელი**, რომელმაც თასიდან "იუვენტუსის" გაგდებით გაითქვა სახელი. ამჯერად, მან სერია A-ში პირველი გოლიც მიითვალა, როცა მეკარეს გაექცა და ბურთი ცარიელ კარში შეაცურა. აქ ორ მომენტს უნდა გაესვას ხაზი: პირველი, რომ ბალოტელი თამაშგარეში იყო, ხოლო მეორე ის გახლავთ, რომ ორი ბერგამოელიდან არც ერთი არ ჩაუწვა კარისკენ მგორავ ბურთს, არადა, ორივეს შეეძლო...

კატანიაში **ვალტერ ძენგას** ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა. სიცილიელებმა "ნაპოლის" 3 უპასუხო გოლი მიართვეს. თუმცა შორსმიმავალი დასკვნებისგან ჯერ თავი უნდა შევიკავოთ, თორემ იტალიის ნაკრების ლეგენდარულ მეკარეს ახალი ცოცხივით არ მოუვიდეს...

კიდევ ერთი წარმატებული სამწვრთნელო დებიუტი შედგა ტურინში, სადაც "ემპოლიმ" გუნდში დაბრუნებული **ლუიჯი კანის** შემწეობით 1:0 მოიგო და ბოლო ადგილს თავი დააღწია. ასე დასაჯეს ტოსკანელებმა "ტორო" და მისი ფორვარდი **დი მიკელე**, რომელმაც მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე დაუჯერებელი გოლი ვერ გაიტანა: ბოლო მცველსაც გაექცა, მერე მეკარესაც, მაგრამ რად გინდა, ბურთი ცარიელ კარში ვერ მოარტყა...

4-მატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ **კასანო** დაბრუნდა და "სამპს" ერთი საგოლე გადაცემით შეენია. ხოლო პირველი ბურთი გაიტანა მცველმა **მაჯომ**, ვისთვისაც მიმდინარე სეზონში ეს მე-6 გოლია და ამ მაჩვენებლით ლიგაში ბადალი არ ჰყავს.

"ფიორენტინამ" "რეჯინასთან" გამარჯვება მხოლოდ უკანასკნელ წუთებზე, **მუტუს** გოლით განიმტკიცა, "პარმამ" და "ლაციომ" კი სახალისო მატჩში ქულები გაიყვეს. რაც შეეხება "სიენასა" და "უდინეზეს" შეხვედრას, ის უცნაური იყო იმით, რომ ორივე გოლი (1:1) შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა გაიტანეს და ორივეს, საამისოდ, ზუსტად 3-3 წუთი დასჭირდა.

"პალერმომ" სიცილიურ დრამაში "იუვენტუსი" დაამარცხა. ეს იყო პოსტზე დაბრუნებული **სტეფანო კოლანტუონოს** პირველი გამარჯვება, რაც მასპინძლებს ჰაერივით სჭირდებოდათ. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ **დელ პიერო** მარტო ებრძოდა თამაშის იშტაზე მოსულ პალერმოელებს. კაპიტანმა ორბურთიანი სხვაობაც კი გააბათილა, მაგრამ ბოლოს ისევ კოლანტუონოს ბიჭებმა გაიცინეს...

მაგრამ 23-ე წუთზე სასაცილოდ არავის ჰქონდა საქმე. "რენცო ბარბერა" რამდენიმე წუთით გაირინდა და შიშით შესცქეროდა მოედანზე გაშხლართულ **ნედვედსა** და **გუანას**, რომლებიც მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში თავებით შეასკდნენ ერთმანეთს. ორივე სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს...

**გიორგი ბელაშვილი**

### მომდევნო ტური

**12 აპრილი. პალერმო-კატანია, იუვენტუსი-მილანი. 13 აპრილი. ემპოლი-პარმა, ჯენოა-ტორინო, ლაციო-სიენა, ლივორნო-კალიარი, ნაპოლი-ატალანტა, რეჯინა-სამპდორია, უდინეზე-რომა, ინტერი-ფიორენტინა.**

## ჰოლანდია

### XXXII ტური

## როდა-ნიიმეგენი 0:2

**გოლები:** 0:1 ვან ბოკერინგი (32), 0:2 ლენსი (68)

## ვილემი-ჰერენვეენი 2:3

**გოლები:** 1:0 ბოტაპარი (2), 1:1 პრანიჩი (29-პენ), 1:2 ბეერენსი (31), 2:2 პოეპონი (65), 2:3 სიბონი (74)

## ტვენტე-ექსელსიორი 1:0

**გოლი:** 1:0 ჰერსი (58)

## ვიტესი-სპარტა 3:0

**გოლები:** 1:0 იუნკერი (58), 2:0 იანსენი (77), 3:0 კლოდემირი (85)

## ვენლო-ალკმაარი 2:3

**გოლები:** 1:0 ოოსტი (3), 1:1 არი (23), 2:1 ამბარატი (64-პენ), 2:2 ჰამდაუი (65), 2:3 ჰამდაუი (72)

## აიაქსი-გრააფსხაპი 4:1

**გოლები:** 1:0 ჰუნტელაარი (3), 2:0 ჰუნტელაარი (9), 2:1 ტარვაიარვი (31), 4:1 პერესი (63)

## გრონინგენი-ბრედა 1:2

**გოლები:** 0:1 ამი (16), 0:2 ამოა (42), 1:2 ლოერე (45)

## ფეიენოორდი-უტრეხტი 3:1

**გოლები:** 1:0 ბრუინსი (34), 2:0 ლანდზაატი (38), 3:0 საპინი (56), 3:1 ჯორჯი (74)

## ეინდჰოვენი-ჰერაკლესი 2:0

**გოლები:** 1:0 სიმონსი (12), 2:0 ფარფანი (79)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ეინდჰოვენი | 32 | 20 | 8 | 4 | 63-23 | 68 |
| 2. აიაქსი | 32 | 18 | 9 | 5 | 87-43 | 63 |
| 3. ტვენტე | 32 | 16 | 10 | 6 | 49-31 | 58 |
| 4. ჰერენვეენი | 32 | 17 | 6 | 9 | 81-44 | 57 |
| 5. ბრედა | 32 | 18 | 6 | 8 | 46-37 | 60 |
| 6. ფეიენოორდი | 32 | 17 | 6 | 9 | 60-38 | 57 |
| 7. გრონინგენი | 32 | 15 | 6 | 11 | 52-51 | 51 |
| 8. როდა | 32 | 11 | 11 | 10 | 51-51 | 44 |
| 9. ნიიმეგენი | 32 | 12 | 7 | 13 | 45-49 | 43 |
| 10. ვიტესი | 32 | 12 | 7 | 13 | 46-53 | 43 |
| 11. უტრეხტი | 32 | 12 | 6 | 14 | 57-54 | 42 |
| 12. ალკმაარი | 32 | 10 | 9 | 13 | 46-52 | 39 |
| 13. ჰერაკლესი | 32 | 8 | 8 | 16 | 33-58 | 32 |
| 14. სპარტა | 32 | 8 | 7 | 17 | 48-73 | 31 |
| 15. გრააფსხაპი | 32 | 7 | 8 | 17 | 32-60 | 29 |
| 16. ვილემი | 32 | 7 | 7 | 18 | 37-46 | 28 |
| 17. ვენლო | 32 | 6 | 8 | 18 | 40-72 | 26 |
| 18. ექსელსიორი | 32 | 7 | 5 | 20 | 31-69 | 26 |

**ბომბარდირები:** 32 - ჰუნტელაარი (აიაქსი); 21 - ნ'კუფო (ტვენტე); 16 - ნელისე (უტრეხტი); 15 - ბრედლი (ჰერენვეენი), ბერგი (გრონინგენი), სუარესი (აიაქსი); 14 - კოვერმანსი (ეინდჰოვენი).

## II დივიზიონი

### XXXVI ტური

**კამბური-დენ ჰააგი 2:1; იგლზი-ვეენდამი 0:1; დენ ბოში-როსენდალი 2:0; ტოპ ოსი-ჰაარლემი 4:1; ტელსტარი-ომნივორლდი 0:1; აპელდოორნი-ვოლენდამი 3:6; ემენი-დორდრეხტი 1:0; ვაალვიკი-ცვოლე 2:0; მაასტრიხტი-ეინდჰოვენი II 4:1; ჰელმონდი-ფორტუნა 1:1.**

## შოტლანდია

### XXXIII ტური

## სელტიკი-მოზერველი 0:1

**გოლი:** 0:1 ლაპინი (33)

## გრეტნა-ინვერნესი 1:2

**გოლები:** 0:1 მაკბინი (71), 0:2 ქოუი (73), 1:2 ბარი (80)

## ჰიბერნიანი-სტ. მირენი 2:0

**გოლები:** 1:0 ნიში (4), 2:0 ზემამა (5)

## კილმარნოკი-პარტიკი 0:0

## დანდი იუნ-რეინჯერსი 3:3

**გოლები:** 1:0 კალვენესი (37), 1:1 უეირი (44), 2:1 ჰანტი (51), 2:2 ნოვო (58), 3:2 კუელარი (65-საკ. კარში), 3:3 ბოიდი (67)

**აბერდინი-ფალკირკი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 30 | 24 | 3 | 3 | 73-24 | 75 |
| 2. სელტიკი | 31 | 21 | 5 | 5 | 69-21 | 68 |
| 3. მოზერველი | 31 | 16 | 4 | 11 | 41-35 | 52 |
| 4. დანდი იუნ | 33 | 14 | 8 | 11 | 48-38 | 50 |
| 5. ჰიბერნიანი | 33 | 14 | 8 | 11 | 47-38 | 50 |
| 6. ფალკირკი | 32 | 11 | 9 | 12 | 39-42 | 42 |
| 7. პარტიკი | 33 | 11 | 9 | 13 | 42-48 | 42 |
| 8. აბერდინი | 32 | 11 | 8 | 13 | 41-52 | 41 |
| 9. ინვერნესი | 33 | 11 | 3 | 19 | 41-58 | 36 |
| 10. კილმარნოკი | 33 | 8 | 9 | 16 | 34-46 | 33 |
| 11. სტ. მირენი | 31 | 8 | 8 | 15 | 22-48 | 32 |
| 12. გრეტნა | 32 | 4 | 4 | 24 | 29-76 | 6 |

**ბომბარდირები:** 20 - მაკდონალდი (სელტიკი); 13 - ბოიდი (რეინჯერსი), ფლეტჩერი (ჰიბერნიანი); 12 - კლარკსონი (მოზერველი), ჰანტი (დანდი იუნ), რობსონი (სელტიკი).

## I დივიზიონი

### XXXIII ტური

**კლაიდი-ლივინგსტონი 3:2; ჰამილტონი-სტ. ჯონსტონი 2:0; მორტონი-დანდი 1:2; პარტიკი-დანფერმლაინი 0:1; სტირლინგი-ქუინი 0:0.**

## II დივიზიონი

### XXXIII ტური

**ეირი-რეითი 0:1; ბრეჩინი-ეირდრი 2:1; კოუდენბითი-ალოა 1:1; ქუინზ პარკი-პიტერჰედი 2:0; როსი-ბირუიკი 4:0.**

## III დივიზიონი

### XXXIII ტური

**ალბიონი-არბროა 0:2; ისტ ფაიფი-დამბარტონი 2:1; ისტ სტირლინგი-ელჯინი 0:0; მონროუზი-ფორფარი 2:2; სტრანრარი-სტენჰაუზმური 3:1.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

### არსენალი-ლივერპული 1:1

**არსენალი:** ალმუნია, გალასი, კოლო ტურე, პოიტი (57. ადებაიორი), ებუე, ტრაორე (72. კლიში), ჟილბერტო, ფაბრეგასი, ფლამინი (81. გლები), უოლკოტი, ბენდტნერი.

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, ფინენი, არბელოა, შკრტელი, რიისე, პენანტი (66. ჯერარდი), ბენაიუნი (75. ვორონინი), ლუკასი, პლესისი, კრაუჩი (80. ფერნანდო ტორესი).

**გოლები:** 0:1 კრაუჩი (42), 1:1 ბენდტნერი (54).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 8(6)-11(4); **ჯარიმა:** 10-10; **კუთხური:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 60 111

### ასტონ ვილა-ბოლტონი 4:0

**ვილა:** კარსონი, მელბერგი, ნაიტი, ლაურსენი, ბუმა, სტილიან პეტროვი (86. რუთლიჯი), ბერი, ქერიუ (77. ჰერვუდი), იანგი (83. ბერგერი), აგბონლაორი.

**ბოლტონი:** ალ ჰაბსი, ენდრიუ ობრაიენი, სტეინსონი, გარი კაჰილი, ჯოი ობრაიენი (83. კოენი), მეტიუ ტეილორი, მაკენი, გუტრი, ჰელგუსონი, კევინ დევისი, დიუფი.

**გოლები:** 1:0 ბერი (9), 2:0 აგბონლაორი (56), 3:0 ბერი (60), 4:0 ჰერვუდი (85).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 10(6)-6(3); **ჯარიმა:** 15-10; **კუთხური:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 37 773

### ბლექბერნი-ტოტენჰემი 1:1

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ოოიერი (46. ემერტონი), უორნოკი, ნელსენი, სამბა, რიდი (86. მოკოენა), პედერსენი (73. მაკარტი), ფოგელი, ბენტლი, რობერტსი, სანტა კრუსი.

**ტოტენჰემი:** ჩერნი, ვუდგეიტი, დოსონი, შიმბონდა (72. ჟილბერტო), ჰატონი, ჯენასი, მალბრანკი (72. ჰადლსტონი), ზოკორა, ლენონი, რობი კინი (78. დარენ ბენტი), ბერბატოვი.

**გოლები:** 0:1 ბერბატოვი (7), 1:1 პედერსენი (30).

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 12(7)-11(7); **ჯარიმა:** 20-4; **კუთხური:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 24 592

### ფულჰემი-სანდერლენდი 1:3

**ფულჰემი:** კელერი, კონჩესკი, აარონ ჰიუზი, სტალტერი (62. დემპსი), ჰანგელანდი, ანდრეასენი (57. ჰილი), ბულარდი, დენი მერფი, საიმონ დევისი, მაკბრაიდი, დიომანსი კამარა (72. ბუაზა).

**სანდერლენდი:** გორდონი, ნოსვორთი, კოლინზი, ბერდსლი, ევანსი, რიდი, ედვარდსი (46. ჩოპრა), უაითჰედი, რიჩარდსონი (57. ლიდბიტერი), დერილ მერფი (87. ოდონოვანი), ჯოუნსი.

**გოლები:** 0:1 კოლინზი (45), 1:1 ჰილი (74), 1:2 ჩოპრა (54), 1:3 ჯოუნსი (76).

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 14(5)-9(6); **ჯარიმა:** 12-9; **კუთხური:** 8-5; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 25 053

### მანჩესტერ სიტი-ჩელსი 0:2

**სიტი:** ჰარტი, რიჩარდ დანი, ბოლი, ონუოჰა (59. სუნი), კარლუკა, მარტინ პეტროვი, ირლანდი (75. ფელიპე), ელანო (65. ვასელი), მაიკლ ჯონსონი, ჟელსონი, ბენჯანი.

**ჩელსი:** კუდიჩინი, ბელეტი (86. პაულუ ფერეირა), ეშლი კოული, ტერი, ალექსი, რაიტ-ფილიპსი (52. ჯო კოული), ლემპარდი, ესიენი, ობი მიკელი, ანელკა, კალუ.

**გოლები:** 0:1 რიჩარდ დანი (6-საკ.კარში), 0:2 კალუ (53).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 14(7)-10(5); **ჯარიმა:** 6-12; **კუთხური:** 7-5; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 42 594

### ნიუკასლი-რედინგი 3:0

**ნიუკასლი:** სტივ ჰარპერი, ბეიე, ფაიე (82. დიატა), ხოსე ენრიკე, ედგარი, ბატი (79. სმიტი), ჯერემი, ბარტონი, ვიდუკა (74. დაფი), ოუენი, მარტინსი.

**რედინგი:** ჰანემანი, შორი, ინგიმარსონი, როსენორი, ბიკი, ჯეიმს ჰარპერი, ჰანტი, ოსტერი (60. კონვეი), კალიფა სისე (72. ფაე), კიტსონი (72. ლონგი), დოილი.

**გოლები:** 1:0 მარტინსი (18), 2:0 ოუენი (43), 3:0 ვიდუკა (58).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 13(8)-9(4); **ჯარიმა:** 10-11; **კუთხური:** 9-7; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 52 179

### ვიგანი-ბირმინგემი 2:0

**ვიგანი:** კერკლანდი, ბოისი, მელხიოტი, რაიან ტეილორი (85. სიბირსკი), შარნერი, კილბეინი, სკოკო (90. ფიგეროა), ვალენსია, პალასიოსი, მარკუს ბენტი, ჰესკი (88. კინგი).

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, მარტინ ტეილორი (72. პერნაბი), დევიდ მერფი, კელი, ჯაიდი, დემიენ ჯონსონი, მაკშეფრი (63. ნაფტი), ლარსონი, მუამბა, ფორსელი (67. ჯერომი), სარატე.

**გოლები:** 1:0 რაიან ტეილორი (15), 2:0 რაიან ტეილორი (55).

**გაძევება:** დემიენ ჯონსონი (37)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 15(8)-5(1); **ჯარიმა:** 11-17; **კუთხური:** 2-2; **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 19 962

### მიდლსბრო-მანჩესტერ იუნ. 2:2

**მიდლსბრო:** შვარცერი, იანგი, პოგატეცი, ენდრიუ ტეილორი, ვიტერი, ონილი, არკა, ბოატენგი, დაუნინგი, ალიადიერი (90. ადამ ჯონსონი), აფონსო ალვეში (77. თუნჯაი).

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, ოში (67. ჰარგრივსი), რიო ფერდინანდი (69. პიკე), ბრაუნი, ევრა, ქერიკი, გიგზი, სქოულზი, რონალდო, რუნი, ტევესი (63. პარკი).

**გოლები:** 0:1 რონალდო (10), 1:1 აფონსო ალვეში (35), 2:1 აფონსო ალვეში (56), 2:2 რუნი (74).

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 12(7)-15(7); **ჯარიმა:** 20-11; **კუთხური:** 4-10; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 33 952

### ევერტონი-დერბი 1:0

**ევერტონი:** ჰოვარდი, ლესკოტი, ფილ ნევილი, იობო, ბაინესი, კარსლი, ოსმანი, არტეტა (90. ნუნუ ვალენტე), მანუელ ფერნანდესი (77. ჟაგიელკა), ენდრიუ ჯონსონი, იაკუბუ (73. ანიჩებე).

**დერბი:** ქეროლი, დარენ მური, ტოდი, ლიკოკი, რობი სევიჯი, სტერჯოვსკი (50. მიერსი), ლიუისი, გალი, ჯოუნსი, მილერი, ემანუელ ვილია.

**გოლები:** 1:0 ოსმანი (56).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 11(5)-7(5); **ჯარიმა:** 17-19; **კუთხური:** 9-8; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 36 017

**ვესტ ჰემი-პორტსმუთი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ | 33 | 24 | 5 | 4 | 70-17 | 77 |
| 2. ჩელსი | 33 | 22 | 8 | 3 | 58-23 | 74 |
| 3. არსენალი | 33 | 20 | 11 | 2 | 63-27 | 71 |
| 4. ლივერპული | 33 | 17 | 12 | 4 | 57-25 | 63 |
| 5. ევერტონი | 33 | 18 | 6 | 9 | 49-27 | 60 |
| 6. პორტსმუთი | 32 | 15 | 8 | 9 | 46-33 | 53 |
| 7. ასტონ ვილა | 33 | 14 | 10 | 9 | 56-44 | 52 |
| 8. ბლექბერნი | 33 | 13 | 12 | 8 | 43-39 | 51 |
| 9. მანჩ. სიტი | 33 | 13 | 10 | 10 | 37-39 | 49 |
| 10. ვესტ ჰემი | 32 | 12 | 8 | 12 | 35-39 | 44 |
| 11. ტოტენჰემი | 33 | 10 | 10 | 13 | 62-56 | 40 |
| 12. ნიუკასლი | 33 | 10 | 8 | 15 | 40-58 | 38 |
| 13. სანდერლ. | 33 | 10 | 6 | 17 | 32-50 | 36 |
| 14. მიდლსბრო | 33 | 8 | 11 | 14 | 30-47 | 35 |
| 15. ვიგანი | 33 | 9 | 7 | 17 | 30-47 | 34 |
| 16. რედინგი | 33 | 9 | 5 | 19 | 37-61 | 32 |
| 17. ბირმინგემი | 33 | 7 | 9 | 17 | 38-51 | 30 |
| 18. ბოლტონი | 33 | 6 | 8 | 19 | 30-52 | 26 |
| 19. ფულჰემი | 33 | 4 | 12 | 17 | 30-56 | 24 |
| 20. დერბი | 33 | 1 | 8 | 24 | 16-68 | 11 |

**ბომბარდირები:** 27 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 21 - ფერნანდო ტორესი (ლივერპული); 19 - ადებაიორი (არსენალი); 14 - ბერბატოვი (ტოტენჰემი), კინი (ტოტენჰემი), სანტა კრუსი (ბლექბერნი); 13 - ბენჯანი (მანჩესტერ სიტი), აიეგბენი (ევერტონი); 12 - ტევესი (მანჩესტერ იუნ), დეფო (პორტსმუთი); 11 - ანელკა (ჩელსი), რუნი (მანჩესტერ იუნ); 10 - ჯერარდი (ლივერპული), ლემპარდი (ჩელსი).

### ჩემპიონატი

XLII ტური

**სკანთორპი-უენსდი** 1:1

გოლები: 1:0 მორისი (18), 1:1 საჰარი (49)

**კოლჩესტერი-იფსვიჩი** 2:0

გოლები: 1:0 ვერნონი (29), 2:0 ვერნონი (73)

**ნორვიჩი-ბარნლი** 2:0

გოლები: 1:0 დუბლინი (2), 2:0 ევანსი (90)

**პლიმუტი-ჩარლტონი** 1:2

გოლები: 1:0 ისტერი (60), 1:1 ლიტა (65), 1:2 ლიტა (76)

**ქუინზ პარკი-პრესტონი** 2:2

გოლები: 0:1 მელორი (37), 0:2 პრისკინი (64), 1:2 ბლეკსტოკი (90), 2:2 ეინსუორტი (90)

**შეფილდი-ლესტერი** 3:0

გოლები: 1:0 ბიტი (12), 2:0 ბიტი (14), 2:0 ბიტი (19)

**საუთჰემპტონი-ბრისტოლი** 2:0

გოლები: 1:0 შტერნ ჯონი (35), 2:0 იუელი (84)

**უოტფორდი-ქოვენთრი** 2:1

გოლები: 1:0 ელინგტონი (7), 1:1 ბესტი (59), 2:1 სმიტი (79)

**სტოკი-კრ. პალასი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრისტოლი | 42 | 19 | 13 | 10 | 49-49 | 70 |
| 2. სტოკი | 41 | 18 | 15 | 8 | 63-51 | 69 |
| 3. ჰალი | 41 | 19 | 11 | 11 | 59-41 | 68 |
| 4. უოტფორდი | 41 | 18 | 14 | 9 | 60-48 | 68 |
| 5. ვესტ ბრომვ. | 40 | 19 | 10 | 11 | 78-51 | 67 |
| 6. ვულვზი | 40 | 16 | 13 | 11 | 47-45 | 61 |
| 7. იფსვიჩი | 41 | 16 | 12 | 13 | 58-51 | 60 |
| 8. ჩარლტონი | 42 | 16 | 12 | 14 | 58-52 | 60 |
| 9. პლიმუტი | 42 | 16 | 11 | 15 | 54-46 | 59 |
| 10. კრ. პალასი | 41 | 14 | 17 | 10 | 46-39 | 59 |
| 11. ბარნლი | 42 | 15 | 13 | 14 | 55-57 | 58 |
| 12. კარდიფი | 40 | 14 | 14 | 12 | 47-44 | 56 |
| 13. შეფილდი | 41 | 14 | 14 | 13 | 46-44 | 56 |
| 14. ქუინზ პარკი | 42 | 13 | 15 | 14 | 58-60 | 54 |
| 15. პრესტონი | 42 | 15 | 9 | 18 | 45-47 | 54 |
| 16. ნორვიჩი | 42 | 14 | 10 | 18 | 43-51 | 52 |
| 17. ბლეკპული | 41 | 11 | 17 | 13 | 54-53 | 50 |
| 18. ქოვენთრი | 42 | 13 | 10 | 19 | 44-56 | 49 |
| 19. საუთჰემპტ. | 42 | 12 | 13 | 17 | 51-67 | 49 |
| 20. ლესტერი | 42 | 11 | 14 | 17 | 39-41 | 47 |
| 21. უენსდი | 41 | 12 | 11 | 18 | 43-48 | 47 |
| 22. ბარნსლი | 40 | 11 | 13 | 16 | 43-57 | 46 |
| 23. სკანთორპი | 42 | 9 | 12 | 21 | 39-62 | 39 |
| 24. კოლჩესტერი | 42 | 7 | 15 | 20 | 57-76 | 36 |

**ბომბარდირები:** 20 - ფილიპსი (ვესტ ბრომვიჩი), ებენქს-ბლეიკი (პლიმუტი); 19 - ბიტი (შეფილდი); 17 - შ. ჯონი (საუთჰემპტონი); 16 - ლისბი (კოლჩესტერი); 14 - მორისონი (კრ. პალასი), ფულერი (სტოკი), კემპბელი (ჰალი).

### I დივიზიონი

XLII ტური

ბრაიტონი-პორტ ვეილი 2:3; როვერსი-ჰარტლპული 0:0; კარლაილი-იეოვილი 2:1; ქრიუ-საუთენდი 1:3; ჰადერსფილდი-დონკასტერი 2:2; ლეიტონი-ლიდსი 0:2; მილუოლი-ჯილინგემი 1:1; ნორთჰემპტონი-ლუტონი 2:1; ნოტინგემი-ჩელტენემი 3:1; სუონსი-ბორნმუთი 1:2; სუინდონი-ოლდჰემი 3:0; უოლსოლი-ტრანმერი 2:1.

### II დივიზიონი

XLII ტური

აკრინგტონი-დაგენჰემი 1:0; ლინკოლნი-მილტონი 1:2 ; ბრედფორდი-მორეკამბი 1:0; ბერი-ნოტსი 2:1; ჩესტერფილდი-შრიუსბერი 4:1; ჰერეფორდი-ჩესტერი 2:2; მენსფილდი-ბარნეტი 2:2; როჩდეილი-გრიმსბი 3:1; როტერჰემი-ბრენტფორდი 1:2; სტოკპორტი-დარლინგტონი 1:0; რექსჰემი-მაკლსფილდი 1:1; უიკომბი-პიტერბრო 2:2.

### კონფერენცია

XLII ტური

ალდერშოტი-სალისბერი 2:1; ბარტონი-გრეისი 2:3; ქროული-იორკი 6:1; დროილსდენი-კემბრიჯი 0:2; გრავესენდი-უოკინგი 1:1; ჰალიფაქსი-ფორესტ გრინი 1:1; კიდერმინსტერი-ალტრინჩემი 1:1; ნორთვიჩი-სტეფორდი 4:3; ტორკი-ფარსლი 0:1; უეიმაუთი-ოქსფორდი 0:1; სტევენეიჯი-ექსეტერი 0:1

### ინგლისის თასი

1/2 ფინალი

**ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი** 0:1

**გოლი:** 0:1 კანუ (54)

ბარნსლი-კარდიფი 0:1

**გოლი:** 0:1 ლედლი (9)

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIII ტური

# მანჩესტერი: სამი ქულა და ორი ლონდონელი მეტოქე

## აფონსო ალვეშმა გოლები იუნაიტედისათვის შემოინახა



არსენალი-ლივერპული. პეპე რეინასა და ნიკლას ბენდტნერის უშელავათო ბრძოლა

„მანჩესტერ იუნაიტედმა" „მიდლსბროსთან" ორი ქულა გაანიავა. „ჩელსიმ" შანსი ხელიდან არ გაუშვა და სხვაობა სამ ქულამდე შეამცირა. „ეშმაკებს" რამდენიმე რთული მატჩი ელით. მომავალ უქმეებზე ისინი „არსენალს" უმასპინძლებენ, ხოლო 26 აპრილს, „სტემფორდ ბრიჯზე" მიემგზავრებიან. ჩემპიონობისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის.

მიდლსბროელთაგან ორივე გოლი ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **აფონსო ალვეშმა** გაიტანა. ეს ფეხბურთელი ჰოლანდიური „ჰერენვეენიდან" იანვრის ტრანსფერებისას შეიძინეს. მასში კლუბისათვის სარეკორდო თანხა, 12 მილიონ გირვანქა გადაიხადეს. აფონსომ ინგლისში სამი თვე უგოლოდ გაატარა. შაბათს კი ერთბაშად დუბლი გამოაცხო.

კვლავ შეაგდო **კრისტიანო რონალდომ.** მას ამ სეზონში 37 გოლი დაუგროვდა, მარტო პრემიერლიგაში — 27 მატჩში 27 გოლი. გაიტანა **უეინ რუნიმაც**, მაგრამ „მანჩესტერმა" დაცვაში უჩვეულოდ სუსტად ითამაშა. **ნემანია ვიდიჩის** ტრავმის გამო დაცვის ცენტრში **ჯონ ოში** ვიხილეთ. **ვესლი ბრაუნი** ტრადიციულად მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა. „მიდლსბროს" მეორე გოლისას ის ცენტრში იყო შენეული და უხეშად შეცდა.

„რივერსაიდზე" სეზონის ყველაზე დიდი დასწრება დაფიქსირდა (33 952 მაყურებელი). მასპინძლებმა თამაში აქტიურად დაიწყეს. ალვეში მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა. მცველები მას დროულად გადაელობნენ. მე-10 წუთზე სტუმრებმა ანგარიში გახსნეს. გოლი კუთხურს მოჰყვა. „მიდლსბრომ" ბურთი საჯარიმოდან ვერ გაიტანა. მას **მაიკლ ქერიკი** დაეუფლა და კარის გასწვრივ დაბალი პასის გააკეთა. რონალდოს ბურთს ფეხი დაუხვედრა და შეაგდო.

მასპინძლები მდგომარეობის გამოსწორებას შეეცადნენ. ალვეშმა შეუტია და ააცილა. **ჟერემი ალიადიერმა** საუცხოო მომენტი ვერ გამოიყენა: ფრანგი თავდამსხმელი მეკარესთან პირისპირ გავიდა და არაზუსტად დასცხო. მანჩესტერელი ფეხბურთელები მთავარ მსაჯ **მაიკლ რაილის** მივარდნენ — **პატრის ევრა** რომ დაშავდა, თამაში უნდა გაგეჩერებინაო.

ტაიმის შუაში **რიო ფერდინანდმა** ალვეში მოცელა. ჯარიმა კარიდან 30 იარდში დაინიშნა. დაზარალებულმა თვითონ დაარტყა. **ედვინ ვან დერ სარმა** ბურთი მოიგერია. ის **ემანუელ პოგატეცის** დამატებასაც გაუმკლავდა.

10 წუთში ალვეშმა წონასწორობა აღადგინა: მან **გარი ონილის** გრძელი პასი მიიღო, ვან დერ სართან პირისპირ გავიდა და პირველი ინგლისური გოლი შეაგდო. „მანჩესტერ იუნაიტედმა" 23 თებერვლის შემდეგ პირველად გაუშვა. მომდევნო იერიშისას „მიდლსბრო" კინაღამ დაწინაურდა კიდეც: **ჯორჯ ბოატენგმა** უმეთვალყუროდ დატოვებული **სტიუარტ დაუნინგი** შენიშნა. ვან დერ სარმა კარი დროულად დატოვა და მდგომარეობა განმუხტა.

ტაიმის მიწურულს რონალდომ ძლიერად დასცხო. ბურთი **ენდრიუ ტეილორს** მკლავში მოხვდა და პირით ხაზს იქით გავიდა. პორტუგალიელი ნახევარმცველი პენალტს ითხოვდა. რაილიმ მხოლოდ კუთხური დანიშნა.

მეორე ტაიმის 11 წუთის დაწყებული იყო, როდესაც ალვეშმა მეორე გოლი გაიტანა. ალიადიერმა ბრაუნს საჰაერო ორთაბრძოლა მოუგო და ბურთი ბრაზილიელ თანაგუნდელს დაუგორა. ეს უკანასკნელი მეკარესთან ისევ პირისპირ დარჩა და პირველის მსგავსი გოლი შეაგდო. აფონსოს ჰეთ თრიკის შესრულებაც შეეძლო: მის დარტყმას რიო ფერდინანდი გადაეღობა.

ამასობაში, უეინ რუნიმ ყვითელი ბარათი მიიღო. ის ბურთს ჩაუწვა და მეკარე **მარკ შვარცერს** კინაღამ ფეხები მოატეხა. **სერ ალექს ფერგიუსონმა** ოში გამოიყვანა. ბრაუნი ცენტრში გადასწია და თამაშში **ოუენ ჰარგრივსი** ჩართო.

„მანჩესტერმა" ანგარიშის გათანაბრება მოახერხა. მარჯვენა ფლანგზე **ჟი სუნ პარკმა რაიან ტეილორი** მოატყუა, საჯარიმოში შევიდა და რუნის გაუგორა ბურთი. უეინმა მას ფეხი დაჰკრა და ახლო მანძილიდან შეაგდო. კარში შესვლამდე ბურთი „მიდლსბროს" კაპიტან ემანუელ პოგატეცს მოხვდა და მიმართულება შეიცვალა. დარჩენილ დროში ორივე გუნდს შეეძლო გამარჯვების გოლის გატანა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

„ჩელსის" „ფენერბაჰჩესთან" წაგების შემდეგ ხასიათი გამოუკეთდა. „არისტოკრატებმა" „მანჩესტერ სიტის" ორი უპასუხო გოლი გაუტანეს. ანგარიში თამაშის დასაწყისშივე გაიხსნა. **მიკაელ ესიენმა** მეტოქის საჯარიმოში **ნიკოლა ანელკას** გაუკეთა პასი. „სიტის" კაპიტანი **რიჩარდ დანი** ბურთს ჩაუწვა და მოგერიების ნაცვლად, საკუთარ კარში მოათავსა.

მე-12 წუთზე ანელკას მეორე გოლის გატანა შეეძლო. მის იერიშს **ნედუმ ონუოჰა** გადაეღობა. „სიტიმ" **მაიკლ ჯონსონის** შეტევით უპასუხა. ბურთი ლონდონელთა ხარიხას გადასცდა. **მარტინ პეტროვმა** და **ბენჯანი მვარუვარიმაც** არაზუსტად დაარტყეს. 21-ე წუთზე **ჟელსონ ფერნანდესმა** სუსტად დასცხო. **კარლო კუდიჩინი** ბურთს მშვიდად დაეუფლა. იტალიელ მეკარეს პეტროვის იერიშის მოგერიება უფრო გაუჭირდა. 31-ე წუთზე საქმეში **ეშლი კოული** ჩაერთო. ჯონსონის დარტყმის შემდეგ მან ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

მეორე ტაიმში დასაწყისში **ავრამ გრანტმა ჯო კოული** და **შონ რაიტ-ფილიპსი** გამოიყვანა. მწვრთნელი ამ ფეხბურთელებს „ფენერბაჰჩესთან" განმეორებითი მატჩისათვის ინახავდა. ორ წუთში **სალომონ კალუმ** მეორე გოლი გაიტანა. საგოლე პასი ისევ ესიენმა მიითვალა. კოტდივუარელ თავდამსხმელს ამ სეზონში 11 გოლი დაუგროვდა. 55-ე წუთზე ანელკამ ხარიხა შეაზანზარა. 58-ეზე „სიტის" ონუოჰა დაუშავდა და შეცვალეს.

63-ეზე ანელკამ კალუ ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა. მის დარტყმულს ჟელსონ ფერნანდესი გადაეღობა. „სიტიმ" „ჩელსისთან" ვერაფერი გააწყო. გუნდმა ბოლო შვიდ შეხვედრაში მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა. უსახური თამაში გუნდის სატურნირო მდგომარეობაზეც არის ასახული. ის მეცხრე ადგილზე იმყოფება.

ტურის კიდევ ერთ ცენტრალურ მატჩში „არსენალმა" „ლივერპულს" ქულები გაუყო. ეს გუნდები ოთხ დღეში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, ორჯერვე „ემირიტს სთედიუმზე" და ორივე თამაში 1:1 დასრულდა. სამშაბათს მესამე სერიაა - ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მეოთხედფინალი ლივერპულში. ამ თამაშის გამო შაბათს ორივე გუნდმა შესუსტებული შემადგენლობა გამოიყვანა.

„არსენალისა" და „ლივერპულის" საუკეთესო ბომბარდირები - **ფერნანდო ტორესი** და **ემანუელ ადებაიორი** თადარიგში აღმოჩნდნენ. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ძირითადში დაყენებულმა **პიტერ კრაუჩმა** მერსისაიდელები ტაიმის მიწურულს დააწინაურა. მეორე ნახევრის დაწყებისთანავე **ნიკლას ბენდტნერმა** წონასწორობა აღადგინა. თამაში საჭადრაკო პარტიას ჰგავდა. მეტოქეები ერთმანეთის შეცდომას ელოდებოდნენ, რათა სწრაფი კონტრშეტევით ეპასუხათ.

### მომდევნო ტური.

12 აპრილი. **ბირმინგემი-ევერტონი, ბოლტონი-ვესტ ჰემი, ჩელსი-ვიგანი, დერბი-ასტონ ვილა, ლივერპული-ბლექბერნი, მანჩესტერ იუნ-არსენალი, პორტსმუთი-ნიუკასლი, რედინგი-ფულჰემი, სანდერლენდი-მანჩესტერ სიტი, ტოტენჰემი-მიდლსბრო.**

### პორტუგალია

XXV ტური

### ფერეირა-გიმარაეში 2:2

**გოლები:** 0:1 დესმარეტსი (12), 1:1 ვილიამი (60), 1:2 დესმარეტსი (74), 2:2 ვესლი (90)

### აკადემიკა-სეტუბალი 0:0

### პორტუ-ამადორა 6:0

**გოლები:** 1:0 ლუჩო გონსალესი (8), 2:0 სექტიუი (12), 3:0 კუარეშმა (643), 4:0 მაურისიო (71-საკ. კარში), 5:0 ალვეში (76), 6:0 ლ. ლოპესი (86)

### მარიტიმუ-ნასიონალი 1:0

**გოლი:** 1:0 ბრუნო (74)

### ლეირია-ნავალი 0:2

**გოლები:** 0:1 პაულაო (37), 0:2 მარსელინიო (82)

### სპორტინგი-ბრაგა 2:0

**გოლები:** 1:0 ჯალო (35), 2:0 ჯალო (37)

### ბოავიშტა-ბენფიკა 0:0

**ლეიქსოეში-ბელენენსეში** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 25 | 20 | 3 | 2 | 49-9 | 63 |
| 2. ბენფიკა | 25 | 11 | 12 | 2 | 40-16 | 45 |
| 3. გიმარაეში | 25 | 13 | 6 | 6 | 29-25 | 45 |
| 4. სპორტინგი | 25 | 12 | 7 | 6 | 38-22 | 43 |
| 5. სეტუბალი | 25 | 10 | 11 | 4 | 34-23 | 41 |
| 6. მარიტიმუ | 25 | 10 | 4 | 11 | 28-25 | 34 |
| 7. ბრაგა | 25 | 8 | 10 | 7 | 27-27 | 34 |
| 8. ბელენენსეში | 24 | 8 | 9 | 7 | 25-28 | 33 |
| 9. ნასიონალი | 25 | 8 | 8 | 9 | 18-20 | 32 |
| 10. ბოავიშტა | 25 | 7 | 11 | 7 | 30-37 | 32 |
| 11. ამადორა | 25 | 6 | 10 | 9 | 29-35 | 28 |
| 12. ნავალი | 25 | 7 | 5 | 13 | 20-39 | 26 |
| 13. აკადემიკა | 25 | 4 | 12 | 9 | 23-35 | 24 |
| 14. ლეიქსოეში | 24 | 3 | 13 | 8 | 23-29 | 22 |
| 15. ფერეირა | 25 | 5 | 5 | 15 | 25-42 | 20 |
| 16. ლეირია | 25 | 1 | 6 | 18 | 18-46 | 9 |

**ბომბარდირები:** 21 - ლისანდრო ლოპესი (პორტუ); 11 - კარდოსო (ბენფიკა); 10 - როლანდე ლინცი (ბრაგა); 9 - ლიედსონი (სპორტინგი), მარსელინიო (ნავალი), ვესლი (ფერეირა); 8 - ჟოაო პაოლო (ლეირია), რიბეირო (ბოავიშტა).

### II დივიზიონი

XXV ტური

ეშტორილი-ვარზიმი 1:0; ავეში-ფატიმა 1:0; ოლანენსე-ფეირენსე 2:0; ვიზელა-ჟილ ვისენტე 2:1; პენაფიელი-გონდომარი 0:2; ფრეამუნდე-პორტიმონენსე 2:1; ბეირა მარი-რიუ ავე 1:1; სანტა კლარა-ტროფენსე 0:4.

### ბელგია

XXIX ტური

### გენტი-სტ. ტრუიდენი 2:3

**გოლები:** 0:1 ბუვენსი (11), 0:2 ტიისი (20-საკ. კარში), 1:2 ოლუფადე (48), 2:2 ოლუფადე (61-პენ), 2:3 პეეტერსი (88)

### სერკლი-მონსი 0:0

### ბრიუსელი-მეხელენი 2:2

**გოლები:** 0:1 გოდენსი (3), 1:1 გორიუსი (25), 1:2 ნონგი (34), 2:2 გუტერსტამი (65)

### დენდერი-შარლერუა 2:4

**გოლები:** 1:0 დერიკი (21), 1:1 ბია (27), 1:2 აკპალა (48), 1:3 ტერეო (55), 2:3 მუნიანეზა (60), 2:4 აკპალა (73)

### გენკი-ლოკერენი 2:3

**გოლები:** 0:1 კარევიჩი (53), 1:1 ბარდა (60), 1:2 ხ. კარლოსი (67-პენ), 2:2 ვოსენი (72), 2:3 მ'ბაიო (89)

### რუზელარე-ბეერსხოტი 1:0

**გოლი:** 1:0 ტომპსონი (4)

### ვარეგემი-ბრიუგე 2:3

**გოლები:** 0:1 ლეკო (24), 0:2 სალუ (44), 1:2 როელანდტსი (59), 2:2 ლეიე (78), 2:3 გერაერტსი (86)

### სტანდარდი-მუსკრონი 1:0

**გოლი:** 1:0 ონიევუ (87)

### ვესტერლ-ანდერლეხტ 0:2

**გოლები:** 0:1 ჟილე (14), 0:2 ფრუტოსი (35)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარდი | 29 | 19 | 10 | 0 | 53-17 | 67 |
| 2. ანდერლეხტი | 29 | 17 | 7 | 5 | 49-27 | 58 |
| 3. ბრიუგე | 29 | 17 | 6 | 6 | 39-28 | 57 |
| 4. სერკლი | 29 | 15 | 8 | 6 | 56-28 | 53 |
| 5. ბეერსხოტი | 29 | 14 | 6 | 9 | 40-27 | 48 |
| 6. გენტი | 29 | 12 | 8 | 9 | 51-43 | 44 |
| 7. ვესტერლო | 29 | 11 | 8 | 10 | 40-30 | 41 |
| 8. შარლერუა | 29 | 11 | 6 | 12 | 32-36 | 39 |
| 9. ვარეგემი | 29 | 11 | 6 | 12 | 38-47 | 39 |
| 10. გენკი | 29 | 10 | 8 | 11 | 47-47 | 38 |
| 11. ლოკერენი | 29 | 7 | 13 | 9 | 24-28 | 34 |
| 12. მუსკრონი | 29 | 9 | 6 | 14 | 33-39 | 33 |
| 13. მეხელენი | 29 | 8 | 9 | 12 | 36-43 | 33 |
| 14. რუზელარე | 29 | 8 | 9 | 12 | 31-47 | 33 |
| 15. მონსი | 29 | 7 | 8 | 14 | 34-41 | 29 |
| 16. დენდერი | 29 | 8 | 5 | 16 | 30-49 | 29 |
| 17. სტ. ტრუიდენი | 29 | 5 | 8 | 16 | 26-47 | 23 |
| 18. ბრიუსელი | 29 | 4 | 5 | 20 | 24-59 | 17 |

**ბომბარდირები:** 15 - ბარდა (გენკი); 13 - მალკი (ბეერსხოტი), იოვანოვიჩი (სტანდარდი); 12 - აკპალა (შარლერუა); 11 - ტომუ (მუსკრონი), დისა (რუზელარე), რუისი (გენტი); 10 - დე სუტერი (სერკლი), იაშჩუკი (სერკლი), ფოლეი (გენტი), მბოკანი (სტანდარდი), სტერკელე (ბრიუგე).

### II დივიზიონი

XXX ტური

ეუპენი-ვაასლანდი 1:2; ტუბეკეტურნე 2:0; ლომელი-კორტრიიკი 0:0; ბევერენი-ლიერსი 0:4; დაინცე-ვირტონი 1:2; ანტვერპენი-გეელი 2:2; ჰამე-ნამური 1:2; სტ. ჟილი-ჰევერლე 1:3; ტინენი-ოლ. შარლერუა 0:4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

### ოსასუნა-რეკრეატივო 0:1

**ოსასუნა:** რიკარდო, ასპილიკუეტა, კრუჩაგა, მიგელ ფლანიო, მონრეალი, ასტუდილიო (71. ექტორ ფონტი), პუნიალი, ხოკინ ესპარსა (46. დადი), პლასილი, ხუანფრანი, კიკე სოლა (83. პორტილიო).

**რეკრეატივო:** სორენტინო, მარტინ კასერესი, ბეტო, კიკე ალვარესი, პოლი, კამუნასი, კარლოს მარტინსი, ხუსუს ვასკესი, აიტორი, მარკო რუბენი (67. საინოსი/80. ბარბერი), სინამა პონგოლე (87. ერსენ მარტინი).

**გოლი:** 0:1 სინამა პონგოლე (37)

**გაფრთხილება:** 2-4; **დარტყმა:** 15(5)-4(2); **კუთხური:** 7-2; **თამაშგარე:** 3-3; **ჯარიმა:** 8-25; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 18 493

### მალიორკა-რეალი 1:1

**მალიორკა:** მოია, ექტორი (78. ვებო), ნუნიესი, რამისი (72. დავიდ ნავარო), ფერნანდო ნავარო, ვარელა (67. ბორხა ვალერო), ბასინასი, იბაგასა, იონას გუტიერესი, არანგო, გუისა.

**რეალი:** იკერ კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, ჰაინცე, მარსელო, გაგო, გუტი, სნეიდერი (74. ტორესი), რუბენი, იგუაინი (67. დიარა), რაული (80. ჟულიო ბაპტიშტა).

**გოლები:** 0:1 სნეიდერი (43), 1:1 ბორხა (72)

**გაძევება:** სერხიო რამოსი (65. რეალი)

**გაფრთხილება:** 3-2; **დარტყმა:** 13(2)-14(6); **კუთხური:** 5-2; **თამაშგარე:** 1-2; **ჯარიმა:** 20-17; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 21 000

### ატლეტიკო-ალმერია 6:3

**ატლეტიკო:** აბიატი, ანტონიო ლოპესი, პაბლო, პერეა, პერნია, მაქსი როდრიგესი, რაულ გარსია (61. სანტანა), კამაჩო (71. დე ლას კუევასი), სიმაო (70. რეიესი), ფორლანი, აგუერო.

**ალმერია:** დიეგო ალვესი, ბრუნო, კ. გარსია, პულიდო, მანე, ორტისი (75. უჩე), მელო (74. ირინეი), ხუანიტო, სორიანო (46. აიტორი), კრუსატი, ნეგრედო.

**გოლები:** 1:0 ანტონიო ლოპესი (2), 2:0 ფორლანი (5-პენ), 2:1 ფელიპე მელო (10), 2:2 ორტისი (17), 3:2 სიმაო (33), 3:3 ნეგრედო (36), 4:3 სიმაო (45), 5:3 აგუერო (54), 6:3 აგუერო (70)

**გაძევება:** რუბენ პულიდო (5. ალმერია), ხუანიტო (40. ალმერია)

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 23(11)-8(5); **კუთხური:** 9-5; **თამაშგარე:** 4-5; **ჯარიმა:** 16-14; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 54 000

### ლევანტე-ვალიადოლიდი 0:3

**ლევანტე:** მანოლო რეინა, მანოლო, ალვარო, არმანდო, კასტედო, ხუანმა, ბერსონი (74. არველაძე), მიგელ ანხელი, პედრო ლეონი (61. კურტუა), რიგა (61. იბორა), გეიხო.

**ვალიადოლიდი:** სერხიო ასენხო, პედრო ლოპესი, ბარახა, გარსია კალვო, ოსკარ სანჩესი, სისი, ალვარო რუბიო (70. ბორხა), ვივარ დორადო, სესმა, ვიქტორი (79. ალექსისი), ლორენტე (86. ოგბეჩე).

**გოლები:** 0:1 ლორენტე (24), 0:2 ვიქტორი (59), 0:3 ბორხა (88)

**გაფრთხილება:** 4-4; **დარტყმა:** 10(3)-12(6); **კუთხური:** 4-7; **თამაშგარე:** 5-4; **ჯარიმა:** 11-15; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 10 864

### სარაგოსა-ბეტისი 0:3

**სარაგოსა:** სესარი, დიოგო, აიალა, პარედესი, საპატერი, ლუქსენი (36. აიმარი), გაბი (63. სელადესი), ოსკარი (60. რიკარდო ოლივეირა), მათუსალემი, სერხიო გარსია, დიეგო მილიტო.

**ბეტისი:** კასტო, ილიჩი, მელი, ხუანიტო, ფერნანდო ვეგა, არსუ (60. ხუანდე), კაპი, ედუ, სობისი (77. ლიმა), მარკ გონსალესი (46. ოდონკორი), პავონე.

**გოლები:** 0:1 მარკ გონსალესი (9), 0:2 მარკ გონსალესი (16), 0:3 პავონე (64)

**გაფრთხილება:** 4-1; **დარტყმა:** 22(7)-9(5); **კუთხური:** 7-4; **თამაშგარე:** 2-2; **ჯარიმა:** 16-17; **ბურთის ფლობა:** 68%-32%

**მაყურებელი:** 34 500

### ბილბაო-ესპანიოლი 1:0

**ბილბაო:** არმანდო, ირაოლა, ოსიო, ამორებიეტა, დელ ორნო (67. კოიკილი), სუსაეტა, ხავი მარტინესი, იესტე (37. მუნიოსი), გაბილონდო, გარმენდია (57. ეჩებერია), ლორენტე.

**ესპანიოლი:** კამენი, საბალეტა, ხარკე, ტორეხონი, დავიდ გარსია, რუფეტე (46. კორო), ანხელი, მოისესი, ვალდო (46. რიერა), ლუის გარსია (87. ჯონათანი), ტამუდო.

**გოლი:** 1:0 გარმენდია (13)

**გაფრთხილება:** 5-4; **დარტყმა:** 8(1)-17(3); **კუთხური:** 4-6; **თამაშგარე:** 2-0; **ჯარიმა:** 22-25; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 35 000

### რასინგი-დეპორტივო 1:3

**რასინგი:** ტონიო, პინილიოსი, ორიოლი, სესარ ნავასი, აიოსე (65. ივან ბოლადო), ხორხე ლოპესი, დუშერი, კოლსა, სერანო, მუნიტისი, ჩიტე (46. სმოლიარეკი).

**დეპორტივო:** ავატე, მანუელ პაბლო, პისკუ, პაბლო ამო, კოლოჩინი, ფილიპე, ხუან როდრიგესი, სერხიო (90. ანტონიო ტომასი), დე გუსმანი, ლაფიტა (76. ვერდუ), ჩისკო (85. რიკი).

**გოლები:** 0:1 ჩისკო (1), 0:2 კოლოჩინი (25), 1:2 ხორხე ლოპესი (37), 1:3 ჩისკო (42)

**გაფრთხილება:** 4-3; **დარტყმა:** 21(7)-12(3); **კუთხური:** 9-3; **თამაშგარე:** 5-2; **ჯარიმა:** 21-18; **ბურთის ფლობა:** 65%-35%

**მაყურებელი:** 20 131

### მურსია-ვალენსია 1:0

**მურსია:** კარინი, პინიოლი, იბან კუადრადო, ალვარო მეხია, პაკო პენია, არსო (70. მოვილია), კაბუსი, დე ლუკასი (55. რიჩი), აკინო, აბელი (50. როსინეი), ივან ალონსო.

**ვალენსია:** ჰილდებრანდი, მიგელი, რაულ ალბიოლი, მარჩენა, მორეტი, ბარახა, ბანეგა (60. ედუ), ხოაკინი, მატა (78. არისმენდი), სილვა, მორიენტესი (70. ჟიგიჩი).

**გოლი:** 1:0 ივან ალონსო (34)

**მაყურებელი:** 24 541

### სევილია-ვილიარეალი 2:0

**სევილია:** პალოპი, დანიელ ალვეში, დავიდ პრიეტო, ფასიო (90. ა. კონე), მოსკერა, რენატო (63. კანუტე), ხესუს ნავასი, ადრიანო, ს. კეიტა, ლუიშ ფაბიანო (72. პოულსენი), დიეგო კაპელი.

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, კაპდევილა, ხავი ვენტა, გონსალო (86. სიგანი), გოდინი, პირესი, მარკოს სენა, კასორლა, ეგურენი (61. კანი), ნიჰატი, როსი (66. მატი ფერნანდესი).

**გოლები:** 1:0 ლუიშ ფაბიანო (19), 2:0 კანუტე (87-პენ)

**გაძევება:** კაპდევილა (90. ვილიარეალი)

**გაფრთხილება:** 2-6; **დარტყმა:** 19(9)-11(3); **კუთხური:** 8-4; **თამაშგარე:** 8-2; **ჯარიმა:** 18-19; **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 38 000

### ბარსელონა-ხეტაფე 0:0

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, სილვინიო, ძამბროტა, პუიოლი, გ. მილიტო (46. მარკესი), ჩავი, ინიესტა, ი. ტურე (69. გუდიონსენი), ანრი, ეტო'ო (46. კრკიჩი.

**ხეტაფე:** აბონდანსიერი, ბელენგერი (65. ფრანსიკო კასკერო), კორტესი, ლიხტი, მარიო (39. ტენა), სელესტინი, ალბინი, დე ლა რედი, პაბლო (36. მარიო კოტელო), გრანერო, მანუ.

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 19(2)-11(4); **კუთხური:** 9-3; **თამაშგარე:** 0-2; **ჯარიმა:** 14-9; **ბურთის ფლობა:** 33%-68%

**მაყურებელი:** 68 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 31 | 21 | 3 | 7 | 65-30 | 66 |
| 3. ბარსელონა | 31 | 17 | 8 | 6 | 60-29 | 59 |
| 2. ვილიარეალი | 31 | 18 | 5 | 8 | 52-39 | 59 |
| 4. ატლეტიკო | 31 | 16 | 5 | 10 | 56-39 | 53 |
| 5. რასინგი | 31 | 14 | 8 | 9 | 35-30 | 50 |
| 6. სევილია | 31 | 15 | 3 | 13 | 60-42 | 48 |
| 7. ესპანიოლი | 31 | 13 | 6 | 12 | 40-43 | 45 |
| 8. მალიორკა | 31 | 9 | 14 | 8 | 50-43 | 43 |
| 9. ბილბაო | 31 | 11 | 10 | 10 | 31-29 | 43 |
| 10. ალმერია | 31 | 11 | 9 | 11 | 31-35 | 42 |
| 11. ბეტისი | 31 | 11 | 8 | 12 | 39-43 | 41 |
| 12. ხეტაფე | 31 | 11 | 7 | 13 | 37-39 | 40 |
| 13. დეპორტივო | 31 | 11 | 7 | 13 | 39-43 | 40 |
| 14. ვალენსია | 31 | 11 | 6 | 14 | 34-47 | 39 |
| 15. ვალიადოლ. | 31 | 10 | 8 | 13 | 38-50 | 38 |
| 16. ოსასუნა | 31 | 10 | 7 | 14 | 32-34 | 37 |
| 17. რეკრეატივო | 31 | 9 | 9 | 13 | 33-49 | 36 |
| 18. სარაგოსა | 31 | 8 | 9 | 14 | 41-54 | 33 |
| 19. მურსია | 31 | 7 | 8 | 16 | 28-48 | 29 |
| 20. ლევანტე | 31 | 5 | 4 | 22 | 25-60 | 19 |

**ბომბარდირები:** 23 - ლუიშ ფაბიანო (სევილია); 17 - გუისა (მალიორკა); 16 - ლორენტე (ვალიადოლიდი), რაული (რეალი); 15 - აგუერო (ატლეტიკო), დ. მილიტო (სარაგოსა); 14 - ნიჰათი (ვილიარეალი), ფორლანი (ატლეტიკო).

### II დივიზიონი

XXXII ტური

**ეიბარი-ალავესი 2:0**

გოლები: 1:0 გორირა (31), 2:0 დელ ოლმო (59)

**ლას პალმასი-ტენერიფე 1:1**

გოლები: 0:1 სიცილია (86), 1:1 მ. მარკესი (90)

**ფეროლი-სელტა 2:1**

გოლები: 1:0 მატო (19), 1:1 როსადა (29), 2:1 აგუსი (71-საკ. კარში)

**სპორტინგი-ხიმნასტიკი 3:3**

გოლები: 1:0 ბილიჩი (3-პენ), 1:1 აბელი (45), 2:1 ბილიჩი (50), 2:2 კამპანო (58), 3:2 ომარი (74), 3:3 მოისესი (89)

**ხერესი-კადისი 2:1**

გოლები: 1:0 აიტამი (52), 1:1 დანი (86), 2:1 იორდი (90)

**ნუმანსია-მალაგა 2:1**

გოლები: 1:0 კარმელო (36), 1:1 ხერარდო (62), 2:1 კარმელო (64)

**კასტელონი-კორდობა 1:1**

გოლები: 1:0 ტაბარესი (19-პენ), 1:1 ხ. მორენო (84)

**სოსიედადი-ერკულესი 2:1**

გოლები: 0:1 სენდოა (64), 1:1 დელიბაშიჩი (78), 2:1 მერიდა (82)

**ალბასეტე-სევილია A 1:0**

გოლი: 1:0 კალანდრია (85)

**ელჩე-გრანადა 0:0**

**ეხიდო-სალამანკა 1:1**

გოლები: 0:1 მარტინი (84-პენ), 1:1 რობლესი (87)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნუმანსია | 32 | 20 | 6 | 6 | 46-25 | 66 |
| 2. მალაგა | 32 | 16 | 9 | 7 | 45-28 | 57 |
| 3. სპორტინგი | 32 | 14 | 10 | 8 | 46-33 | 52 |
| 4. სოსიედადი | 32 | 14 | 9 | 9 | 39-29 | 51 |
| 5. ელჩე | 32 | 13 | 10 | 9 | 38-31 | 49 |
| 6. კასტელონი | 32 | 12 | 11 | 9 | 33-27 | 47 |
| 7. ტენერიფე | 32 | 11 | 13 | 8 | 39-39 | 46 |
| 8. სევილია A | 32 | 11 | 12 | 9 | 30-31 | 45 |
| 9. სელტა | 32 | 11 | 10 | 11 | 40-37 | 43 |
| 10. ეიბარი | 32 | 12 | 7 | 13 | 35-37 | 43 |
| 11. ერკულესი | 32 | 9 | 14 | 9 | 43-39 | 41 |
| 12. სალამანკა | 32 | 9 | 14 | 9 | 36-33 | 41 |
| 13. გრანადა | 32 | 10 | 10 | 12 | 31-38 | 40 |
| 14. კადისი | 32 | 10 | 9 | 13 | 31-33 | 39 |
| 15. ფეროლი | 32 | 10 | 9 | 13 | 37-41 | 39 |
| 16. ლას პალმასი | 32 | 10 | 8 | 14 | 34-43 | 38 |
| 17. კორდობა | 32 | 7 | 16 | 9 | 39-44 | 37 |
| 18. ალავესი | 32 | 8 | 11 | 13 | 29-36 | 35 |
| 19. ალბასეტე | 32 | 8 | 10 | 14 | 23-31 | 34 |
| 20. ხიმნასტიკი | 32 | 7 | 13 | 12 | 35-41 | 34 |
| 21. ხერესი | 32 | 7 | 12 | 13 | 34-49 | 33 |
| 22. ეხიდო | 32 | 7 | 9 | 16 | 27-45 | 30 |

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXI ტური

# თეთრი ცხვირსახოცები კამპ ნოუზე

## ბარსელონა რაიკაარდისგან მალე უნდა გათავისუფლდეს



"რეალმა" კიდევ ერთხელ შეირცხვინა თავი, გახსოვთ, **ბერნდ შუსტერი** ბოლო ინტერვიუში სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, ჩემპიონობა ჯერ განაღდებული არ გვაქვს. სანუკვარი მიზნის მისაღწევად, სეზონის დასრულებამდე დარჩენილი ფინალის ტოლფასი რვა ორთაბრძოლა უნდა მოვიგოთო. ამის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამეფო კლუბმა მწვრთნელის მიერ დასახული ამოცანა ვერ გადაჭრა. რომ არა, **დაუდენ იბანიესის** შეცდომები, მადრიდელები დედაქალაქში სულაც ნული ქულით დაბრუნდებოდნენ. საქმე ის არის, რომ არაგონელმა არბიტრმა "რეალის" კარში წესების სრული დაცვით გატანილი გოლი არ ჩათვალა, გარდა ამისა, პირველ ტაიმში "მალიორკას" პენალტიც არ მისცა. ბალეარელთა პრეზიდენტი **ვისენტე გრანდე** სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მისმა გუნდმა სწორედ სენიორ იბანიესის გამო წააგო. სხვათა შორის, "დიარიო მარკამ" მისი მუშაობა ნული ქულით შეაფასა. ასეთი რამ მაშინ ხდება, როცა მადრიდული გაზეთი მიიჩნევს, რომ მატჩის შედეგზე არბიტრმა პირდაპირი გავლენა იქონია. დაგვეთანხმებით, ძალიან მკაცრი შეფასებაა, თუმცა ეს ყველაფერი არ არის. "დიარიო მარკას" მიმოხილვაში უმძიმესმა ბრალდებამაც გაიჟღერა. ერთია, როცა მატჩის შედეგზე უნებლიე შეცდომებით ახდენ გავლენას, და მეორე, როცა მიზანმიმართულად ერთი კლუბის წინააღმდეგ მოქმედებ. მადრიდული გამოცემის ჟურნალისტის, **დელფინ მელეროს** სტატიაში ასეთი რამ ეწერა: *"მალიორკამ" იმაზე მეტი გააკეთა, რისი უნარიც გააჩნდა, მაგრამ ბალეარელებმა მსაჯის მიერ წინასწარ შედგენილ სცენარს მაინც ვერაფერი მოუხერხეს. იბანიესმა მათ გამარჯვების უფლება არ მისცა."* მსაჯისთვის უფრო დიდი ბრალდება მართლაც არ არსებობს. იბანიესს საქვეყნოდ მოეჭრა თავი, მაგრამ "მალიორკისთვის" ეს დიდი ვერაფერი შვებაა. უნდა აღინიშნოს, რომ მასპინძლები უიღბლობითაც სერიოზულად დაზარალდნენ. სტუმრებმა ფაქტობრივად პირველივე საგოლე მომენტი გოლად აქციეს. **ვესლი სნეიდერმა** ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე გაიტანა. მასპინძელთაგან კი **ბორხა ვალერომ** გამოიჩინა თავი. საგოლე პასი მას **ხუან არანგომ** მიაწოდა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მისულ მთავარ მწვრთნელებს აბსოლუტურად განსხვავებული განწყობა ჰქონდათ. **გრეგორიო მანსანო** შედეგით უკმაყოფილო დარჩა, შუსტერი კი პირიქით, საკმაოდ კმაყოფილი ჩანდა. თავდაპირველად მასპინძელთა დამრიგებლის შეფასებას შემოგთავაზებთ: *"არ მინდა, სიტუაცია დავძაბო, მაგრამ არ შემიძლია, არ ვთქვა, რომ მთავარი არბიტრის მუშაობით განცვიფრებული ვარ. მისმა შეცდომებმა სერიოზულად დაგვაზარალა. ყველა პირობა გვქონდა, რომ მოგვეგო, მაგრამ ხელმოცარულები დავრჩით. რა თქმა უნდა, სამეფო კლუბთან ერთი ქულის მოპოვებაც საამაყოა, მაგრამ დღეს ჩვენ ვდომინირებდით და გამარჯვებას ვიმსახურებდით. არაერთი საგოლე მომენტი შევქმენით. ორჯერ გავიტანეთ, მაგრამ მსაჯმა მხოლოდ ერთი ბურთი ჩაგვითვალა."*

აქვე შუსტერის განცხადებასაც შემოგთავაზებთ: *"სერხიო რამოსის გაძევებამდე გარკვეულ უპირატესობას ვფლობდით. ყოველ შემთხვევაში, შეხვედრის მსვლელობას ჩვენ ვაკონტროლებდით. დარწმუნებული ვარ, რიცხვობრივი ბალანსი რომ არ დარღვეულიყო, გავიმარჯვებდით. ორი ქულის დაკარგვის მიუხედავად, შედეგით მაინც კმაყოფილი ვარ. "მალიორკა" ძლიერი კლუბია და სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწია. იმედია, ხვალ ჩვენი კონკურენტები ქულებს დაკარგავენ და მომდევნო შეხვედრებში მშვიდად ვითამაშებთ."*

შუსტერს აშკარად გაუმართლა, რადგან "რეალის" უახლოესმა მდევარმა "ვილიარეალმა" "სევილიასთან" პირწმინდად წააგო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ შეხვედრაში მასპინძლები **მანუელ პელეგრინის** შეგირდებს აბსოლუტურად ყველა კომპონენტში აღემატებოდნენ. **ლუიშ ფაბიანუსა** და **ფრედერიკ კანუტეს** გოლების წყალობით, ანდალუსიელებმა "ვილიარეალს" ფანტასტიკური სერია დაასრულებინეს. თავად განსაჯეთ, პელეგრინის ბიჭებს მანამდე ზედიზედ ოთხი პრიმერადივიზიონური დაპირისპირება ჰქონდათ მოგებული. გარდა ამისა, სტუმრებმა ესპანეთის ჩემპიონატში 27 იანვრის შემდეგ პირველი მარცხი იწვნიეს. რაც იმას ნიშნავს, რომ "სანჩეს პისხუანამდე" მათ ზედიზედ ცხრა ტურის განმავლობაში არ წაეგოთ. ტრიუმფალური გამარჯვებით გახარებულმა **მანოლო ხიმენესმა** პრესკონფერენციაზე ასეთი რამ განაცხადა: *"ასეთი კმაყოფილი დიდი ხანია არ ვყოფილვარ. დღეს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ. წარმოუდგენლად მიხარია, რომ პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთ საუკეთესო და სტაბილურ გუნდს აბსოლუტურად ყველა კომპონენტში ვაჯობეთ. ვფიქრობ, სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ამ სამი ქულის წყალობით, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი შევინარჩუნეთ. გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, დარჩენილ შვიდ ტურში მე და ჩემი შეგირდები შესაძლებლობების მაქსიმუმს გავიღებთ. იმედია, ფორტუნა არ გაგვწირავს."*

მანუელ პელეგრინის რაც შეეხება, მან ვაჟკაცურად აღიარა, რომ "ვილიარეალმა" სუსტად ითამაშა. ჩილელი სპეციალისტის თქმით, გუნდმა შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოამჟღავნა.

"სარაგოსას" საშინელი დრო დაუდგა. არაგონული კლუბი გასავარდნ ზონაში აღმოჩნდა. არადა, შემადგენლობის თვალსაზრისით, "სარაგოსა" ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ პრიმერა დივიზიონში... მაგრამ მწვრთნელების ხშირმა ცვლამ, ფეხბურთელების მოუმზადებლობამ და ფატალურმა უიღბლობამ ეს კლუბი კრახის საფრთხის წინაშე დააყენა. ალბათ, ყველაზე პესიმისტი სარაგოსელიც ვერ წარმოიდგენდა, რომ საშინაო შეხვედრაში მისი გუნდი კატასტროფულ მარცხს იგემებდა. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, **დიეგო მილიტომ**. **მათუსალემმა, სერხიო გარსიამ, აიმარმა** და **ოლივეირამ** აბსოლუტურად ვერაფერი გააწყვეს. რაც შეეხება "ბეტისს", ამ გუნდის პროგრესი აშკარაა. შეგახსენებთ, წინა ტურში ანდალუსიელებმა "ბარსელონასთან" ორბურთიანი ჰანდიკაპი ამოქაჩეს და 3:2 მოიგეს. მათი მწვრთნელის, **პაკო ჩაპაროს** თქმით, კიდევ ერთი გამარჯვება საკმარისი გახდება იმისთვის, რომ კლუბმა პრიმერა დივიზიონში ადგილი შეინარჩუნოს.

ბერნდ შუსტერის ხსენება კიდევ ერთხელ მოგვიწევს. გერმანელ სპეციალისტს მისმა ყოფილმა კლუბმა ჩინებული საჩუქარი გაუკეთა. როგორც გითხარით, ჰერ ბერნდი კონკურენტების მიერ ქულების დაკარგვაზე ოცნებობდა. "ვილიარეალის" შესახებ უკვე ვილაპარაკეთ, ახლა კი იმასაც გეტყვით, რომ "ბარსამ" "ხეტაფეს" ვერაფერი მოუხერხა და სამარცხვინო შთაბეჭდილება დატოვა. საცოდავი სანახაობით განრისხებულმა გულშემატკივრებმა საფინალო სასტვენამდე მცირე ხნით ადრე თეთრი ცხვირსახოცების ფრიალი დაიწყეს. **ფრანკ რაიკაარდისთვის** ეს ძალიან ცუდის ნიშანია, კატალონიელები ამ ჟესტით მთავარი მწვრთნელის გათავისუფლებას ითხოვენ ხოლმე.

### მომდევნო ტური

13 აპრილი. ალმერია-ვილიარეალი, ვალიადოლიდი-ატლეტიკო, ბეტისი-ლევანტე, ხეტაფე-სარაგოსა, რეკრეატივო-ბარსელონა, ესპანიოლი-ოსასუნა, დეპორტივო-ბილბაო, ვალენსია-რასინგი, რეალი-მურსია, მალიორკა-სევილია.

## საბერძნეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| აეკ-ერგოტელისი | 3:1 |
| აპოლონი-ქსანთი | 1:0 |
| არისი-ირაკლისი | 2:2 |
| ატრომიტოსი-ასტერასი | 0:2 |
| ლევადია-პაოკ | 2:0 |
| ოფი-პანათინაიკოსი | 4:1 |
| ოლიმპიაკოსი-ლარისა | 2:1 |
| პანიონიოსი-ვერია | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 28 | 19 | 7 | 2 | 51-21 | 64 |
| 2. აეკ | 28 | 20 | 2 | 6 | 59-17 | 62 |
| 3. პანათინაიკოს | 28 | 18 | 6 | 4 | 40-17 | 60 |
| 4. არისი | 28 | 13 | 8 | 7 | 31-19 | 47 |
| 5. ასტერასი | 28 | 11 | 11 | 6 | 27-20 | 44 |
| 6. ლარისა | 28 | 9 | 12 | 7 | 28-25 | 39 |
| 7. პანიონიოსი | 28 | 11 | 6 | 11 | 35-40 | 39 |
| 8. ქსანთი | 28 | 10 | 6 | 12 | 32-33 | 36 |
| 9. პაოკ | 28 | 10 | 5 | 13 | 26-27 | 35 |
| 10. ოფი | 28 | 9 | 5 | 14 | 38-45 | 32 |
| 11. ირაკლისი | 28 | 7 | 11 | 10 | 22-29 | 32 |
| 12. ატრომიტოსი | 28 | 8 | 4 | 16 | 21-33 | 28 |
| 13. ერგოტელისი | 28 | 6 | 9 | 13 | 24-39 | 27 |
| 14. ლევადია | 28 | 8 | 3 | 17 | 24-47 | 27 |
| 15. ვერია | 28 | 5 | 7 | 16 | 17-38 | 22 |
| 16. აპოლონი | 28 | 5 | 8 | 15 | 24-49 | 22 |

*ბომბარდირი: დ. კოვაჩევიჩი (ოლიმ) - 17.*

### II დივიზიონი

XXII ტური

კერკირა-ტრასივულოსი 1:0; ეთნიკოსი (ა)-კასტორია 1:0; პანსერაიკოსი-პიერიკოსი 5:0; კალამატა-იონიკოსი 2:1; იანინა-პანთრაკიკოსი 1:0; კალითეა-ეთნიკოსი (ა) 3:1; ილისიაკოსი-ეგალეო 1:0; ხაიდარი-ოლიმპიაკოსი 1:1.

## თურქეთი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ტრაბზონი-დენიზლი | 2:0 |
| ოფთასი-ქასიმფაშა | 0:1 |
| ფენერბაჩე-ქაისერი | 2:1 |
| ბურსა-მანისა | 1:0 |
| გაზიანთეფი-ანკარაგუჯუ | 2:1 |
| ბუიუკშეჰირი-ანკარა | 0:1 |
| რიზე-კონია | 2:2 |
| შივასი-ბეშიქთაში | 1:2 |
| გენჩლერი-გალათასარაი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჩე | 29 | 20 | 6 | 3 | 63-29 | 66 |
| 2. გალათასარაი | 29 | 19 | 7 | 3 | 52-20 | 64 |
| 3. შივასი | 29 | 19 | 4 | 6 | 47-22 | 61 |
| 4. ბეშიქთაში | 29 | 19 | 4 | 6 | 46-29 | 61 |
| 5. ქაისერი | 29 | 13 | 9 | 7 | 45-27 | 48 |
| 6. ტრაბზონი | 29 | 12 | 5 | 12 | 39-36 | 41 |
| 7. დენიზლი | 29 | 11 | 6 | 12 | 37-38 | 39 |
| 8. ოფთასი | 29 | 9 | 9 | 11 | 28-30 | 36 |
| 9. ანკარაგუჯუ | 29 | 9 | 9 | 11 | 30-36 | 36 |
| 10. ბუიუკშეჰირი | 29 | 9 | 8 | 12 | 39-37 | 35 |
| 11. გაზიანთეფი | 29 | 9 | 8 | 12 | 32-41 | 35 |
| 12. ბურსა | 29 | 8 | 10 | 11 | 29-33 | 34 |
| 13. ანკარა | 29 | 8 | 9 | 12 | 29-33 | 33 |
| 14. კონია | 29 | 8 | 5 | 16 | 30-59 | 29 |
| 15. გენჩლერი | 29 | 7 | 7 | 15 | 38-45 | 28 |
| 16. მანისა | 29 | 6 | 8 | 15 | 37-52 | 26 |
| 17. რიზე | 29 | 6 | 8 | 15 | 29-53 | 26 |
| 18. ქასიმფაშა | 29 | 6 | 4 | 19 | 20-50 | 22 |

ბომბარდირი: სემიჰ შენთურქი (ფენერბაჩე) - 14.

### II დივიზიონი

XXIX ტური

ერჩიესი-მალათია 3:1; ანთალია-ბოლუ 4:1; დიარბიქირი-გირეშუნი 1:2; ელაზიგი-ქარსიაქა 0:0; ისთანბული-ქართალი 2:1; ქოჯაელი-მარდინი 2:0; ორდუ-გაზიანთეფი 1:0; სამსუნი-ესქისეჰირი 0:0; საქარია-ალთაი დღეს.

## სერბეთი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| ბეჟანია-სარტიდი | 1:2 |
| ბანატი-მლადოსტი | 2:2 |
| ჰაიდუკი-ბორაცი | 1:1 |
| ნაპრედაკი-ვოივოდინა | 1:0 |
| ოფკ-ჩუკარიჩკი | 1:1 |
| პარტიზანი-ცრვენა ზვეზდა | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარტიზანი | 24 | 16 | 7 | 1 | 49-20 | 55 |
| 2. ცრ. ზვეზდა | 24 | 13 | 11 | 0 | 44-15 | 50 |
| 3. ვოივოდინა | 24 | 12 | 7 | 5 | 32-20 | 43 |
| 4. ჩუკარიჩკი | 24 | 8 | 10 | 6 | 25-21 | 34 |
| 5. ბორაცი | 24 | 8 | 9 | 7 | 21-21 | 33 |
| 6. სარტიდი | 24 | 9 | 4 | 11 | 26-32 | 31 |
| 7. მლადოსტი | 24 | 5 | 12 | 7 | 24-31 | 27 |
| 8. ბანატი | 24 | 6 | 7 | 11 | 26-37 | 25 |
| 9. ოფკ | 24 | 6 | 7 | 11 | 20-32 | 25 |
| 10. ნაპრედაკი | 24 | 6 | 6 | 12 | 15-29 | 24 |
| 11. ჰაიდუკი | 24 | 5 | 8 | 11 | 19-28 | 23 |
| 12. ბეჟანია | 24 | 5 | 2 | 17 | 23-38 | 15 |

## სლოვაკეთი

XXIV ტური

| | |
|---|---|
| შენეცი-ნიტრა | 1:0 |
| ჟილინა-არტმედია | 0:1 |
| ტრენჩინი-ბისტრიცა | 1:3 |
| მორავცე-სლოვანი | 0:1 |
| ტრნავა-კოშიცე | 2:0 |
| დუბნიცა-რუჟომბეროკი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არტმედია | 24 | 19 | 2 | 3 | 57-21 | 59 |
| 2. ჟილინა | 24 | 18 | 3 | 3 | 54-21 | 57 |
| 3. ნიტრა | 24 | 13 | 4 | 7 | 28-16 | 43 |
| 4. ტრნავა | 24 | 12 | 5 | 7 | 42-29 | 41 |
| 5. კოშიცე | 24 | 11 | 4 | 9 | 32-27 | 37 |
| 6. რუჟომბეროკი | 23 | 9 | 7 | 7 | 35-31 | 34 |
| 7. სლოვანი | 24 | 10 | 3 | 11 | 32-32 | 33 |
| 8. ბისტრიცა | 24 | 6 | 7 | 11 | 27-30 | 25 |
| 9. დუბნიცა | 23 | 5 | 8 | 10 | 23-33 | 23 |
| 10. მორავცე | 24 | 5 | 5 | 14 | 17-46 | 20 |
| 11. შენეცი | 24 | 4 | 7 | 13 | 19-36 | 19 |
| 12. ტრენჩინი | 24 | 2 | 3 | 19 | 22-66 | 9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

### დუისბურგი-კოტბუსი 0:1

**დუისბურგი:** შტარკე, ლამეი (72. ვილი), ბოჟეკი, შლიკე, ფილიპესკუ (64. დაუნი), პაბლო კასერესი, გრლიჩი, ტარარაჩე, მაიკონი, ნიკულესკუ, იშიაკუ (18. მიოლდერსი).

**კოტბუსი:** ტრემელი, ზიბიგი, მიტრესკი, და სილვა, ანგელოვი, ცვიტანოვიჩი, სკელა (81. რადელიჩი), როსტი, ბასილა, სიორენსენი (74. რივიჩი), იელიჩი (52. პაპადოპულოსი).

**გოლები:** 0:1 სკელა (4)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 22(7)-6(2); **ჯარიმა:** 19-30; **კუთხური:** 9-2; **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 23 000

### არმინია-კარლსრუე 1:0

**არმინია:** ფერნანდესი, შულერი, ბოლმანი, კუჩერა, მიატოვიჩი, კირხი, მარქსი (82. კამპანტაისი), კაუფი, ჰალფარი, ვიხნიარეკი (75. კამპერი), აიგლერი.

**კარლსრუე:** მილერი, გიორლიტცი, ეგიმანი, აიხნერი, შტოლი, კარნელი (73. იაშვილი), ადუობე, პორსელო, ჰაინალი, კენედი (73. ტიმი), ფრაისი.

**გოლები:** 1:0 კამპანტაისი (90).

**გაფრთხილება:** 0-0; **დარტყმა:** 25(8)-9(0); **ჯარიმა:** 12-12; **კუთხური:** 8-5; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 20 000

### აინტრახტი-ნიურნბერგი 1:3

**აინტრახტი:** ნიკოლოვი, სპიხერი, რუსი, ვასოსკი, ოხსი, ვაიზენბერგერი (68. მანციოსი), ფინკი, კაიო (45. ტოშკი), კელერი, ამანატიდისი, ფენინი.

**ნიურნბერგი:** ბლაჟეკი, აბარდონადო, პინოლა, სპირანოვიჩი, გალაშეკი, კლუგე, კრისტიანსენი, მისიმოვიჩი, ხარისტეასი, საენკო (70. მინტალი), ვიტეკი (82. გლაუბერი).

**გოლები:** 1:0 ფინკი (3), 1:1 ხარისტეასი (18), 1:2 ვიტეკი (49), 1:3 მისიმოვიჩი (83).

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 16(5)-6(3); **ჯარიმა:** 12-19; **კუთხური:** 7-1; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 51 500

### ჰერტა-ვერდერი 1:2

**ჰერტა:** დრობნი, ჩაჰედი, ფრიდრიხი, სიმუნიჩი, კაჩარი, მინეირო, ლუსტენბერგერი (78. გრანი), სკასელი (78. დარდაი), პიშჩეკი, ლიმა, რაფაელი (45. ოკორონკვო).

**ვერდერი:** ვიზე, პასანენი, ფრიტცი, ნალდო, მეტრეზაკერი, ფრინგსი (84. ვრანიეში), ბაუმანი (59. იოზილი), ბოროვსკი, დიეგო, კლასნიჩი (59. ალმეიდა), როზენბერგი.

**გოლები:** 0:1 როზენბერგი (1), 1:1 ლიმა (10), 1:2 ბოროვსკი (73).

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 10(2)-15(5); **ჯარიმა:** 21-19; **კუთხური:** 3-6; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 59 786

### შალკე-ჰანზა 1:0

**შალკე:** ნოიერი, კრსტაიჩი, ბორდონი, ვესტერმანი, პანდერი, ერნსტი, ჯოუნსი, შტრაიტი (76. ასამოა), ლარსენი (60. კურანი), ჰალილ ალთინთოფი, სანჩესი (71. ლიოვერკრანდსი).

**ჰანზა:** ვახტერი, სებასტიანი, ლანგენი, გლედსონი, პირსი, ბულოვი, რათგები, რანი (68. ტელენი), ბარტელსი (82. ცეტკოვიჩი), შაპურზადე (52. მენგა), კერნი

**გოლები:** 1:0 ჰალილ ალთინთოფი (52).

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 21(7)-11(4); **ჯარიმა:** 15-14; **კუთხური:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 61 000

### შტუტგარტი-ჰამბურგი 1:0

**შტუტგარტი:** ულრიხი, დელპიერი, ოსორიო, მეირა, ბოკა (70. ბეკი), ჰიტცლშპერგერი, პარდო, ჰილბერტი, და სილვა (67. მარიკა), ბაშთურქი, კაკაუ (88. პიშხორნი).

**ჰამბურგი:** როსტი, კომპანი, რაინჰარდტი, ატუბა (86. სორინი), ბოატენგი, ვან დერ ვაარტი, დე იონგი, ტროხოვსკი (75. სამი), დემელი, ბენჯამინი (60. ზიდანი), გერერო.

**გოლები:** 1:0 ჰილბერტი (20).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 18(6)-23(7); **ჯარიმა:** 11-12; **კუთხური:** 5-8; **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 65 800

### ვოლფსბურგი-ჰანოვერი 3:2

**ვოლფსბურგი:** ბენალიო, რიკარდო კოსტა, მადლუნგი (21. შიმუნეკი), შეფერი, ჟოსუე, გენტნერი, სანტანა, დეჟაგა, მარსელინიო (90. ლაასი), რიტერი (45. ჰასებე), ჯეკო.

**ჰანოვერი:** ენკე, ისმაელი, ჩერუნდოლო (51. შულცი), ფარენჰორსტი, ვინისიუსი, ბალიტში (80. ჰაშემიანი), პინტუ, ბრუგინკი (57. ლაუტი), ჰუშტი, ლალა, შტაინერი.

**გოლები:** 1:0 დეჟაგა (20), 1:1 ბრუგინკი (27), 2:1 მარსელინიო (29), 3:1 დეჟაგა (71), 3:2 შტაინერი (79).

**გაფრთხილება:** 2-0; **დარტყმა:** 12(7)-19(6); **ჯარიმა:** 21-17; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 28 000

### ბაიერნი-ბოხუმი 3:1

**ბაიერნი:** კანი, ლუსიო, დემიკელისი, ლაჰმი, ლელი, ვან ბომელი, ზე რობერტო (72. სოსა), შვაინშტაიგერი (66. ოტლი), რიბერი, ტონი, პოდოლსკი (66. კლოზე).

**ბოხუმი:** ლაშტუვკა, ბიონიგი, მალტრიცი, იაჰია, პფერტცელი, აზაუაგი (46. ბეხმანი), შრიოდერი (80. მიესიელი), იმჰოფი, ფუხსი (76. ეპალე), აუერი, შესტაკი.

**გოლები:** 0:1 აზაუაგი (4), 1:1 ლუსიო (31), 2:1 რიბერი (74-პენ), 3:2 ლელი (88).

**გაძევება:** ვან ბომელი (27. ბაიერნი)

**გაფრთხილება:** 0-4; **დარტყმა:** 19(6)-11(2); **ჯარიმა:** 15-20; **კუთხური:** 5-1; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 69 000

### დორტმუნდი-ლევერკუზენი 2:1

**დორტმუნდი:** ციგლერი, რობერტ კოვაჩი, ჰუმელსი, დედე, რუკავინა, კრინგე (69. კლიმოვიჩი), კელი, ტინგა, ფედერიკო (55. ფრაი), ვალდესი (69. ბაკლი), პეტრიჩი.

**ლევერკუზენი:** ადლერი, კასტრო, ჰაგი, ფრიდრიხი, ზინკივიჩი, როლფესი, შვეგლერი (88. გრეშკო), სარპეი, გეკასი (74. ვიდალი), ბარბარესი, კისლინგი.

**გოლები:** 0:1 კისლინგი (51), 1:1 ფრაი (87), 2:1 დედე (90).

**გაფრთხილება:** 0-2; **დარტყმა:** 15(6)-11(2); **ჯარიმა:** 11-16; **კუთხური:** 4-4; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 67 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 27 | 16 | 9 | 2 | 47-16 | 57 |
| 2. შალკე | 27 | 13 | 9 | 5 | 41-26 | 48 |
| 3. ჰამბურგი | 27 | 12 | 11 | 4 | 37-20 | 47 |
| 4. ვერდერი | 27 | 14 | 5 | 8 | 55-39 | 47 |
| 5. შტუტგარტი | 27 | 14 | 3 | 10 | 45-40 | 45 |
| 6. ლევერკუზენი | 27 | 13 | 5 | 9 | 47-30 | 44 |
| 7. ვოლფსბურგი | 27 | 12 | 7 | 8 | 45-38 | 43 |
| 8. აინტრახტი | 27 | 11 | 9 | 7 | 33-34 | 42 |
| 9. კარლსრუე | 27 | 10 | 8 | 9 | 30-34 | 38 |
| 10. ჰანოვერი | 27 | 9 | 8 | 10 | 38-45 | 35 |
| 11. დორტმუნდი | 27 | 9 | 7 | 11 | 41-45 | 34 |
| 12. ბოხუმი | 27 | 8 | 9 | 10 | 41-44 | 33 |
| 13. ჰერტა | 27 | 9 | 5 | 13 | 29-35 | 32 |
| 14. კოტბუსი | 27 | 6 | 8 | 13 | 29-43 | 26 |
| 15. არმინია | 27 | 6 | 7 | 14 | 26-51 | 25 |
| 16. როსტოკი | 27 | 6 | 6 | 15 | 22-38 | 24 |
| 17. ნიურნბერგი | 27 | 5 | 8 | 14 | 30-43 | 23 |
| 18. დუისბურგი | 27 | 6 | 4 | 17 | 27-42 | 22 |

**ბომბარდირები:** 16 - ლუკა ტონი (ბაიერნი); 15 - მარიო გომესი (შტუტგარტი); 13 - მარკო პეტრიჩი (დორტმუნდი); 12 - დიეგო (ვერდერი); 11 - მარკო პანტელიჩი (ჰერტა).

### II ბუნდესლიგა

**ფიურტი-მიუნხენ 1860 3:1**

**გოლები:** 1:0 რაიზინგერი (5), 1:1 ბიროფკა (25), 2:1 რაიზინგერი (55), 3:1 სიდიმარი (90).

**გაძევება:** ტორანდტი (43. მიუნხენ 1860), შვარცი (82. მიუნხენ 1860), სიდმარი (90. გროიტერ ფიურტი)

**კაიზერსლაუტ.-ჰოფენჰაიმი 0:2**

**გოლები:** 0:1 ედუარდო (75), 0:2 ედუ (79).

**კობლენცი-კიკერსი 1:1**

**გოლები:** 0:1 აგრიტისი (33), 1:1 ვატა (56).

**ალემანია-ოსნაბრუკი 3:0**

**გოლები:** 1:0 მილხრაუმი (60), 2:0 ნემეტი (69), 3:0 ბრინკმანი (73).

**აუგსბურგი-აუე 1:1**

**გოლები:** 0:1 ორაჰოვაცი (35), 1:1 ტურკი (57).

*მე-18 წუთზე ტურკმა ვერ გაიტანა პენალტი*

**კარლ ცაისი-პადერბორნი 3:0**

**გოლები:** 1:0 ალაგუი (41), 2:0 შიმაკი (53), 3:0 ვერნერი (89).

**მაინცი-ვეენი 3:0**

**გოლები:** 1:0 ჰოოგდალემი (28), 2:0 კარჰანი (32), 3:0 გუნკელი (86).

**გაძევება:** შიმაკი (47. ვეენი)

**ზანკტ პაული-ფრაიბურგი 5:0**

**გოლები:** 1:0 ტროიანი (22), 2:0 შნიტცლერი (40), 3:0 ეგერი (44), 4:0 შნიტცლერი (52), 5:0 კურუ (90).

**კიოლნი-ბორუსია (მ) დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (მ) | 26 | 14 | 9 | 3 | 48-27 | 51 |
| 2. ჰოფენჰაიმი | 27 | 14 | 8 | 5 | 43-30 | 50 |
| 3. მაინცი | 27 | 12 | 10 | 5 | 46-27 | 46 |
| 4. კიოლნი | 26 | 13 | 6 | 7 | 46-33 | 45 |
| 5. ფიურტი | 27 | 12 | 8 | 7 | 45-32 | 44 |
| 6. ფრაიბურგი | 27 | 11 | 10 | 6 | 36-34 | 43 |
| 7. ვეენი | 27 | 9 | 10 | 8 | 40-41 | 37 |
| 8. კობლენცი | 27 | 9 | 10 | 8 | 33-34 | 37 |
| 9. ალემანია | 27 | 9 | 9 | 9 | 38-38 | 36 |
| 10. მიუნხენ 1860 | 27 | 8 | 11 | 8 | 35-32 | 35 |
| 11. ზანკტ პაული | 27 | 8 | 9 | 10 | 36-39 | 33 |
| 12. აუგსბურგი | 27 | 8 | 7 | 12 | 32-38 | 31 |
| 13. ოსნაბრუკი | 27 | 8 | 7 | 12 | 35-48 | 31 |
| 14. კიკერსი | 27 | 7 | 10 | 10 | 31-45 | 31 |
| 15. კაიზერსლ. | 27 | 5 | 10 | 12 | 25-32 | 25 |
| 16. აუე | 27 | 6 | 7 | 14 | 36-46 | 25 |
| 17. კარლ ცაისი | 27 | 6 | 7 | 14 | 39-50 | 25 |
| 18. პადერბორნი | 27 | 4 | 10 | 13 | 20-38 | 22 |

**ბომბარდირები:** 18 - ნოვაკოვიჩი (კიოლნი); 14 - ფრინდი (ბორუსია მ'გლადბახი), რაიხენბერგერი (ოსნაბრუკი); 12 - რაიზინგერი (ფიურტი); 11 - ჰელმესი (კიოლნი).

### რეგიონლიგა ჩრდილოეთი

კოტბუსი II-ბრაუნშვაიგი 3:2, ვუპერტალი-ერფურტი 3:0, დინამო-ემდენი 2:1, მაგდებურგი-ალენი 2:2, ლიუბეკი-ფორტუნა გადაიდო, ვერდერი II-ბაბელსბერგი 0:0, ჰამბურგი II-ვოლფსბურგი II 3:0, ესენი-უნიონი 0:3, ფერლი-დორტმუნდი II 1:0.

### რეგიონლიგა სამხრეთი

ბურგჰაუზენი-როიტლინგენი 1:0, ოგერსჰაიმი-უნტერჰახინგი 1:2, ზიგენი-პფულენდორფი 1:0, ბაიერნი II-რეგენსბურგი 3:1, ბურგჰაუზენი-ფრანკფურტი 0:1, ჰესენი-ინგოლშტადტი 1:1, ზანდჰაუზენი-შტ.კიკერსი 2:2, აალენი-მიუნხენ 1860 II 2:0, კარლსრუე II-ელვერსბერგი 3:1, შტუტგარტი II-როიტლინგენი 0:1.

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVII ტური

# თქვენ ვერ გამოიყენეთ შანსი!

## ბაიერნი საბოლოოდ გაფრინდა



დემიკელისი ლუსიოს ულოცავს

"ბაიერნი" ლიდერობას იმტკიცებს. რეკორდმაისტერმა კვლავ 9-ქულიან უპირატესობას მიაღწია და... მოდით, პირდაპირ ვთქვათ: ანი ჩემპიონობას ველარავინ შეეცილება. პრინციპში, ასეც იყო მოსალოდნელი. "ვერდერს", "ჰამბურგს", "ლევერკუზენსა" და "შალკეს" ჰქონდათ შანსი, "ბაიერნის" სამარტო ჩავარდნით ესარგებლათ და სხვაობა კრიტიკულ ზღვრამდე მაინც შეემცირებინათ, მაგრამ საჩუქრებით ვერ გამოიყენეს და ახლა გაიყონ ჩემპიონთა ლიგისა თუ უეფას თასის საგზურები...

გუშინ "ბაიერნმა" "ბოხუმს" უმასპინძლა და თამაშის დებიუტშივე ცივი შხაპი მიიღო. **კანმა** ვერაფერი მოუხერხა **აზაუაგის** ბრწყინვალე დარტყმას და სტუმარი წინ გაიჭრა. ბავარიელებს კიდევ ერთი უსიამოვნო ამბავი 27-ე წუთზე დაატყდათ თავს, როცა **ვან ბომელმა** ორი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო და მოედანი დატოვა. კიდევ კარგი, **ლუსიომ** მალევე გააყაიმა, თორემ როგორ წავიდოდა მიუნხენური გრანდის საქმე, ღმერთმა უწყის. 31-ე წუთზე ბრაზილიელმა მცველმა **შვაინშტაიგერის** საჯარიმოს თავი დაუხვედრა და 1:1. აქ კი "ბაიერნმა" ამოისუნთქა, თუმც აშკარა სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობის მატერიალიზებას კარგა ხანს ვერ ახერხებდა.

"ბოხუმი" საბოლოოდ 74-ე წუთზე გატყდა, როცა საჯარიმოში ხელით თამაშისთვის პენალტით დაისაჯა. **რიბერიმ** 11-მეტრიანი აუღელვებლად შეასრულა. წერტილი კი **ლელმა** დასვა, როცა ინდივიდუალურ გარღვევას მესამე გოლი მოაყოლა - 3:1.

ნამატჩევს **ოტმარ ჰიტცფელდი** არბიტრის გადაწყვეტილებას აპროტესტებდა - **ვან ბომელი** გასაძევებელი არ იყოო. შემდეგ, ჰერ ოტმარმა ესეც ბრძანა: *"დღეს გამარჯვება ძალიან გაგვიჭირდა. ვიტყოდი, რომ ეს იყო ბრწყინვალე მოგება, ყოველივე იმის ფონზე, რაც არბიტრის შეცდომის გამო ვიწვნიეთ. მეორე ტაიმში დიდ რისკზე წავედით. მეტოქეს სამი ფორვარდით ვუტევდით. მოხარული ვარ, რომ გუნდმა სიძნელეებზე სწორი და დროული რეაქცია გამოავლინა".*

გუშინვე, "ბორუსიამ" არქი-მნიშვნელოვანი საშინაო თამაში მოუგო "ლევერკუზენს", რომელიც "ზენიტთან" საუეფასთასო მარცხის (1:4 "ბაიარენაზე") შემდეგ, ეტყობა, შოკიდან ჯერაც ვერ გამოსულა. დორტმუნდელებმა ხუთმატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტეს, 10 ქულით დაშორდნენ გასავარდნ ზონას და ახლა შედარებით მშვიდად არიან.

პირველი ტაიმი საშინელება იყო. მაყურებელმა ორივე გუნდი გამაყრუებელი სტვენით გააცილა შესვენებაზე. მეორე ნახევარში თამაში საგრძნობლად გამოცოცხლდა და ამის მიზეზი გოლი იყო. 51-ე წუთზე სტუმრები **კისლინგის** დარტყმით დაწინაურდნენ. "ბორუსიას" მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. მაგრამ გუნდს მხსნელად მოევლინა **ფრეი**, რომელსაც უგოლო სერიის გამო სასტიკად საყვედურობდნენ. ზედ საფინალო სასტვენის წინ კი **დედეს** დარტყმული "ლევერკუზენის" მეკარე **ადლერს** ფეხებში გაუძვრა. ეს გოლი მნიშვნელოვანი იყო პერსონალურად დედესთვისაც. "ფარმაცევტთა" გოლი ხომ მის უხეშ შეცდომას მოჰყვა...

ახლა, შაბათის მატჩებზე. მთავარი შეხვედრა შტუტგარტში გაიმართა, სადაც "მერსედეს ბენც არენაზე" ("გოტლიბ დაიმლერ შტადიონის" ახალი სახელწოდება) "ჰამბურგი" სტუმრობდა. ჩემპიონს ალმავლობის ხანა უდგას, რასაც ვერ ვიტყვით "ჰამბურგზე", რომელიც ტურიდან ტურამდე თმობს პოზიციებს. "შტუტგარტს" მთავარი დამრტყმელი ძალა აკლდა **მარიო გომესის** სახით, ჰამბურგელებს კი **ოლიჩი, მატიისენი** და **იაროლიმი** არ ჰყავდათ. **არმინ ფეეს** ბიჭებმა თავიდნავე შეტევაზე გააკეთეს აქცენტი. თუმცა თამაშმა ნელ-ნელა მდორე ხასიათი მიიღო და უინტერესო გახდა. ერთადერთი გოლი მე-19 წუთზე გავიდა, როცა კუთხურის შემდეგ **ჰილბერტი** წამით დაუსხლტა მეურვეს და ბურთი ბადეში გაახვია. ამას თან დაერთო მეკარე **როსტის** შეცდომაც. მოკლედ, 1:0. დარჩენილ დროში "ჰამბურგს" თითქოს ჰქონდა უპირატესობა, მაგრამ **ჰუუბ სტევენსის** სამწყსო ერთობ უსისტემოდ ირჯებოდა და მეტოქეს პრობლემებს, ფაქტობრივად, ვერ უქმნიდა.

"შალკემ" გაჭირვებით მოუგო "ჰანზას". ისე, თუ გავიხსენებთ იმ ფაქტსაც, რომ "მაღაროელებს" ჩრდილოელებისთვის 2001 წლის შემდეგ აღარ ეჯობნათ, გასაკვირიც არაფერი იქნება, მით უფრო, რომ "ჰანზას" უჭირს და თითოეული ქულისთვის ტყავში ძვრება. გამარჯვების თავური **ალთინთოფმა იმ შტრაიტის** გადაცემით გაიტანა, ვისი თამაშიც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ იყო.

როგორც იქნა, "ვერდერმაც" მოიგო. **თომას შააფის** გუნდი ბოლო ხანს ხელიდან წავიდა და ეგებ ამ სამმა ქულამ გონებაზე (გნებავთ, გუნებაზეც) მოიყვანოს. აქვე ვთქვათ, რომ "ჰერტა", ისტორიულად, ბრემენელებისთვის იოლი ლუკმაა და შაბათს ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა.

ძლევამოსილ სვლას აგრძელებს "ვოლფსბურგი", რომელმაც რთულ ბრძოლაში "ჰანოვერს" აჯობა. "მგლებს" თავიდან გავარდნაზე ჰქონდათ საქმე, მერე უეფას თასის ზონაზე გაუჩნდათ პრეტენზია, მაგრამ ახლა შეხედეთ ცხრილს: თუ ასე გააგრძელა, **ფელიქს მაგათის** სამწყსო ჩემპიონთა ლიგაშიც შეიძლება მოხვდეს. "ჰანოვერთან" მატჩს რაც შეეხება, გამოვყოფდით მასპინძელთა ნახევარმცველ **დეჟაგას** დუბლსაც.

"არმინიამ" **კამპანტაისის** მიერ უკანასკნელ წუთზე გატანილი გოლით "კარლსრუე" დაამარცხა და 2008 წელს პირველი გამარჯვება იზეიმა. ბილეფელდური კრებული მე-15 საფეხურზე ამაღლდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი სანერვიულო აქვს.

ამ წელს პირველი სამი ქულა (თანაც სტუმრად) დააჭაშნიკა "ნიურნბერგმაც", რომელსაც მოულოდნელად "აინტრახტი" ემსხვერპლა. არადა, ფრანკფურტელებს ბოლო პერიოდში კარგად მისდიოდათ საქმეები. "კომერც ბანკ არენაზე" თამაში 15 წუთის დაგვიანებით დასრულდა. საქმე ისაა, რომ "ნიურნბერგის" ქომაგებმა მოედანზე პეტარდებით გაავსეს და არბიტრი იძულებული გახდა, მატჩი დროებით შეეწყვიტა.

### მომდევნო ტური

11 აპრილი. ნიურნბერგი-ვოლფსბურგი. 12 აპრილი. ჰამბურგი-დუისბურგი, კარლსრუე-ჰანზა, ჰანოვერი-აინტრახტი, კოტბუსი-არმინია, ბოხუმი-ჰერტა, ვერდერი-შალკე. 13 აპრილი. ბაიერნი-ბორუსია, ლევერკუზენი-შტუტგარტი.

## ავსტრია

XXXXIII ტური

| | |
|---|---|
| ავსტრია (ქ)-ალტახი | 1:1 |
| ავსტრია (ვ)-მატერსბურგი | 0:0 |
| ტიროლი-რიდი | 1:0 |
| ზალცბურგი-შტურმი | 3:0 |
| ლინცერი-რაპიდი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რაპიდი | 33 | 18 | 6 | 9 | 63-35 | 60 |
| 2. ზალცბურგი | 33 | 17 | 8 | 8 | 58-38 | 59 |
| 3. ლინცერი | 33 | 14 | 10 | 9 | 52-43 | 52 |
| 4. ავსტრია (ვ) | 33 | 13 | 13 | 7 | 40-30 | 52 |
| 5. შტურმი | 33 | 12 | 11 | 10 | 53-39 | 47 |
| 6. მატერსბურგი | 33 | 10 | 14 | 9 | 46-41 | 44 |
| 7. რიდი | 33 | 10 | 6 | 17 | 37-51 | 36 |
| 8. ალტახი | 33 | 8 | 11 | 14 | 36-56 | 35 |
| 9. ავსტრია (ქ) | 33 | 8 | 8 | 17 | 24-53 | 32 |
| 10. ტიროლი | 33 | 6 | 11 | 16 | 31-54 | 29 |

*ბომბარდირი: ციკლერი (ზალც) - 15.*

### II დივიზიონი

XXIV ტური

ავსტრია (ლ)-გრატკორნი 2:2; შვადორფი-პარნდორფი 1:0; ავსტრია II-ლუშტენაუ 1:0; ზალცბურგი II-ლეობენი 1:0; ბად ოსი-კერნტენი 1:1; კაპფენბერგი-შვანენშტადტი 2:0.

## შვეიცარია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| არაუ-ტუნი | 3:0 |
| გრასჰოპერსი-ბაზელი | 1:1 |
| ქსამაქსი-სტ. გალენი | 1:0 |
| სიონი-ციურიხი | 3:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 29 | 18 | 5 | 6 | 55-32 | 59 |
| 2. იანგ ბოიზი | 28 | 17 | 7 | 4 | 71-39 | 58 |
| 3. ციურიხი | 29 | 13 | 8 | 8 | 53-35 | 47 |
| 4. არაუ | 29 | 10 | 10 | 9 | 41-37 | 40 |
| 5. გრასჰოპერსი | 29 | 11 | 7 | 11 | 47-45 | 40 |
| 6. სიონი | 29 | 9 | 7 | 13 | 38-44 | 34 |
| 7. ლუცერნი | 28 | 7 | 12 | 9 | 33-44 | 33 |
| 8. ქსამაქსი | 29 | 8 | 8 | 13 | 36-44 | 32 |
| 9. სტ. გალენი | 29 | 8 | 5 | 16 | 34-60 | 29 |
| 10. ტუნი | 29 | 5 | 7 | 17 | 25-53 | 22 |

*ბომბარდირი: ჰ. იაკინი (ი. ბოიზი) - 18.*

### ჩელენჯლიგა

XXVII ტური

კიასო-ვინტერტური 1:1; გოსაუ-ლოკარნო 4:2; ივერდონი-ლუგანო 1:1; ლოზანა-კონკორდია 1:1; ვილი-დელემონი 0:1; ვადუცი-ფონდსი 4:0; სერვეტი-შაფჰაუზენი 1:2; ვოლენი-კრინსი დღეს.

## შვეიცარიის თასი

### ფინალი

| | |
|---|---|
| ბელინცონა-ბაზელი | 4:1 |

## დანია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| ჰორსენსი-ბრონდბიუ | 1:3 |
| რანდერსი-ოდენსე | 0:2 |
| ოლბორგი-ნორდსილანდი | 3:1 |
| ესბერგი-ლუნგბიუ | 2:1 |
| კოპენჰაგენი-მიდტიულანდი | 0:2 |
| აგფ ორჰუსი-ვიბორგი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლბორგი | 23 | 15 | 4 | 4 | 45-30 | 49 |
| 2. კოპენჰაგენი | 23 | 12 | 7 | 4 | 32-18 | 43 |
| 3. მიდტიულანდი | 23 | 12 | 5 | 6 | 33-25 | 41 |
| 4. ოდენსე | 23 | 9 | 11 | 3 | 35-17 | 38 |
| 5. ესბერგი | 23 | 10 | 4 | 9 | 44-36 | 34 |
| 6. ჰორსენსი | 23 | 9 | 7 | 7 | 30-30 | 34 |
| 7. ნორდსილანდი | 23 | 8 | 8 | 7 | 33-31 | 32 |
| 8. რანდერსი | 23 | 8 | 6 | 9 | 27-21 | 30 |
| 9. ბრონდბიუ | 23 | 8 | 6 | 9 | 31-31 | 30 |
| 10. აგფ ორჰუსი | 22 | 5 | 5 | 12 | 20-31 | 20 |
| 11. ვიბორგი | 22 | 4 | 2 | 16 | 19-48 | 14 |
| 12. ლუნგბიუ | 23 | 2 | 5 | 16 | 22-52 | 11 |

*ბომბარდირი: გრაულუნდი (ორჰ) - 12.*

### II დივიზიონი

XIX ტური

ფრედერისია-სილკებორგი 1:2; ორჰუსი-ნაესტვედი 2:1; ჰერფიოლგე-ფრემადი 4:0; კიოგე-ჰიკ 2:1; კიოლდინგი-აკადემისკი 3:0; ნიკიობინგი-ოლსტიკე 2:1; სიონდერილი-ჰვიდოვრე 1:0; ვეილე-სკივე 2:0.

## რუმინეთი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| პოლიტეხნიკა-უნირეა | 2:3 |
| უნივერსიტატეა (კრ)-გლორია (ბის) | 1:1 |
| ოცელული-დინამო | 0:1 |
| პ. ტიმიშოარა-უნივერსიტატ (კლ) | 3:0 |
| ფარული-რაპიდი | 0:0 |
| გლორია (ბუზ)-ვასლუი | 1:1 |
| ქლუჟი-პანდური | 1:2 |
| ჩახლაული-არადი | 1:1 |
| სტიაუა-დაჩა | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქლუჟი | 27 | 18 | 5 | 4 | 44-21 | 59 |
| 2. სტიაუა | 27 | 18 | 5 | 4 | 34-14 | 59 |
| 3. რაპიდი | 27 | 14 | 7 | 6 | 40-23 | 49 |
| 4. დინამო | 27 | 14 | 7 | 6 | 41-25 | 49 |
| 5. პოლი ტიმიშ. | 27 | 14 | 7 | 6 | 47-33 | 49 |
| 6. უნირეა | 27 | 13 | 10 | 4 | 32-19 | 49 |
| 7. ვასლუი | 27 | 10 | 11 | 6 | 38-25 | 41 |
| 8. გლორია (ბის) | 27 | 9 | 9 | 9 | 28-32 | 36 |
| 9. უნივერს (კრ) | 27 | 10 | 5 | 12 | 30-35 | 35 |
| 10. ოცელული | 27 | 10 | 3 | 14 | 34-44 | 33 |
| 11. პოლიტეხნიკა | 27 | 8 | 6 | 13 | 29-35 | 30 |
| 12. პანდური | 27 | 8 | 6 | 13 | 29-35 | 30 |
| 13. დაჩა | 27 | 7 | 7 | 13 | 23-34 | 28 |
| 14. გლორია (ბუზ) | 27 | 7 | 6 | 14 | 26-45 | 27 |
| 15. ფარული | 27 | 5 | 10 | 12 | 15-28 | 25 |
| 16. არადი | 27 | 5 | 8 | 14 | 23-35 | 23 |
| 17. ჩახლაული | 27 | 6 | 5 | 16 | 22-37 | 23 |
| 18. უნივერს (კლ) | 27 | 3 | 11 | 13 | 28-43 | 20 |

*ბომბარდირი: დანჩიულესკუ (დინ) - 15.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი. მე-3 ეტაპი

# მასამ კრიტიკოსები გააჩუმა



ბოლოს და ბოლოს, შამპანური მასამაც დააგემოვნა

გუშინდლამდე ბაჰრეინის დიდ პრიზს ერთი ტრადიცია ჰქონდა - პოულ პოზიციის მომგები რბოლასაც იგებდა. მაგრამ ეს ტრადიცია გუშინ დაირღვა - კვალიფიკაციის გამარჯვებულმა რბოლა ვერ მოიგო. სამაგიეროდ, ლიდერი ორივე ჩათვლაში შეიცვალა, ბრიტანელმა **ლუის ჰემილტონმა** კი თავის კარიერაში ყველაზე დაბალი ადგილი დაიკავა. რაც მთავარია, პოლონელმა **რობერტ კუბიცამ** თავის კარიერაში პირველად მოიგო კვალიფიკაცია და თავის გუნდსაც პირველი პოული მოუტანა.

დაკიდევ, ყველაზე მთავარი - რბოლა ბრაზილიელი **ფელიპე მასას** გამარჯვებით დასრულდა. "ფერარის" პილოტს ბაჰრეინამდე ქულაც არ ჰქონდა მოპოვებული, რამაც პადოკში უამრავ მითქმა-მოთქმას დაუდო სათავე, რომელთაგან ყველაზე არარეალური ის იყო, რომელიც გვამცნობდა, რომ მალე მასას მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, გერმანელი **მიხაელ შუმახერი** შეცვლიდა.

უნდა ითქვას, რომ მასა ბაჰრეინის სახირის ტრასაზე ჯერ კიდევ პარასკევის თავისუფალ პრაქტიკებზე უსწრაფესი იყო. მართალია, კვალიფიკაციისწინა ვარჯიშზე მას გერმანელმა **ნიკო როსბერგმა** აჯობა, მაგრამ ბრაზილიელმა პოულისთვისაც ლომივით იბრძოლა და თუ წინა სასტარტო ადგილის დაკავება ვერ შეძლო, მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლო წამებზე მისი საპოულე შედეგი კუბიცამ გააუმჯობესა.

*"ფანტასტიკურია რობერტ, შესანიშნავად იმუშავე, გუნდს პირველი პოული აჩუქე. გმადლობთ ამისთვის"*, - კრაკოველ პილოტს რადიოთივე მიმართა "ბეემვე ზაუბერის" შეფმა **მარიო თაისენმა**. კუბიცამ ეს სეზონი მართლაც შესანიშნავად დაიწყო - ავსტრალიაში სტარტი პირველი რიგიდან აიღო, მალაიზიაში კი რბოლა მეორე ადგილზე დაასრულა. ეს რომ მისთვის პირველი სეზონი იყოს, ალბათ, ჰემილტონსაც შევადარებდით. თუმცა, ბრიტანელზე ნაკლები მიღწევა არც პოლონელს აქვს, რომელმაც ბაჰრეინშიც შეძლო კვარცხლბეკზე ასვლა და ვინძლო, ბავარიულ საჯინიბოს პირველი გამარჯვებაც სწორედ მან მოუტანოს.

არადა, საპოულე წრის ბოლო სექტორში მან ისეთი შეცდომა დაუშვა, რომ ცოტა დააკლდა, კვალიფიკაცია ტრასის მიღმა დაესრულებინა. ერთ-ერთ მოსახვევში მისი ბოლიდი მკვეთრად მარცხნივ გადაიხარა და მისი მარჯვენა ბორბლები ჰაერში გამოკიდული აღმოჩნდა. პოლონელმა რის ვაი-ვაგლახით დაიმორჩილა საჭე და გზა განაგრძო. ნარბოლევს კი განაცხადა, იმ შეცდომის გამო, პოულზე არც ვფიქრობდიო.

აღსანიშნავია, რომ 2006 წლის ჩინეთის დიდი პრიზის (ოქტომბერი) შემდეგ, ბაჰრეინში პირველად მოხდა, რომ პოულ პოზიცია "ფერარის", ან "მაკლარენის" პილოტებმა ვერ მოიგეს. "ბეემვე ზაუბერი" იმედოვნებს, რომ ამ ორი მეტოქე გუნდის გამარჯვებათა სერიასაც მალე შეწყვეტს.

პოლონელი პილოტის მიერ კვალიფიკაციის მოგება მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მომენტია, რომელიც შესაძლოა, დიდი პრიზების ცირკში "ბეემვეს" ეპოქის დასაწყისიც კი გახდეს. მით უმეტეს, რომ ბავარიულ-შვეიცარიული გუნდი რბოლის შემდეგ კონსტრუქტორთა პირველობის სათავეშიც აღმოჩნდა, მისმა გერმანელმა პილოტმა **ნიკ ჰაიდფელდმა** კი პირად ჩათვლაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

სამწუხაროდ, კუბიცას სტარტი არ გამოუვიდა. ის მწვანე შუქზე ოდნავ შეყოვნდა, რითაც უმალ ისარგებლა მასამ და წინ გაიჭრა. პოლონელმა მეორე პოზიცია შეინარჩუნა, თუმცა ორი წრის შემდეგ, ისიც დათმო მსოფლიო ჩემპიონ **კიმი რაიკონენთან** ბრძოლაში. როგორც მოგვიანებით გაირკვა, კუბიცამ ტრასაზე დაღვრილ ზეთის გუბეზე გაიარა, რამაც მისი საბურავების გზასთან ჩაჭიდება მკვეთრად გააუარესა. როგორც თავად პილოტი ამბობს, მას თურმე ეგონა, რომ საბურავში წნევა დავარდა, ამიტომ მოსახვევში ფრთხილად შევიდა, რითაც მაშინვე ისარგებლა რაიკონენმა, ვინც მეტოქეს გარე რადიუსით გაუარა. მერე კი, საბურავის ის ადგილი, რომელიც ზეთით იყო დასველებული, მალე გაცვდა და კუბიცამაც ჩვეულ რეჟიმში გააგრძელა ასპარეზობა, თუმცა დაკარგული პოზიციის დაბრუნება ველარ მოახერხა.

უხეირო სტარტი აიღო ჰემილტონმაც, ვინც მწვანე შუქზე ადგილზე ჩარჩა (სტარტამდე დაშვებული შეცდომის შედეგად) და უმალ რამდენიმე მეტოქემ ჩამოიტოვა. რბოლაში რომ ჩაერთო, ბრიტანელი უკვე პირველი ათეულის მიღმა იმყოფებოდა. მის წინ კი ყოფილი თანაგუნდელი **ფერნანდო ალონსო** იყო. პირველივე წრის ბოლოს - მეორეს დასაწყისში, ჰემილტონმა გასწრება სცადა, მაგრამ მანევრი არ გამოუვიდა. უფრო მეტიც, ვერ მოზომა და თავისი ბოლიდის ცხვირით ალონსოს "რენოს" უკანა მარჯვენა ბორბალზე დაეჯახა. ამით, პირველ რიგში, ბრიტანელი დაზარალდა, რომლის ბოლიდსაც ცხვირი გაუტყდა და ამის გამო, ბოქსში ადრეული ვიზიტი დასჭირდა. ალონსომ გზა კი გააგრძელა, მაგრამ ბევრი ადგილი დაკარგა. ამ ინციდენტის გამო, ნარბოლევს ჰემილტონმა ყოფილ თანაგუნდელს მოუბოდიშა.

მესამე წრე იმითაც გამოდგა საინტერესო, რომ მასზე ჰაიდფელდმა ჰემილტონის ფინელ თანაგუნდელ **ჰეიკი კოვალაინენს** გაასწრო და ამის შემდეგ, წინ აღარც გაუშვია. კუბიცამ და ჰაიდფელდმა პელოტონის სათავეში რამდენიმე წრე კი იარეს, მაგრამ ეს მხოლოდ მეორე პიტ სტოპის წინ მოხდა, როცა "ფერარის" ორივე პილოტი ბოქსებში მეორედ შევიდა.

უნდა ითქვას, რომ სასტარტო პერიპეტიების შემდეგ, რბოლაში ბევრი საინტერესო აღარაფერი მომხდარა. ტრასაზე მხოლოდ ლოკალური, უკანა ადგილებისთვის ბრძოლა მიმდინარეობდა, "ფერარის" ბოლიდები კი იმდენად დამაჯერებლად ლიდერობდნენ, რომ მათ გამარჯვებაში ეჭვი მაშინაც არავის შეჰპარვია, როცა რბოლის მიწურულს, ორივემ ტემპი საგრძნობლად დააგდო და მდევრებს მიახლოვების საშუალება მისცა.

*"ჩემთვის სეზონი აქ დაიწყო. მზემ ჩემთვის აქ გამოანათა. წინა ორი რბოლა ხელცარიელმა დავასრულე, მაგრამ ასეთია ცხოვრება. ხანდახან ძალიან გიჭირს, ხან კი თავის გამოჩენის საშუალება გეძლევა. ვიმედოვნებ, ცუდი რბოლების მარაგი ამოვწურე და აქედან მოყოლებული, სეზონის ბოლომდე მხოლოდ ჩემი სისწრაფის შესაბამისად დავიკავებ რბოლებში ადგილებს"*, - განაცხადა მასამ.

ამგვარად, სამი ეტაპის შემდეგ, ჩემპიონატს სათავეში რაიკონენი ჩაუდგა, რომელიც სამ ქულას უგებს მეორეზე მყოფ ჰაიდფელდს და ხუთს ჰემილტონს, ვინც ბაჰრეინის ეტაპი მე-13 ადგილზე დაასრულა.

ახლა ჩემპიონატში სამკვირიანი პაუზაა, რის შემდეგაც, დიდი პრიზების ქარავანი ბარსელონას მიადგება და იქ ესპანეთის დიდ პრიზს გამართავს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

| ბაჰრეინის დიდი პრიზი | |
|---|---|
| სახირი (მანამა, ბაჰრეინი). 308.238 კმ (5.412 კმ X 57 წრე) | |
| 1. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) | 1:31:06.970 |
| 2. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) | +00:03.339 |
| 3. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, BMW ზაუბერი) | 00:04.998 |
| 4. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, BMW ზაუბერი) | 00:08.409 |
| 5. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, მაკლარენი) | 00:26.789 |
| 6. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) | 00:41.314 |
| 7. მარკ უებერი (ავსტრალია, რედბული) | 00:45.473 |
| 8. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამსი) | 00:55.889 |
| 9. ტიმო გლოკი (გერმანია, ტოიოტა) | 01:09.500 |
| 10. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, რენო) | 01:17.181 |
| 11. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ჰონდა) | 01:17.862 |
| 12. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, ფორს ინდია) | 1 წრე |
| 13. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენი) | 1 წრე |
| 14. კაძუკი ნაკაძიმა (იაპონია, უილიამსი) | 1 წრე |
| 15. სებასტიან ბურდე (საფრანგეთი, ტორო როსო) | 1 წრე |
| 16. ენტონი დევიდსონი (ბრიტანეთი, სუპერ აგური) | 1 წრე |
| 17. ტაკუმა სატო (იაპონია, სუპერ აგური) | 1 წრე |
| 18. დევიდ კულტჰარდი (ბრიტანეთი, რედ ბული) | 1 წრე |
| 19. ადრიან სუტილი (გერმანია, ფორს ინდია) | 2 წრე |
| გ. ნელსინიუ პიკე (ბრაზილია, რენო) | 17 წრე |
| გ. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა) | 38 წრე |
| გ. სებასტიან ფეტელი (გერმანია, ტორო როსო) | 57 წრე |

*შენიშვნა: გ - გამოეთიშა*

*უსწრაფესი წრე: ჰეიკი კოვალაინენი 1:33.193, 49-წრე*

**პირადი კლასიფიკაცია 3 ეტაპის შემდეგ**

1. კიმი რაიკონენი 19; 2. ნიკ ჰაიდფელდი 16; 3. ლუის ჰემილტონი 14; 4. რობერტ კუბიცა 14; 5. ჰეიკი კოვალაინენი 14; 6. ფელიპე მასა 10; 7. იარნო ტრული 8; 8. ნიკო როსბერგი 7; 9. ფერნანდო ალონსო 6; 10. მარკ უებერი 4; 11. კაძუკი ნაკაძიმა 3; 12. სებასტიან ბურდე 2

**კონსტრუქტორთა პირველობა**

1. BMW ზაუბერი 30; 2. ფერარი 29; 3. მაკლარენ-მერსედესი 28; 4. უილიამს-ტოიოტა 10; 5. ტოიოტა 8; 6. რენო 6; 7. რედ ბულ-რენო 4; 8. ტორო როსო-ფერარი 2



ჰემილტონმა რბოლა "ცხვირმოტეხილმა" დაიწყო



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

### 4 აპრილი

**იუტა-სან ანტონიო 90:64**

18:24, 22:14, 24:17, 26:9

ი: ოქური (17+16 მოხსნა), დ. უილიამსი (16+11 პასი), ბუზერი (16), კორვერი (11), კირილენკო (10).

ს-ა: ტ. პარკერი (17), დანკანი (15+10 მოხსნა).

**ტორონტო-შარლოტი 100:105**

22:27, 24:24, 30:23, 24:31

ტ: ბოში (23+8 მოხსნა), ნესტეროვიჩი (23+10 მოხსნა), მუნი (16), ე. პარკერი (14), ბარნიანი (10).

შ: ჯ. რიჩარდსონი (27+7 მოხსნა+6 პასი), ფელტონი (21+7 პასი), ოკაფორი (15+13 მოხსნა), მოჰამედი (11), დადლი (10).

**ატლანტა-ფილადელფია 104:109**

19:28, 27:23, 28:26, 30:32

ა: ჯო ჯონსონი (32+8 პასი), ჩილდრესი (20), მერვინ უილიამსი (19), ჯოშ სმიტი (12), პორფორდი (10).

ფ: იგუოდალა (30+10 პასი), ა. მილერი (23+6 პასი), დალემბერი (15+10 მოხსნა), უ. გრინი (15), ტ. იანგი (12).

**მემფისი-გ. სტეიტი 86:117**

25:33, 21:27, 20:30, 20:27

მ: გეი (23), უორიკი (13), ლოური (12).

გ-ს: ბიედრინსი (21+17 მოხსნა), მ. ელისი (19+4 ჩაჭრა), აზუბუიკე (15+10 მოხსნა), ს. ჯექსონი (14), ბელინელი (13), რაიტი (10).

**სიეტლი-ჰიუსტონი 66:79**

17:22, 24:18, 13:29, 12:10

ს: კოლისონი (15+11 მოხსნა), პეტრო (11+15 მოხსნა).

ჰ: მაკგრეიდი (25+6 პასი), ბ. ჯექსონი (13), ბეტიე (11), ბრუქსი (10), სკოლა (7+12 მოხსნა).

**მილუოკი-ინდიანა 101:105**

22:30, 24:23, 23:24, 32:28

მ: რედი (28), ბოგუტი (21+16 მოხსნა+3 დაფარება), ვილიანოვა (11+9 მოხსნა), სესიონსი (11), სიმონსი (11).

ი: დანლივი (27+11 მოხსნა), მერფი (17+6 პასი), გრეინჯერი (13), დიენერი (11), მ. დენიელსი (11), ჯ. ონილი (11).

**ვაშინგტონი-მაიამი 109:95**

29:23, 31:21, 28:28, 21:23

ვ: კ, ბატლერი (29+3 ჩაჭრა), ბლატჩე (17), ჰეიუუდი (14+4 დაფარება), არენასი (13+8 პასი), სონგაილა (12+8 მოხსნა+6 პასი), სტივენსონი (12).

მ: რ. დევისი (33+8 პასი), ქუინი (24+8 პასი), დ. კუკი (13).

**დეტროიტი-ნიუ ჯერსი 106:87**

23:20, 32:21, 26:19, 25:27

დ: მაკდაისი (19), რ. უოლასი (17+8 მოხსნა), სტაკი (14+9 პასი), პრინსი (11), დიქსონი (11), ბილაპსი (10).

ნ-ჯ: რ. ჯეფერსონი (15), სვიფტი (11), კრსტიჩი (10).

**ფინიქსი-მინესოტა 117:88**

36:15, 26:26, 24:23, 31:24

ფ: ა. სტაუდმაიერი (24+9 მოხსნა), გ. ჰილი (16+10 მოხსნა), რ. ბელი (15), ნეში (14+11 პასი), ბარბოსა (11), შ. ონილი (5+11 მოხსნა).

მ: ე. ჯეფერსონი (24+12 მოხსნა), იარიჩი (12), გომესი (10), მაკკენტსი (10).

**ლეიკერსი-დალასი 112:108**

31:31, 23:33, 26:23, 32:21

ლ: ოდომი (31+10 მოხსნა), ბრაიანტი (25+10 მოხსნა+6 პასი), გასოლი (25+7 პასი).

დ: ნოვიცკი (27), ტერი (25), ჯოშ ჰოვარდი (23), დემპი (11+10 მოხსნა), კიდი (10+8 პასი+7 მოხსნა).

**ნ. ორლეანი-ნ. იორკი 118:110**

29:29, 31:27, 27:31, 31:23

ნ-ო: პოლი (33+15 პასი), სტოიაკოვიჩი (22), დევიდ უესტი (17+4 დაფარება), ჩენდლერი (14+3 დაფარება), პიტერსონი (11).

ნ-ი: ჯ. კროუფორდი (29+9 პასი), ნ. რობინსონი (23), ზ. რენდოლფი (22+12 მოხსნა), ლი (13+10 მოხსნა), მ. როუზი (11).

### 5 აპრილი

**კლივლენდი-ორლანდო 86:101**

26:30, 29:17, 17:22, 14:32

კ: დელონტე უესტი (19), ილგაუსკასი (18+9 მოხსნა), ლ. ჯეიმსი (17+9 პასი+7 მოხსნა), დ. ბრაუნი (15).

ო: თურქოღლუ (23), რ. ლიუისი (21), ნელსონი (16+9 მოხსნა), გერიტი (13), რ. ევანსი (11), დ. ჰოვარდი (4+12 მოხსნა).

**ფილადელფია-ატლანტა 85:92**

14:25, 29:31, 13:15, 28:22

ფ: იგუოდალა (25+9 მოხსნა), ა. მილერი (18), ლ. უილიამსი (13+7 პასი), კარნი (13).

ა: ჯ. ჯონსონი (22+8 მოხსნა+6 პასი), ჯოშ სმიტი (18+10 მოხსნა+3 დაფარება), მერვინ უილიამსი (18), პორფორდი (10+12 მოხსნა), ბიბი (10).

**შარლოტი-ბოსტონი 87:101**

25:37, 25:27, 19:18, 9:19

შ: ოკაფორი (17+8 მოხსნა), ბოიკინსი (15), ფელტონი (11+10 პასი), დადლი (10).

ბ: პოუ (22+9 მოხსნა), პოუსი (19), პაუსი (16), ტ. ალენი (12).

**ნიუ ჯერსი-ტორონტო 99:90**

33:26, 23:22, 20:26, 23:16

ნ-ჯ: ვ. კარტერი (32+7 მოხსნა), რ. ჯეფერსონი (28+6 პასი), დ. ჰარისი (12+7 პასი), ს. სვიფტი (10).

ტ: ნესტეროვიჩი (22+14 მოხსნა+3 დაფარება), ბოში (18+10 მოხსნა+6 პასი), ფორდი (13), მუნი (13), ე. პარკერი (11).

**დენვერი-საკრამენტო 115:118**

34:25, 22:34, 23:29, 36:30

დ: ენტონი (47+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), კლეიზა (28), სმიტი (13), აივერსონი (13), კემბი (4+14 მოხსნა+11 პასი).

ს: კევინ მარტინი (36), გარსია (29+6 მოხსნა+6 პასი), მური (23+10 პასი).

**ჩიკაგო-ვაშინგტონი 87:99**

22:25, 21:17, 21:34, 23:23

ჩ: გორდონი (18), ჰიუზი (16), ტაირუს ტომასი (12).

ვ: ჰეივუდი (25+10 მოხსნა), კ. ბატლერი (18), რ. მეისონი (!4), სონგაილა (14), სტივენსონი (11).

## ოლიმპიზმი. პეკინი 2008

# ალპინისტებს სამუშაო მიეცათ



ცოტა ხნის წინ, პეკინში ექსპლუატაციაში შევიდა უნიკალური სპორტული ობიექტი - ეროვნული საწყლოსნო ცენტრი, რომელსაც თავისი ორიგინალური დიზაინისა და გაფორმების გამო, Water Cube ("წყლის კუბი") ენოდა. შენობის კედლები 3 ათასი საჰაერო ბალიშისგან შედგება, რომელიც მსუბუქი და მყარი მასალისგან არის დამზადებული. ამ მასალას Ethylen Tetrafluorethylen ჰქვია, შემქმნელები კი, მას ტეფლონსაც ეძახიან.

ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ახალი შენობით დატკბობა ვერ მოასწრეს, რომ მაშინვე პრობლემას წააწყდნენ. გიგანტურ საცურაო აუზს (მისი ტრიბუნები 17 ათას მაყურებელს იტევს) დაბინძურებისკენ აქვს მიდრეკილება. პეკინში რომ განსაკუთრებულად მტვრიანი ჰაერია, ეს ყველასთვის არის ცნობილი. და თურმე მტვერის დიდი ნაწილი, რატომღაც "წყლის კუბის" კედლებზე იყრის თავს. შეშფოთებულ ჩინოვნიკებს დამატებითი სახსრების გამოყოფა და სპეციალურად გაწვრთნილი ალპინისტების დაქირავება უწევთ ამ არქიტექტურული მშვენების გასარეცხად. არადა, წყლის კუბის სიგრძე 170 მეტრია, სიმაღლე - 30 მეტრი.

**გია თვალაბეიშვილი**

## ძალოსნობა. სკანდალი

# 11 ბერძენი დოპინგზე ჩავარდა

საბერძნეთის ძალოსანთა ნაკრები შესაძლოა, პეკინის ოლიმპიური თამაშების მიღმა დარჩეს. შაბათს, ქვეყნის ძალოსნობის ფედერაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეროვნული ნაკრების 11 (!) წევრს სისხლში აკრძალული პრეპარატის კვალი აღმოუჩინეს. განმეორებითი დოპინგ-ტესტის შედეგები დღეს გახდება ცნობილი და თუ სტიმულატორების მიღების ფაქტი საბოლოოდ დადასტურდა, სპეციალური კომისია ამ ფაქტის გამოძიებას დაიწყებს.

*"ჩვენდა გასაკვირად, სავალდებულო ტესტის ჩატარებისას, 14-დან 11 სპორტსმენი აკრძალული პრეპარატის მიღებაში ვამხილეთ"*, - წერია ფედერაციის სპეციალურ განცხადებაში. ჯერჯერობით, დროებითი დისკვალიფიკაციით დაისაჯა ნაკრების მთავარი **ხრისტოს იაკუვუ**.

დიდია ალბათობა იმისა, რომ ბერძნებს ძალიან მკაცრად დასჯიან. ერთი და იმავე დროსა და ადგილას დოპინგის მიღების 11 შემთხვევას იმ აზრამდე მივყავართ, რომ საბერძნეთის ნაკრებში აკრძალული პრეპარატის ორგანიზებულ გამოყენებას ჰქონდა ადგილი და სპორტსმენების ფარმაკოლოგიური უზრუნველყოფის სისტემამ, რაღაც მომენტში არ იმუშავა.

მოვლენათა განვითარების ყველაზე რეალური ვარიანტია საბერძნეთის ნაკრების დისკვალიფიკაცია, რაც მას პეკინში გამოსვლის საშუალებას არ მისცემს. არადა, ამ გუნდს ყველა წონაში ჰქონდა მოპოვებული ოლიმპიური ლიცენზია.

**გია თვალაბეიშვილი**

# TV სპორტი

### 7 აპრილი. ორშაბათი

**I არხი**

**22:40** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლიონი.
**14:10** ინგლისის ჩემპიონატი. მიდლსბრო-მანჩესტერ იუნაიტედი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:15** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ლევერკუზენი.
**18:05** ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვილიარეალი.
**19:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:15** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:00** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:00** საფეხბურთო ღამე.
**23:30** არგენტინის ჩემპიონატი. ტიგრე-სან ლორენსო.
**01:20** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**06:55** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. რეინჯერსი-სპორტინგი.
**08:35** პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
**13:00** სპორტდოსიე. ბეისბოლი.
**13:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**14:00** სპორტის სამყარო.
**14:30** სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. I დღე. საფრანგეთი.
**16:35** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-ბრაგა.
**18:25** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-სან ხოსე.
**20:10** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:05** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:00** სპორტკლუბი.
**23:05** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:55** პროფესიული კრივი. ლავმორ ნდუ-პოლ მალინიაგი.
**02:30** სპორტდოსიე. ბეისბოლი.
**02:55** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-ბრაგა.
**04:55** სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. I დღე. საფრანგეთი.

**EUROSPORT**

**10:30** ავტოსპორტი.
**11:00** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. მექსიკა.
**12:00** ავტოსპორტი. პორშეს სუპრეთასი. II რბოლა. ბაჰრეინი.
**12:45** სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ესპანეთი.
**13:45** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ესპანეთი.
**14:45** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი. ფინალი.
**15:45** სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. II დღე. საფრანგეთი.
**17:15** ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ფლანდრიის ტური.
**18:45** ოლიმპიზმი.
**19:00** სნუკერი.
**20:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:45** მულტისპორტი.
**22:00** კიკ-ბოქსინგი.
**00:00** ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ავსტრალია. აშშ (LIVE).
**02:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**02:45** ავტოსპორტი. პორშეს სუპრეთასი. II რბოლა. ბაჰრეინი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**10:30** რალი. IRC-ის სერია. II დღე. სტამბოლი. თურქეთი.
**11:00** ახალი ამბები.
**12:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. კილი (გერმანია)-ბარსელონა (ესპანეთი).
**13:00** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. სიუდადი (ესპანეთი)-ჰამბურგი (გერმანია).
**17:00** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი.
**18:00** მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ჰოლანდია.
**19:00** ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. კოლორადო-როჩესტერი.
**20:15** ახალი ამბები.
**20:30** მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
**21:00** ფრისტაილი. მსოფლიო თასი. შვედეთი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. სიუდადი (ესპანეთი)-ჰამბურგი (გერმანია).
**23:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**01:00** ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| | | |
|---|---|---|
| **საბერძნეთი** | | |
| არისი-კოლოსოსი | | 75:64 |
| ლარისა-პაოკ | | 74:63 |
| ოლიმპიადა-მარუსი | | 73:93 |
| პანელინიოსი-რეტიმნო | | 87:76 |
| ეგალეო-ოლიმპია | | 72:76 |
| პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | | 84:72 |
| აეკ-პანათინაიკოსი | | 70:66 |
| **ესპანეთი** | | |
| ესტუდიანტესი-ბილბაო | | 90:93 |
| კახასოლი-ვალენსია | | 80:97 |
| ხირონა-გრანადა | | 105:86 |
| ბარსელონა-მენორკა | | 74:64 |
| ვალიადოლიდი-ლეონი | ო.ტ. | 94:88 |
| ფუენლაბრადა-მურსია | | 78:80 |
| ხუვენტუდი-ტაუგრესი | | 78:66 |
| გრან კანარია-უნიკახა | ო.ტ. | 90:95 |
| მანრესა-რეალი | | 79:81 |
| **იტალია** | | |
| ბიელა-სნაიდერო | | 76:66 |
| ტერამო-სკავოლინი | | 95:93 |
| ვირტუსი-მილანი | | 63:75 |
| ვარეზე-მონტეგრანარო | | 86:84 |
| დორლანდო-რიეტი | | 88:79 |
| კანტუ-კლიმამიო | ო.ტ. | 89:88 |
| ნაპოლი-აველინო | | 71:74 |
| სკაფატი-ბენეტონი | | 61:64 |
| რომა-მონტეპასკი | | 76:78 |
| **საფრანგეთი** | | |
| პავრი-ნანსი | | 101:85 |
| გრაველენი-შოლე | | 77:80 |
| დიჟონი-კლერმონი | | 93:70 |
| ლე მანი-შალონი | | 94:87 |
| ორლეანეზი-ვიში | | 56:69 |
| პო ორტეზი-სტრასბური | | 75:68 |

### ჰოკეი

| | | |
|---|---|---|
| **რუსეთი** | | |
| ს. იულიაევი-ლოკომოტივი | | 2:0 |
| **გერმანია** | | |
| აისბარენი-დიუსელდორფი | | 3:3 |
| კიოლნი-ფრანკფურტი | ო.ტ. | 2:1 |
| **სლოვაკეთი** | | |
| კოშიცე-სლოვანი | | 4:0 |
| **ფინეთი** | | |
| იოკერიტი-ტაპარა | | 3:4 |
| კერპეტი-კიეკო | | 3:1 |
| **შვეიცარია** | | |
| ციურიხი-ჟენევა | | 3:2 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. მაიამი** | |
| ნადალი-დავიდენკო | 4:6, 2:6 |

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

### 4 აპრილი

**კაროლინა-ფლორიდა 3:4**

1:2, 1:2, 1:0

გოლები: 1:0 ლეტოვსკი-9 (ლაროუზი-12), 1:1 ბოუმისტერი-15 (დვორაკი-9, მტუმბელი-13), 1:2 მონტადორი-8 (ჰორტონი-35, ბუტი-18), 1:3 ჰორტონი-27 (მელტონენი-15, მ. იოჰანსონი-14), 2:3 ე. სტაალი-38 (კორვი-34, რეი უოტსნი-35), 2:4 დვორაკი-8 (გ. კემბელი-13, ალენი-14), 3:4 სამსონოვი-14 (რეი უოტსნი-36, კორვი-35).

**რეინჯერსი-აილენდერსი 3:4 (ბ)**

0:1, 2:2, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 ოკსოპო-2 (კომო-7, პარკი-20), 1:1 ჟირარდი-10 (სტრაკა-25, იაგრი-46), 1:2 შატანი-16 (მილენი-1, ჰანტერი-29), 2:2 დვოვსი-14 (კელეპანი-4, დრური-33), 2:3 პარკი-12 (მარტინეკი-15), 3:3 იაგრი-24 (სტრაკა-27, პელვეგი-2).

ბულიტები გაიტანეს: ოკსოპო (აილენდერსი), დვოვსი (რეინჯერსი), კომო (აილენდერსი), ხოოსტრიომი (რეინჯერსი), პარისი (აილენდერსი).

**დალასი-ფინიქსი 2:4**

1:1, 1:2, 0:1

გოლები: 0:1 კარჩილო-9 (ტიარნკვისტი-7, ბოინტონი-9), 1:1 დელეი-5 (ოტი-11, კრომბინი-2), 1:2 კარჩილო-10 (რაინპრეხტი-30), 2:2 ბუშე-2 (ბარნსი-11, ჰაგმანი-13), 2:3 ჰანტალი-8 (ზ. მიხალეკი-13, ჟოვანოვსკი-39), 2:4 კარჩილო-11.

**ფილადელფია-ნიუ ჯერსი 3:0**

1:0, 0:0, 2:0

გოლები: 1:0 უმბერგერი-13 (პრონპალი-38, ჰარტნელი-19), 2:0 აპშოლი-13 (ჯ. კარტერი-22, რ. ჯონსი-26), 3:0 ლუპული-20 (მ. რიჩარდსი-47).

**ოტავა-ბოსტონი 1:2**

0:0, 0:1, 1:1

გოლები: 0:1 ხარა-17 (სობოტკა-5), 0:2 კესელი-19 (მეფერი-17, სობოტკა-6), 1:2 ვერმეტი-24 (დონოვანი-7, მაკამონდი-13).

**ჩიკაგო-ნეშვილი 3:1**

3:1, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 ჰვევრლი-5 (დუმონი-43, სუტერი-24), 1:1 ტევზი-24 (სიბრუკი-23, კეინი-51), 2:1 ბარიში-4, 3:1 კეინი-20 (მარპი-25, ბარკერი-12).

### 5 აპრილი

**სენტ ლუისი-კოლამბუსი 3:0**

2:0, 0:0, 1:0

გოლები: 1:0 ბოიესი-42 (ე. ჯონსონი-28, ე. მაკდონალდი-33), 2:0 ტკაჩუკი-25 (კარია-47, ე. მაკდონალდი-34), 3:0 ტკაჩუკი-26 (კარია-48, ვოივუტკა-5).

**ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი 3:4**

1:2, 2:1, 0:1

გოლები: 1:0 დ. ბრაუნი-33 (ვიშნოვსკი-33, კოპიტარი-45), 1:1 დიპენტა-1 (პასკინსი-15, რაიანი-4), 1:2 სელიანე-11, 2:2 ვილსი-4 (პრისინგი-16), 2:3 გეტცლაფი-24 (რაიანი-5), 3:3 ო'სალივანი-22, 3:4 სელიანე-12 (ბერტუცი-25, გეტცლაფი-57).

**ბოსტონი-ბაფალო 0:3**

0:0, 0:2, 0:1

გოლები: 0:1 ვანეკი-34 (პეხტი-27, დ. რუა-48), 0:2 ვანეკი-35 (პომინვილი-53, სეკერა-6), 0:3 ვანეკი-36 (დ. რუა-49).

**მონრეალი-ტორონტო 3:1**

0:0, 2:1, 1:0

გოლები: 1:0 შტრაიტი-13 (კოვალიოვი-49, პლეკანეცი-40), 2:0 ჰიგინსი-26 (შტრაიტი-49, ო'ბირნი-6), 2:1 ბელი-4 (ნიუბერი-1, ჯ. ბლეიკი-37), 3:1 ჰიგინსი-27 (სმოლინსკი-17, მარკოვი-42).

**ვაშინგტონი-ფლორიდა 3:1**

1:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 ფლიშმანი-10 (ლეიჩი-16), 1:1 კრეპსი-8 (მაკლინი-23, ბოუმისტერი-22), 2:1 ფიოდოროვი-11 (სიომინი-16, მ. გრინი-38), 3:1 სიომინი-26 (ბექსტრიომი-55, ფიოდოროვი-30).

**ატლანტა-ტამპა ბეი 4:1**

1:0, 0:1, 3:0

გოლები: 1:0 პოლიკი-15 (კოვალჩუკი-35, ტორნბურნი-13), 1:1 დერჩი-7 (კუბა-25, დ. ბოილი-21), 2:1 კ. არმსტრონგი-13 (ექსელბი-5, პერენი-32), 3:1 სლეიტერი-8 (კ. არმსტრონგი-22, პერენი-33), 4:1 ლიტლი-6 (რეკი-34, ვიაჩ. კოზლოვი-24).

**ვანკუვერი-კალგარი 1:7**

1:3, 0:1, 0:3

გოლები: 0:1 მოსი-4 (ნისტრიომი-6), 1:1 რიტჩი-3 (რიპენი-2), 1:2 ჰუსელიუსი-25 (ლომბარდი-22, რეგერი-15), 1:3 ნისტრიომი-2 (მოსი-7), 1:4 ბოიდი-7 (იგინლა-47, პეილი-2), 1:5 ტანგეი-18 (ლენგკოუ-35, იგინლა-48), 1:6 იგინლა-50 (ნისტრიომი-7, უ. პრიმო-6), 1:7 ნისტრიომი-3 (უ. პრიმო-7).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# სერენა პენტაჩემპიონია

მაიამის ქალთა ტურნირის ფინალს საინტერესო წინაისტორია ჰქონდა. საქმე ისაა, რომ გადამწყვეტი მატჩის ერთ-ერთ მონაწილეს, ამერიკელ **სერენა უილიამსს** ამ სეზონში 13 მოგება და ერთადერთი წაგება ჰქონდა. ეს მარცხი მას ავსტრალიის ღია პირველობაზე გუშინდელმა მეტოქემ, სერბმა **ელენა იანკოვიჩმა** აგემა, ასე რომ, უმცროს უილიამსს რევანშისთვის უნდა ეზრუნა.

მოტივაცია არც იანკოვიჩს აკლდა. თუ სერბი ფინალს მოიგებდა, WTA-ს კლასიფიკაციაში თანამემამულე **ანა ივანოვიჩს** შეავიწროებდა და მეორე ადგილზე გადაინაცვლებდა. მაგრამ ეს ძალიან რთული ამოცანა იყო. მაიამიში სერენა, პრაქტიკულად, დაუმარცხებლად თამაშობს. აქამდე ამერიკელი ოთხჯერ იყო ამ ტურნირის ფინალში და ოთხივეჯერ ტიტული მას დარჩა.

თუმცა იანკოვიჩის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან დიდი ბრძოლა გაუმართა მეტოქეს. სერბმა ამ შეხვედრაშიც დაამტკიცა, რომ ქალთა ტურში ერთ-ერთი ყველაზე ნებისყოფიანი მოთამაშეა.

პირველ სეტში სერენამ ათლეტური და სწრაფი ჩოგბურთი აჩვენა და იანკოვიჩი უშანსოდ დატოვა - 6:1.

მეორე პარტიაც პირველის ანალოგიურად დაიწყო, მაგრამ ელენა არ დანებდა და 0:3-ის შემდეგ, ანგარიში გაათანაბრა. თითქოს, ეს იანკოვიჩის ბოლო გაბრძოლება იყო. სერენამ ზედიზედ ორი გეიმი აიღო და 5:3 დაწინაურდა, მაგრამ სერბმა კიდევ ერთხელ გამოაჩინა ხასიათის სიმტკიცე, ზედიზედ ოთხი გეიმი და მასთან ერთად, სეტიც მოიგო (7:5) და ანგარიში გაათანაბრა.

გადამწყვეტი სეტი სერენას ბრეიკით დაიწყო და იანკოვიჩმა მაშინვე სამედიცინო ტაიმ-აუტი მოითხოვა. ელენა კორტზე გაციებული გავიდა და ხველება აშკარად ხელს უშლიდა. ექიმის დახმარებას შედეგი ვერ გამოიღო და მალე ანგარიში 5:0 გახდა უილიამსის სასარგებლოდ. და აი აქ, დაიწყო ნერვების თამაში:



სერენა უილიამსი ტურნირის გამარჯვებული გახდა

იანკოვიჩმა 7 (!) მატჩ-პოინტი მოიგერია და ორ გეიმამდე შეამცირა ანგარიში. ცოტაც და შესაძლოა, მეორე პარტიის სცენარი განმეორებულიყო, მაგრამ სერენამ დიდი გაჭირვებით, მაინც გამოგლიჯა გამარჯვება სერბ ჩოგბურთელს.

უილიამსმა ლეგენდარული გერმანელის, **შტეფი გრაფის** რეკორდი გაიმეორა და მეხუთედ მოიგო მაიამის ტურნირი.

*"სერენასა და შტეფის ღია ჩემპიონატი,* - მატჩის შემდეგ სერენამ ხუმრობით ასე უწოდა მაიამის ტურნირს. - *გრაფს უდიდეს პატივს ვცემ. ის დიადი ჩოგბურთელია და ჩემთვის ყოველთვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა. დაუჯერებელია, რომ შტეფის რეკორდის გამეორება შევძელი".*

სხვათა შორის, მაიამიში გამარჯვებების რაოდენობით აბსოლუტური რეკორდსმენი გრაფის მეუღლე, ამერიკელი **ანდრე აგასია**, რომელსაც აქ ექვსჯერ აქვს მოგებული ტიტული.

იანკოვიჩმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ მატჩის ბოლოს ბოძებული შანსი ვერ გამოიყენა. *"ბოლოსკენ სერენა ძალიან ანერვიულდა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩოგბურთელი, რომელსაც "დიდი სლემის" ამდენი ტურნირი აქვს მოგებული, ასე დაიბნეოდა. სამწუხაროდ, ეს მომენტი ხელიდან გავუშვი",* - განაცხადა სერბმა ჩოგბურთელმა.

ამ გამარჯვებით, უმცროსმა უილიამსმა 590 ათასი დოლარი და 500 სარეიტინგო ქულა მიიღო, რომლის საშუალებითაც, მან WTA-ს კლასიფიკაციაში მე-9 ადგილზე გადაინაცვლა.

■ ■ ■

ქალთა ფინალს წინ უძღოდა კაცების ნახევარფინალები, სადაც ერთი კანონზომიერი და ერთიც მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა.

ესპანელი **რაფაელ ნადალი** თავისი საყვარელი თიხნარის სერიის ტურნირების წინ კარგ ფორმაში შევიდა და ამიტომაც, მისი გამარჯვება ჩეხ **ტომაშ ბერდიხთან** კანონზომიერებად მოინათლა.

მეტოქეებმა ორი განსხვავებული სეტი ჩაატარეს. პირველში ბრძოლა 73 წუთს გაგრძელდა და ნადალმა მხოლოდ მეშვიდე სეტ-პოინტიდან მოიგო პარტია. სამაგიეროდ, მეორე სეტში ესპანელმა უნაკლო ჩოგბურთი აჩვენა. არცერთი უნებლიე შეცდომა არ დაუშვია, პირველ მოწოდებაზე 17-დან 16 ბურთი ჩააგდო და პარტიის ბოლოს, ზედიზედ 12 (!) ქულა აიღო.

ახლა ნადალს კარგი შანსი აქვს იმისთვის, რომ მაიამის მასტერსის პირველი ესპანელი ჩემპიონი გახდეს. რაფამ აქ 2005 წელსაც უწია ფინალს, მაგრამ **როჯერ ფედერერთან** დამარცხდა. სხვათა შორის, შვეიცარიელის მსგავსად, ნადალს წელს ჯერ არცერთი ტურნირი არ აქვს მოგებული.

ფინალში მსოფლიოს მეორე ჩოგანს რუსი **ნიკოლაი დავიდენკო** დაუპირისპირდება.

მეოთხედფინალში ფედერერის დამარცხების შემდეგ, **ენდი როდიკი** ტურნირის უმთავრესი ფავორიტი გახდა. დავიდენკოსთან ნახევარფინალში ამერიკელს თითქმის ყველა გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა, მით უმეტეს, რომ ამ ჩოგბურთელთა ურთიერთშეხვედრების ანგარიში 5:0 იყო ენდის სასარგებლოდ.

მაგრამ ნადალისა არ იყოს, დავიდენკოც შესანიშნავ ფორმაში შეხვდა მაიამის მასტერსს. რუსმა არანორმალურად კარგად ითამაშა პირველი მოწოდებისას - მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქეს მხოლოდ 5 ქულა (!) დაუთმო. შესაბამისად, როდიკს ერთი ბრეიკ-პოინტიც კი არ ჰქონია.

ამერიკელი დავიდენკოს მეორე სეტის მესამე გეიმის შემდეგ დანებდა, როცა 2:1 იგებდა, მაგრამ ზედიზედ ხუთი გეიმი გადაულოცა მეტოქეს.

დავიდენკო პირველი რუსი ჩოგბურთელია, ვინც მაიამის მასტერსის ფინალში გააღწია. ნადალთან მის ურთიერთშეხვედრებს რაც შეეხება, აქ ანგარიშია 2:0 ესპანელის სასარგებლოდ.

**გია თვალაბეიშვილი**

**ATP**

**Pacific Life Open**

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 770 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-ტომას ბერდიხი (ჩეხ, 10) 7:6 (6), 6:2; ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)-ენდი როდიკი (აშშ, 6) 7:6 (5), 6:2.

**WTA**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 770 000 დოლარი

**ფინალი**

სერენა უილიამსი (აშშ, 8)-ელენა იანკოვიჩი (სერ, 4) 6:1, 5:7, 6:3.

ინტერვიუ რაფაელ ნადალთან

# ფედერერს მკაცრად ნუ განსჯით

**გუშინ, მაიამის მასტერსზე ესპანელი რაფაელ ნადალისა და რუსი ნიკოლაი დავიდენკოს ფინალი გაიმართა. გადამწყვეტი მატჩის წინ, მსოფლიოს მეორე ჩოგანმა ამერიკულ ტურნეზე საკუთარი და ბოლო წლებში თავისი მთავარი კონკურენტის, როჯერ ფედერერის თამაში შეაფასა.**

**- 2005 წელს, აქ ფინალში ითამაშეთ. რამდენად შეიცვალა ჰარდზე თქვენი თამაში ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში?**

- ასეთი შედარების გაკეთება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. 2005 წელს, მონრეალში და მადრიდში გავიმარჯვე, მაიამის ფინალში ვითამაშე. ციფრები თავად მეტყველებენ ყველაფერზე - არა მგონია ახლა იმაზე უკეთ ვთამაშობდე, რაც 2005 წელს იყო. უბრალოდ, მეტი გამოცდილება გამაჩნია.

**- როდიკისა და ფედერერის მატჩს თუ უყურეთ?**

- სამწუხაროდ, არა.

**- მაგრამ შედეგი იცით და ალბათ, გაკვირვებული ხართ?**

- როცა ერთი მოთამაშე ზედიზედ 11-ჯერ მოუგებს მეორეს, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის წარმატება სიურპრიზად უნდა გამოვაცხადოთ. მაგრამ ენდისთან მატჩებში ყველაფერი სიტუაციაზეა დამოკიდებული. თუ როდიკს მოწოდება მისდის, შენ კი 100 პროცენტით ვერ იხარჯები კორტზე, მაშინ სერიოზული პრობლემები გარდაუვალია.

**- ამასწინ, ერთ-ერთ კომენტარში განაცხადეთ, რომ არ მიგაჩნიათ მართებულად როჯერ ფედერერის კრიტიკა. როდიკთან ბოლო მარცხის შემდეგ აზრი ხომ არ შეიცვალეთ? არ გეჩვენებათ, რომ როჯერს რაღაც ვერ აქვს წესრიგში?**

- მგონია, რომ როჯერის შესახებ ძალიან ბევრს ლაპარაკობენ. რა თქმა უნდა, ფედერერი ამ მომენტისთვის ვერ აჩვენებს თავის საუკეთესო ჩოგბურთს, ძალიან ძნელია ამდენი წლის განმავლობაში მწვერვალზე ყოფნა. ოდესღაც აუცილებლად მოეშვები და შენს სისუსტეებს გამოაჩენ... ბოლო 4-5 წლის განმავლობაში, როჯერი დაუჯერებელ შედეგებს აჩვენებდა და პრაქტიკულად, ყველაფერს იგებდა, მაგრამ მის თამაშს წუნს ვერც ახლა დავდებთ. ავსტრალიის ღია პირველობისა და ინდიან უელსის ნახევარფინალები, მეოთხედფინალი მაიამიში. განა ეს ცუდი შედეგებია?

ბუნებრივია, ბევრისთვის უჩვეულოა ის, რომ როჯერი ამდენ მატჩს აგებს, მაგრამ ყველაფერი ხდება. ეს ჩოგბურთია... ჩემი აზრით, არასამართლიანია დღეს ფედერერზე ცუდის ლაპარაკი.

**- მაიამის მასტერსის შემდეგ, გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ დევისის თასის მეოთხედფინალი გელით...**

- ეს იქნება ჩემთვის ურთულესი გამოცდა. გერმანიაში მხოლოდ სამშაბათს საღამოს ჩავალ. ასე რომ, მოსამზადებლად მხოლოდ ორი დღე მექნება. კაპიტანი თავად გადაწყვეტს, დამაყენოს თუ არა პარასკევის შეხვედრაში. ძალიან მძიმე შეხვედრა გველის, რადგან სტუმრად თამაში ყოველთვის რთულია. მაგრამ შესანიშნავი შემადგენლობა გვყავს. იმედი მაქვს, მოვიგებთ და მადლობა ღმერთს, ნახევარფინალს შინ ვითამაშებთ. დიდი ხანია ესპანური პუბლიკა გამარჯვებებით არ გაგვიხარებია.

**- ბევრი ევროპელი წუწუნებს იმის გამო, რომ ამერიკაში ყოფნა გაუგრძელდათ. ATP-ის კალენდრის ეს ეტაპი მართლაც რთულია. თქვენ კი, ამ მასტერსებზე წარმატებას მიაღწიეთ...**

- ამერიკაში თავს კომფორტულად ვგრძნობ, მაგრამ სხვა რამ მაღელვებს. აქაური ორი მასტერსის შემდეგ, ოთხი კვირის განმავლობაში გრუნტზე სამი ტურნირის თამაში გვიწევს. სეზონში სულ თიხნარის სამი მასტერსია, რომელიც ერთი ამოსუნთქვით უნდა ვითამაშოთ. ეს საშინელებაა! ბევრი ამბობს, რომ ეს ოლიმპიადის გამო ხდება, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ორი ამერიკული მასტერსი ერთი კვირით გვიან, კოლეჯებს შორის რაღაც საკალათბურთო ტურნირის გამო ჩაატარეს. ამერიკულ კალათბურთს პატივს ვცემ, მაგრამ სწორად არ მიმაჩნია, რომ მის გამო ვიღაც უნდა იტანჯოს. ATP-ის გადაწყვეტილებამ ძალიან გაგვანაწყენა. იცით, რომ თიხნარის მოთამაშე ვარ, თუმცა ნებისმიერ საფარზე კარგად თამაში შემიძლია. მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ზედიზედ ოთხი კვირა უმაღლეს დონეზე გამოსვლა, უბრალოდ, შეუძლებელია.



რაფაელ ნადალი

**- ენდი მარეიმ გამოაცხადა, რომ თიხნარის ტურნირების დროს ცნობილ ესპანელ ჩოგბურთელთან, ალექს კორეჩასთან ითანამშრომლებს. ალექსი ბოლო დროს ტელევიზიაში მუშაობით არის დაკავებული. შეძლებს ის ენდისთვის დახმარების გაწევას?**

- კორეჩას, როგორც მწვრთნელს, თითქმის არ ვიცნობ. ერთი რამ ზუსტად ვიცი - ალექსს თიხნარზე თამაშის უდიდესი გამოცდილება გააჩნია, რომელიც შეუძლია ნაწილობრივ მაინც გაუზიაროს ბრიტანელს. თანაც, მარეი ძალიან ნიჭიერი ბიჭია, რომელსაც ერთნაირი წარმატებით შეუძლია ნებისმიერ საფარზე თამაში, მათ შორის თიხნარზეც.

**- ბოლო დროს, შესამჩნევად გაუმჯობესდა თქვენი მოწოდება. ეს პროგრესი რის ხარჯზე მიაღწიეთ?**

- საკუთარი პროგრესის შესახებ საუბარი არ მიყვარს. ყოველ კვირას მხოლოდ იმას ვაკეთებთ, რომ ჩემი თამაშის გაუმჯობესებაზე ვფიქრობთ. მუდმივად ვმუშაობ, ვვარჯიშობ, კლასის ამაღლებას ვცდილობ.

როცა თამაშის გარკვეულ მაღალ საფეხურზე ადიხარ, პროგრესირება სულ უფრო და უფრო რთული ხდება. მიუხედავად ამისა, მუდმივად ვცდილობ რაღაც გავაუმჯობესო. მოწოდება - ეს ჩოგბურთის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტია და მასზე ყოველთვის უნდა იმუშაო. მაგრამ სხვა თამაშის ელემენტებიც არ უნდა დაგავიწყდეს.

**გია თვალაბეიშვილი**